2023 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ჩამონათვალი:

1) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **„კინტურეთის არქეოლოგიური კომპლექსი“** – 6.ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1.ისტორია და არქეოლოგია; 2023 წ.
2. **„ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების ისტორია“** – 6.ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1.ისტორია და არქეოლოგია; 2023 წ.
3. **„ადრეშუასაუკუნეების (IV-VII სს) ხანის ამფორები ციხისძირიდან“** – 6.ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1.ისტორია და არქეოლოგია; 2023 წ.
4. **„ქართული ეროვნული მოძრაობა 1994 წლის 1 მარტიდან 2003 წლის 23 ნოემბრამდე და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო“** – 6.ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1.ისტორია და არქეოლოგია; 2023 წ.
5. **„სამხრეთ დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის სამეურნეო სახე გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანაში“** – 6.ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1.ისტორია და არქეოლოგია; 2023 წ.
6. **„ციხისძირის საეკლესიო ხუროთმოძღვრება (შემაჯამებელი კვლევა)“** – 6.ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1.ისტორია და არქეოლოგია; 2023 წ.
7. **„გზები და ხიდები აჭარაში (XIX-XX საუკუნის 20-იანი წლები)“** – 6.ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1.ისტორია და არქეოლოგია; 2023 წ.
8. **„სამონეტო მიმოქცევა ზემო აჭარაში“** – 6.ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1.ისტორია და არქეოლოგია; 2023 წ.
9. **„აჭარულ და ტაო-კლარჯულ კილოთა სიტყვის კონა“** – 6.ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.2 ლინგვისტიკა; 2018- 2023 წწ.
10. **„ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდებში დაცული ეთნოგრაფიული მასალების (საექსპედიციო დღიურები, ვიზუალური მასალა) თემატური დამუშავება, გამოსაცემად მომზადება და გამოცემა“** – 5. სოციალური მეცნიერებანი, 5.1. ეთნოლოგია; 2018- 2023 წწ.
11. **„ქ.ბათუმის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლოგიური კვლევა (რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების მიხედვით)“** – 5. სოციალური მეცნიერებანი, 5.1. სოციოლოგია; 2018- 2024 წწ.

2) პროექტის შესრულებაში მონაწილე პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **როინ მალაყმაძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი
   ოლეგ ჯიბაშვილი (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
   სულხან მამულაძე (მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი

2. **ოთარ თურმანიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი

3. **ნინო ინაიშვილი** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი

4. **უჩა ოქროპირიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი

5. **გიორგი თავამაიშვილი** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი

6. **მაია ჭიჭილეიშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი

7. **მერაბ მეგრელიშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი

8. **ირინე ვარშალომიძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი

9. **ელზა ფუტკარაძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი
   ნანული ნოღაიდელი (მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
   ციალა ნარაკიძე (მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
   ნარგიზ ახვლედიანი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
   ნაილე მიქელაძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
   ცისნამი ბერიძე (მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
   ფატი აბაშიძე (მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი

10. **ნოდარ კახიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი
    როინ მალაყმაძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
    თამილა ლომთათიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
    ნაილა ჩელებაძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
    ჯემალ ვარშალომიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი)- შემსრულებელი
    რუსლან ბარამიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
    ჯემალ მიქელაძე (მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
    ანა ბაგრატიონი (მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი

11. **ნუგზარ ჩხაიძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი

2. პროგრამული დაფინანსებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი პროექ-ტების შესრულების შედეგები

2.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **„ქ.ბათუმის სხვადასხვა სოციალური ჯგუფის სოციოლოგიური კვლევა (რესპოდენტთა სოციოლოგიური გამოკითხვის მასალების მიხედვით)“** – 5. სოციალური მეცნიერებანი, 5.1. სოციოლოგია; 2018- 2024 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **ნუგზარ ჩხაიძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. 2023 წლის ეტაპი - **ბათუმის შემოქმედებითი ინტელიგენციის საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი (სოციოლოგიური ანალიზი)**

2023 წელს შესწავლილი იქნა ბათუმის შემოქმედებითი ინტელიგენციის საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი (სოციოლოგიური ანალიზი). სოციოლოგიური კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ინტელიგენციის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ქართული სულიერი კულტურის განვითარებაში. სოციოლოგიური კვლევის ფარგლებში გამოკითხული და შესწავლილი იქნა რესპოდენტთა ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა: პროფესიული კუთვნილება, საქმიანობის სფერო, შემოსავლის ოდენობა, შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა სახელისუფლებო ორგანოების მხრიდან. წარმოჩნდა ის ძირითადი პრობლემები, რაც ხელს უშლის შემოქმედებით ინტელიგენციას პროფესიულ საქმიანობაში. შემუშავდა რეკომენდაციები ამ პრობლემების დასაძლევად.

2.2.
1) დასრულებული პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **„კინტურეთის არქეოლოგიური კომპლექსი“** – 6.ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1.ისტორია და არქეოლოგია; 2023 წ.
2. **„ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანების ისტორია“** – 6.ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1.ისტორია და არქეოლოგია; 2023 წ.
3. **„ადრეშუასაუკუნეების (IV-VII სს) ხანის ამფორები ციხისძირიდან“** – 6.ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1.ისტორია და არქეოლოგია; 2023 წ.
4. **„ქართული ეროვნული მოძრაობა 1994 წლის 1 მარტიდან 2003 წლის 23 ნოემბრამდე და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო“** – 6.ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1.ისტორია და არქეოლოგია; 2023 წ.
5. **„სამხრეთ დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის სამეურნეო სახე გვიანბრინჯაო - ადრერკინის ხანაში“** – 6.ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1.ისტორია და არქეოლოგია; 2023 წ.
6. **„ციხისძირის საეკლესიო ხუროთმოძღვრება (შემაჯამებელი კვლევა)“** – 6.ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1.ისტორია და არქეოლოგია; 2023 წ.
7. **„გზები და ხიდები აჭარაში (XIX-XX საუკუნის 20-იანი წლები)“** – 6.ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1.ისტორია და არქეოლოგია; 2023 წ.
8. **„სამონეტო მიმოქცევა ზემო აჭარაში“** – 6.ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.1.ისტორია და არქეოლოგია; 2023 წ.
9. **„აჭარულ და ტაო-კლარჯულ კილოთა სიტყვის კონა“** – 6.ჰუმანიტარული მეცნიერებანი, 6.2 ლინგვისტიკა; 2018- 2023 წწ.
10. **„ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდებში დაცული ეთნოგრაფიული მასალების (საექსპედიციო დღიურები, ვიზუალური მასალა) თემატური დამუშავება, გამოსაცემად მომზადება და გამოცემა“** – 5. სოციალური მეცნიერებანი, 5.1. ეთნოლოგია; 2018- 2023 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **როინ მალაყმაძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი

ოლეგ ჯიბაშვილი (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
სულხან მამულაძე (მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი

2. **ოთარ თურმანიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი

3. **ნინო ინაიშვილი** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი

4. **უჩა ოქროპირიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი

5. **გიორგი თავამაიშვილი** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი

6. **მაია ჭიჭილეიშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი

7. **მერაბ მეგრელიშვილი** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი

8. **ირინე ვარშალომიძე** (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი

9. **ელზა ფუტკარაძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი
ნანული ნოღაიდელი (მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
ციალა ნარაკიძე (მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
ნარგიზ ახვლედიანი (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
ნაილე მიქელაძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
ცისნამი ბერიძე (მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
ფატი აბაშიძე (მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი

10. **ნოდარ კახიძე** (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - პროექტის ხელმძღვანელი, შემსრულებელი
როინ მალაყმაძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
თამილა ლომთათიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
ნაილა ჩელებაძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
ჯემალ ვარშალომიძე (მთავარი მეცნიერი თანამშრომელი)- შემსრულებელი
რუსლან ბარამიძე (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
ჯემალ მიქელაძე (მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი
ანა ბაგრატიონი (მეცნიერი თანამშრომელი) - შემსრულებელი

დასრულებული კვლევითი პროექტის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **როინ მალაყმაძე, ოლეგ ჯიბაშვილი, სულხან მამულაძე**

პროექტზე მუშაობის პროცესში, დამუშავდა ძეგლის შესახებ არსებული წერილობითი ცნობები, ასევე მეტ-ნაკლები ინფორმაცია მივიღეთ ადგილობრივ მცხოვრებლებისგანაც. აღნიშნული პროცესის პარალელურად, ვაწარმოეთ საველე არქეოლოგიური სამუშაოებიც, რომელმაც დააზუსტა და ფაქტობრივი მასალით გაამყარა ჩვენი წინასწარი ვარაუდები. რაც

შეეხება უშუალოდ შედეგებს, ამ შემთხვევაში, საველე სამუშაოების დროს კარგად გამოიკვეთა საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა ნაშთების საძირკვლები, რომლებზეც აქ მცხოვრებთ თავის დროზე ხის ძელური ნაგებობები ჰქონდათ დაშენებული. ამავე ტერიტორიაზე მივაკვლიეთ განვითარებული შუა საუკუნეებისა (XII-XIV) და გვიანი, ოსმალური პერიოდის, სხვადასხვა კერამიკული ჭურჭლის ნატეხებს და სხვა არტეფაქტებს. ნამოსახლარის მიმდებარედ, საველე სამუშაოების შედეგად გამოვლინდა ღია ტიპის მარანი (7 ქვევრითა) და ქვითკირით ნაშენი საწნახლები (ორი ერთეული). არქეოლოგიური კვლევები ცხადყოფს, რომ კინტურეთის დასახლების ტერიტორიაზე, განვითარებული შუა საუკუნეებიდან ოსმალური პერიოდის ჩათვლით, უწყვეტად გრძელდებოდა ცხოვრება, თუმცა, შემდგომ, როგორც წყაროებითაც დასტურდება, დასახლება მუჰაჯირობის პერიოდში დაცლილა.

2. **ოთარ თურმანიძე**

ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის ისტორია 1927 წლიდან იწყება. იგი მაშინ სამკერვალო სახელოსნო იყო, რომლის ბაზაზე 1930 წელს ფაბრიკა დაარსდა. სამკერვალო ფაბრიკა ამზადებდა ქალის, მამაკაცის, ბავშვის ტანსაცმელს, სპეცხალათებს, თეთრეულს და სხვა პროდუქციას. 1960 წელს ფაბრიკამ 28 დასახელების პროდუქცია გამოუშვა.

ბათუმის სამკერვალო ფაბრიკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და სამრეწველო პერსონალის ფორმირების საქმეში პირველი ნაბიჯები ომამდელ პერიოდში გადაიდგა. 1934 წელს ფაბრიკა განთავსდა ახალ შენობაში. დაიდგა ახალი მარკის საკერავი მანქანები და სხვა ტექნიკა, შეიქმნა ინფრასტრუქტურა. 1940 წელს საერთო პროდუქციისა და სამრეწველო პერსონალის მიხედვით ბათუმის სამკერვალო ფაბრიკას აჭარის სამრეწველო საწარმოებს შორის მეორე ადგილი ეკავა.

სამამულო ომის წლებში ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა სამხედრო წარმოებაზე გადავიდა. მეომრებისთვის ამზადებდა სხვადასხვა სახის ტანსაცმელს. ომის დამთავრების შემდეგ თანდათანობით გაიზარდა სამოქალაქო პროდუქციის წარმოება. ომამდელი დონე აღდგა მხოლოდ 1955 წლისთვის, 1963 წელს ბათუმის სამკერვალო ფაბრიკა საწარმოო გაერთიანებად გარდაიქმნა, რამდენადაც მას შეუერთდა ბათუმის ტრიკაჟის ფაბრიკა. 70-იან წლებში მასთან გაერთიანდა ფოთისა და ლანჩხუთის სამკერვალო ფაბრიკები, დაბა ხულოში დაარსდა ფილიალი. საწარმო კიდევ მეტად გამსხვილდა. გაიზარდა ბათუმის სამკერვალო საწარმოო გაერთიანება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროდუქციის წარმოება, მომუშავეთა რაოდენობა.

3. **ნინო ინაიშვილი**

ამფორების შესწავლას, რომელთა ძირითადი ფუნქცია ხომალდებით სხვადასხვა საქონლის (სითხის, მშრალი პროდუქტის) ტვირთის გადატანა იყო, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შავიზღვისპირეთში სავაჭრო–ეკონომიკური და სხვა სახის კავშირურთიერთობების კვლევისთვის. ეს ეხება არა მარტო სანაპირო ზოლს, არამედ შიდა რეგიონებსაც, სადაც ისინი ზღვის სანაპიროდან აღწევდა.

ბერძნული წარმოშობის სატრანზიტო ჭურჭელი, თავისი არსებობის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ხმელთაშუა და შავი ზღვის რეგიონის მრავალ ცენტრში მზადდებოდა. მათი გავრცელების გეოგრაფია ამ ვრცელი რეგიონის ცენტრებს შორის კავშირურთიერთობების მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს.

გვიანანტიკურ–ადრეშუასაუკუნეებში შავი ზღვის რეგიონში ერთ–ერთ ყველაზე გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს ყავისფერკეციანი, წელშეზნექილი ამფორები, რომელსაც „კოლხურ ამფორებს“ უწოდებენ (ი.ზეესტი), ისინი გენეტიკურად ელინისტური ხანის კოლხურ ამფორებთან არის დაკავშირებული (რ.ფუთურიძე). შესწავლილია ამ ეპოქებს შორის გარდამავალი პერიოდის (რომაული ხანის) ვარიანტებიც (ს.ვნუკოვი).

აღნიშნული ტიპის კერამიკული ტარის კვლევის საქმეში ძალიან მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ძეგლებზე, კერძოდ, პეტრა–ციხისძირსა და გონიო–აფსაროსში აღმოჩენილი მასალები, რომლებიც გამოირჩევიან მრავალრიცხოვნებითა და ვარიანტების სიმრავლით.

ხმელთაშუაზღვისა და შავი ზღვის აუზის სხვადასხვა საწარმოო ცენტრების პროდუქციის აღმოჩენა კოლხეთში, ამასთანავე, ადგილობრივი ამფორების წარმოება, მისი სხვადასხვა ვარიანტების არსებობა, მიუთითებს იმაზე, რომ კოლხეთი/ლაზიკა სრულად იყო ინტეგრირებული იმდროინდელი ცივილიზებული სამყაროს პოლიტიკურ–ეკონომიკურ და კულტურულ არეალში.

4. **უჩა ოქროპირიძე**

ნაშრომი მოიცავს პერიოდს 1994 წლის 1 მარტიდან 2003 წლის 23 ნოემბრამდე, როდესაც ედუარდ შევარდნაძის ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ მიტაცებული და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში ძალად შეთრეული საქართველოს მმართველობა მოკლებული იყო ყოველგვარ ლეგიტიმაციას და წამოადგენდა ქართველი ხალხის ნების უხეშ იგნორირებას. აქ განხილულია ის წინაპირობებიც, რომელთაც ამ შედეგამდე მიიყვანა ჩვენი ქვეყანა და იქვე მოცემულია ქართული ეროვნული ძალების მიერ ყველაფერ ამაზე გაწეული წინააღმდეგობის ასახვა.

გაანალიზებულია ე. შევარდნაძის ქვეგამხედველური პოლიტიკა საკუთარ ქვეყანაში ხელისუფლების შესანარჩუნებლად, ამასთანავე ზოგადად სრულიად კავკასიის და ჩრდილო კავკასიის რეგიონის, კერძოდ კი ჩეჩნეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკის წინააღმდეგ. გადმოცემულია ქართული ეროვნული ძალების მიერ, როგორც თბილისში, ისე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა თუ აჭარის რეგიონებში, ე. შევარდნაძის ამგვარი მოღალატური პოლიტიკის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიებების შესახებ. განსაკუთრებით აღნიშნულია 1995 წლის 13 მაისს ქალაქ თბილისში ჩატარებულ ეროვნულ ძალთა ზვიადისტური ფრთის ფორუმზე გამოთქმული მოსაზრებანი 1995 წლის საქართველოს ე. წ. პარლამენტის არჩევნების შესახებ, აღნიშნულ არჩევნებზე დამოკიდებულების საკითხისადმი ამ ძალთა ორად გაყოფილი - არჩევნებში მონაწილეობის მომხრეებისა და მისი მოწინააღმდეგების პოზიცია;

გაანალიზებულია მისი უშუალო შედეგები და ამით გამოწვეული შინაგანი წინააღმდეგობა თავად მოძრაობაში. აგრეთვე, 1998 წლის ოქტომბერში ასევე ქართული ეროვნული მოძრაობის ძალისხმევით თბილისში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო სამეცნიერო კონფერენცია _ „კავკასიის ხალხთა გენოციდი“, რომელზედაც სრულიად გაშიშვლებული იქნა კავკასიაში ე. შევარდნაძის მიერ გატარებული პოლიტიკის პრორუსული, გამცემლური ხასიათი. ყოველგვარი კანონების იგნორირებით საქართველოში ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების გადარჩენილ მომხრეებთან ანგარიშსწორების მცდელობანი და მთელი ერის სასტიკი წინააღმდეგობა მისი ამგვარი პოლიტიკის მიმართ, სრულიად საქართველოს მასშტაბით თვით მასობრივი შიმშილობების აქციების ჩათვლით. ვარდების რევოლუცია და მის დროს აჭარის ა. რ-ს ხელისუფალთა ხელოვნურად ჩათრევა მასში და მისი შედეგები.

5. **გიორგი თავამაიშვილი**

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, როგორც ზღვისპირა, ასევე მთიანი ზოლი, ძველი კოლხური ცივილიზაციის წარმოქმნა-განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს რეგიონს წარმოადგენს. მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ სამეურნეო განვითარების დინამიურ პროცესს ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ანტიკურ ეპოქამდე. რეგიონის ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ, მდიდარმა ფლორამ და ფაუნამ, წიაღისეულმა, შექმნა ყველა საჭირო პირობა, რომ რეგიონში სამეურნეო და კულტურული ცხოვრება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასულიყო. არქეოლოგიური არტეფაქტები საფუძვლიანად ამყარებს ვარაუდს, რომ საქართველოს ზღვისპირა ზოლი წარმოადგენდა იმ მხარეს, სადაც ბრწყინვალე კოლხური კულტურის ფორმირება ხდებოდა.

არქეოლოგიური მასალის ანალიზი უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს, რომ საქართველოს ზღვისპირა ზოლი, მატერიალური და სულიერი კულტურული განვითარების კუთხით< ადრე რკინის ხანის კოლხეთის ერთ-ერთი ყველაზე დაწინაურებული რეგიონს წარმოადგენს. დადასტურდება, რომ რკინის მეტალურგიის განვითარებამ დიდი გავლენა მოახდინა სამეურნეო ცხოვრების ყველა დარგზე და ხელი შეუწყო სოციალური დიფერენციაციის პროცესს. არქეოლოგიური არტეფაქტები ადასტურებს აჩვენებს, რომ მიწათმოქმედებას აღნიშნულ პერიოდში შეეძლო ეწარმოებია იმდენი ჭარბი პროდუქტი, რომ წარმატებით გამოეკვება მეურნეობის სხვადასხვა დარგში დასაქმებული ადგილობრივი მოსახლეობა. აღსანიშნავია, რომ საკვლევ ქრონოლოგიურ პერიოდში დასტურდება დიდი სიახლოვე ამ ტერიტორიაზე მოსახლე ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის მხრივ, რაც დამატებითი კვლევის საგანს წარმოადგენს.

6. **მაია ჭიჭილეიშვილი**

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლია პეტრა-ციხისძირი. VI-IX სს. ბიზანტიური წყაროების (იუსტინიანეს ნოველები, პროკოპი კესარიელის თხზულებები, კონსტანტინოპოლის საეპისკოპოსო კათედრათა ნუსხები) მიხედვით, პეტრა ისტორიული ლაზიკის ციხე-ქალაქი და კონსტანტინოპოლის საპატრიარქოში შემავალი საეპისკოპოსო ცენტრია. იგი გაშენდა იმპერატორ იუსტინიანეს (527-565 წწ.) ბრძანებით, ლაზიკის სამხრეთ საზღვარზე, ზღვასთან, უმნიშვნელო დასახლების ადგილას, რომელსაც, კლდოვანი რელიეფის გამო, პეტრას უწოდებდნენ. იმპერატორის საპატივცემულოდ მას იუსტინიანეს სახელი ეწოდა.

პეტრა-ციხისძირის აკროპოლისის ტერიტორიაზე გამოვლენილია ორ ბორცვზე განლაგებული, ერთმანეთთან ორმაგი კედლებით დაკავშირებული საფორტიფიკაციო ნაგებობები, იუსტინიანეს დროინდელი დიდი ზომის სამნავიანი ბაზილიკა, მის ადგილზე მოგვიანებით აგებული, მცირე ზომის, ნახევარწრიულ აფსიდიანი დარბაზული ეკლესია, ადრებიზანტიური ხანის აბანო, სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები (ცისტერნები) და შესაბამისი ეპოქის არქეოლოგიური არტეფაქტები. უახლესი არქეოლოგიური კვლევები ადასტურებს VI საუკუნეზე ადრინდელი ფენების არსებობას - სამნავიანი ბაზილიკის ქვეშ არსებული უფრო ძველი ნაგებობის, ასევე, ციხის ჩრდილოეთით მდებარე IV-V საუკუნეების შენობების ნაშთებს.

VI საუკუნით დათარიღებული ბაზილიკა ბიზანტიურ წყაროებში მოხსენიებულ და იუსტინიანეს მიერ აგებულ პეტრას ტაძართან არის იდენტიფიცირებული. ეკლესია საძირკვლის დონემდეა დანგრეული. სიდიდითა და გრძივი ღერძით გამორჩეული სამნავიანი ბაზილიკის თავისებურებას შვერილი ხუთწახნაგოვანი აფსიდი, სამნაწილიანი ნართექსი და ნავების გამყოფი 5 წყვილი სწორკუთხა ბურჯი განსაზღვრავს. შუა ნავების სიგანე გვერდითი ნავებისას სამჯერ აღემატება, ტაძრის სიგრძე კი სიგანეზე თითქმის ორჯერ მეტია. კომპოზიციური გადაწყვეტით ციხისძირის ბაზილიკა V-VI საუკუნეების დასავლეთ საქართველოს ბაზილიკების სახასიათო ნიშნებს ავლენს (ბიჭვინთა, ნოქალაქევი II, განთიადი, ალაჰაძის VI ს-ის ბაზილიკა).

ეკლესიის ტერიტორიაზე გამოვლენილი მოზაიკის ფრაგმენტი ვაზის გამოსახულების სიმბოლური მნიშვნელობითა და სტილისტური თავისებურებებით მსგავსებას ადრექრისტიანული პერიოდის ბიჭვინთის მოზაიკასთან იჩენს. ციხისძირის მოზაიკის სავარაუდო თარიღი განისაზღვრება VI საუკუნით. ვინაიდან 2022-2023 წლებში მოზაიკის დაფლული ფრაგმენტის გახსნა, მიწიდან ამოღება და სამუზეუმო მიზნით მისი რესტავრაცია არ მოხერხდა, მოკლებული ვართ დეტალურად ვიმსჯელოთ საეკლესიო სივრცეში მოზაიკის ადგილმდებარეობისა და იდეური და მხატვრულ-სტილისტური თავისებურებების შესახებ.

მოგვიანებით, სამნავიანი ბაზილიკის ნანგრევებზე აგებული ერთნავიანი ეკლესია, რომელიც დღეს კამარისა და სახურავის გარეშეა დარჩენილი, წარმოადგეს სწორკუთხა ფორმის ნაგებობას აღმოსავლეთით Dშვერილი ნახევარწრიული აფსიდით, პარალელურგვერდიანი სარკმლებით, დარბაზის მძლავრად შვერილი ერთსაფეხურიანი პილასტრებით, რაც ასევე გარდამავალი ხანის (VIII-IX-Xსს) ეკლესიების თავისებურებებს ავლენს.

ბობოყვათის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია ადრეული შუა საუკუნეების საეკლესიო არქიტექტურის ძეგლები, სადაც სამშენებლო ფენების მიხედვით, საძირკვლის დონეზე შემორჩენილი, სხვადასხვა პერიოდის სამი ნაგებობის ნაშთია დადასტურებული. პირველ ფენას მიეკუთვნება ნახევარწრიული აფსიდით დასრულებული მცირე ზომის ერთნავიანი ეკლესია, რომელიც კედლებისა და აფსიდის სისქის მიხედვით, წარმოადგენდა რიყის ქვის საძირკველზე დამყარებულ მცირე სამლოცველოს კამაროვანი გადახურვით. ე.წ. მცირე ეკლესიის აფსიდის კიდეები რამდენადმე სცდება სწორკუთხა შენობის კედლებს, რაც ადასტურებს მის მოგვიანო დაშენებას. შესაძლოა აფსიდი ჩაწერილი იყო ეკლესიის სწოკუთხა მოხაზულობაში. ამავე ნაგებობათა ნაშთებზე ადრეული შუა საუკუნეების პერიოდშივე აგებული შვერილი, ნახევარწრიულ აფსიდიანი დარბაზული ეკლესია გამოირჩევა შედარებით დიდი ზომებით, სივრცის გაფართოების ტენდენციით, აფსიდის ნალისებური ფორმითა და უფრო სქელი, მოზრდილი რიყის ქვითა და დუღაბით ნაგები სქელი კედლებით. ამ სამლოცველოს საკურთხევლი ფაქტობრივად შემოსაზღვრავს წინარე პერიოდის აფსიდს და მასთან ერთად ეფუძნება სწორკუთხა ნაგებობის კედელს. გვერდითი სადგომების გარეშე წარმოდგენილ სამლოცველოს, სამხრეთ-აღმოსავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით ერთვის სხვადასხვა ზომის ოთხკუთხა სათავსები. სამხრეთ-აღმოსავლეთ სათავსში დადასტურებულია პრიზმისებური ფორმის ღრმული, სავარაუდოდ, სამარხისათვის. სათავსის

ფორმა, გეგმასთან კავშირი და კედლების განსხვავებული სისქე მიუთითებს, რომ თავდაპირველად ნაგებობას მხოლოდ ჩრდილოეთი მინაშენი ერთვოდა. სამხრეთის მინაშენი კი მოგვიანებით უნდა იყოს აგებული, რასაც ადასტურებს კედლის მიერთება საკურთხვლის აფსიდის კუთხესთან. სამხრეთ-აღმოსავლეთი მინაშენის თანადროული უნდა იყოს დასავლეთი კარიბჭეც. სამშენებლო ფენებისა და არქეოლოგიური გათხრების შედეგად დასურდება, რომ მცირე დროშივე უნდა მომხდარიყო ეკლესიის გაფართოება სამ მხარეს-დასავლეითი ჩრდილოეთითა და სამხრეთით არათანაბარი ფორმის ნავებისა და დასავლეთის გარშემოსავლელის დამატებით. ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში გამოვლენილია სამარხები. შესაძლოა ეკლესიის გაფართოების გადაწყვეტილება სწორედ განსასვენებელი სივრცეების მოწყობის მოთხოვნით იყო განპირობებული.

7. **მერაბ მეგრელიშვილი**

უცხოელ და ქართველ მოგზაურთა შრომებში, XIX-XX საუკუნეში, აჭარაში არსებული გზები და ხიდები ზოგადად, სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით არის წარმოდგენილი. XX საუკუნეში აჭარაში მიმდინარე საგზაო მშენებლობა შეუსწავლელია. აღნიშნულ ნაშრომში წარმოდგენილია XIX-XX სს. აჭარაში არსებული საგზაო კომუნიკაციები და ხელოვნური ნაგებობები, დადგენილია მათი საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა.

კასპიის და შავ ზღვებს შორის არსებულ საქართველოს მნიშვნელოვანი გეო-სტრატეგიული მდებარეობა გააჩნია, რაც ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. შავიზღვისპირეთის ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე მდებარე ბათუმი მეომარ ქვეყნებს სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისით აინტერესებდა, მასზე გადიოდა ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანესი გზები, კერძოდ: ბათუმი-ახალციხე, ბათუმი-ყარსი-ერევანი, ბათუმი-ართვინი-არტაანი, ბათუმი-თბილისი. ბათუმის მეშვეობით რუსეთი უზრუნველყოფდა სამხრეთ-დასავლეთი საზღვრების უშიშროებას, ხოლო კოდორის გზით ამყარებდა გავლენას აფხაზეთზე და კონტროლს შავ ზღვაზე.

XIX-XX საუკუნემდე აჭარაში არსებული გზები მოუწესრიგებელი იყო. ძირითადი ყურადღება ექცეოდა სამხედრო გზას,, კერძოდ ბათუმი-ახალციხის, არდაგანი-ყარსის და გურიასთან დამაკავშირებელ ბათუმი-ქობულეთის გზას. შერიფ ხიმშიაშვილის მმართველობის პერიოდში მოწესრიგდა ზემო აჭარასთან დამაკავშირებელი გზები. ნიკო მარი თურქეთის ლაზეთში მოგზაურობს მარადიდი-ჭოროხის სანაოსნო გზით. XIX საუკუნეში დაიწყო,მაგრამ ვერ განხორციელდა აჭარის ყარსთან დამაკავშირებელი რკინიგზის მშენებლობა.

გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე საბჭოთა პერიოდში აჭარაში გზების მოწესრიგებას დიდი ყურადღება დაეთმო. 1921 წლიდან აჭარაში მოქმედებს გზათა მშენებლობის სამმართველო. 1923 წელს გზების მშენებლობასთან დაკავშირებით მიიღეს 5 წლიანი გეგმა. სამხედრო-სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო უჩამბის, სხალთის, მერისის გზების მოწესრიგებას.

8. **ირინე ვარშალომიძე**

ნაშრომში შესწავლილია მარალმთიან აჭარაში გამოვლენილი ნუმიზმატიკური მასალა, მოცემულია მათი აღწერილობა, ზარაფხანები, ნომინალები. გარკვეულია მათი აქ გამოვლენის მიზეზები. სამონეტო მეურნეობის განვითარებას ზედა აჭარაში ასტურებს ბიზანტიური (ქედა, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელი დარჩიძეები), მონღოლური (სხალთა, ფურტიო) და ქართული ფულის(ვაშლოვანი) აღმოჩენა. მაღალმთიანი აჭარა IX-X საუკუნეებში ერთიანი ქართული სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა. აჭარის ერისთავთ-ერისთავები - იოანე და გრიგოლ აბუსერისძეები ხიხანის, ციხისჯვარის და აწყურის ციხეებთან ერთად არტანუჯის ციხესაც ფლობდნენ. მათი რეზიდენცია ხიხანში მდებარეობდა. წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის მიხედვით ჩანს, რომ XII-XIII საუკუნეებში ეს მხარე ეკონომიკურად განვითარებული და დაწინაურებული იყო. აქედან გადიოდა დამაკავშირებელი მაგისტრალი, ისტორიული გზა, რომელიც ზღვისპირეთს შავშეთსა და არტანუჯთან აკავშირებდა.

აჭარისწყლის ხეობაში გამავალი გზა ახალციხისა და თბილისის გავლით მიემართებოდა კასპიისპირეთსა და სპარსეთისკენ, აქედან კი ინდოეთსა და ჩინეთისაკენ. იგი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთსა და სომხეთის შემაერთებელ გზებთანაც, რომელიც არტანუჯისა და ყარსის გავლით ანისის და დვინის მიმართულებით მიემართებოდა. ამ დროს არტანუჯი იყო დიდი სავაჭრო ცენტრი, რომელიც აკავშირებდა ტრაპიზონს, დასავლეთ საქართველოს,

ქართლს და სომხეთს. ტრაპიზონ-არტანუჯის დამაკავშირებელი გზების ერთი მონაკვეთი აჭარისწყლის ხეობაში გაივლიდა.სატრანზიტო გზების ფუნქციონირება დიდად უწყობდა ხელს ეკონომიკისა და ვაჭრობის დაწინაურებას, რასაც შესაბამისად მოჰყვა სამონეტო მეურნეობის განვითარება აჭარისწყლის ხეობაში.

9. **ელზა ფუტკარაძე, ნანული ნოღაიდელი, ციალა ნარაკიძე, ნარგიზ ახვლედიანი, ნაილე მიქელაძე, ცისნამი ბერიძე, ფატი აბაშიძე**

როგორც ცნობილია, ენათმეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო ლინგვისტურ სურათს გვიჩვენებს სამხრულ-დასავლური დიალექტები. ამ კილოთა სიტყვიერი მასალის შესწავლა მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და აქტუალურია. კვლევის მიზანი იყო დიალექტის ლექსიკონის მომზადება. ამ მიმართებით გვაქვს შ. ნიჟარაძის ლექსიკონი, ასევე, სხვადასხვა სალექსიკონო მასალები. თუმცა აღნიშნული სრულად ვერ ასახავს დიალექტის ლექსიკურ მარაგს. ჩვენ მიერ მომზადებულ ლექსიკონში, ბუნებრივია, აღნიშნული მასალებიც შევიდა. გარდა ამისა, ლექსიკონში აისახა ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის, აარ. ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფონდებში დაცული, ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა მრავალწლიანი სამეცნიერო საქმიანობის შედეგად მოძიებული და მწერლობაში გამოყენებული აჭარული დიალექტური სალექსიკონო მასალა. შესაბამისად, მომზადდა დიალექტის მეტნაკლებად სრულყოფილი ლექსიკონი.

აღნიშნულ საქმიანობაში ჩართული იყო განყოფილების ყველა მეცნიერ-თანამშრომელი (ე. ფუტკარაძე, ნ.ნოღაიდელი, ც. ნარაკიძე, ნ.ახვლედიანი, ნ. მიქელაძე, ც. ბერიძე, ფატი აბაშიძე). ანბანთრიგზე დალაგებული სალექსიკონო მასალა დაბეჭდილია და მზადაა გამოსაცემად.

მოძიებული მასალა საინტერესოა ლექსიკოლოგიური თუ დიალექტოლოგიური კუთხით. გამოვლინდა არქაული ლექსიკური ერთეულები, საერთოქართველური ლექსემები. განსაკუთრებით საინტერესოა საკუთრივ ლექსიკური დიალექტიზმები, ხატოვანი სიტყვა-თქმები. კვლევას აქვს თეორიულ - პრაქტიკული ღირებულება. დიალექტის ლექსიკის საფუძვლიანი შესწავლა გარკვეულ წვლილს შეიტანს ზოგადი ენათმეცნიერების განვითარებაში. საბოლოოდ კი, ხელთა გვაქვს დიალექტის მეტნაკლებად სრულყოფილი ლექსიკონი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ აღნიშნული კუთხით კვლევა შემოგვინახავს დიალექტის ლექსიკურ სახეს. წარმოდგენილი სალექსიკონო მასალა მრავალმხრივ საყურადღებოა. მასალას გამოიყენებენ ისტორიკოსები, არქეოლოგები, ეთნოლოგები, ხე-ლოვნებათმცოდნეები, ენათმეცნიერები. ასევე, გზამკვლევი იქნება სტუდენტებისა და საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

10. **ნოდარ კახიძე, როინ მალაყმაძე, თამილა ლომთათიძე, ნაილა ჩელებაძე, ჯემალ ვარშალომიძე, რუსლან ბარამიძე, ჯემალ მიქელაძე, ანა ბაგრატიონი**

2023 წელს განხორციელდა პროექტის მეექვსე ეტაპის სამუშაოები, კერძოდ, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფონდებში დაცული, საზოგადოებრივი და საოჯახო ყოფასთან დაკავშირებული ეთნოგრაფიული მასალების თემატური დამუშავება. განხორციელდა 1958-1984 წლებში შეკრებილი და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოგრაფიულ ფონდებში დაცული საექსპედიცი მასალის (სოფლების, დასახლებების წარმოშობა, ტოპონიმები, გვარები, ურთიერთობები, კონფლიქტების მოგვარება გვარში და თემში, ოჯახების გაყოფა, მოვალეობების განაწილება, ნადი, სათემო და საოჯახო ურთიერთობები.....) შესწავლა, თემატური დამუშავება წლების მიხედვით, მასალების სისტემატიზაცია. მუზეუმის ფოტო-ფონდში მოიძებნა და მომზადდა თემასთან დაკავშირებული საილუსტრაციო მასალები. მომზადებული მასალების საფუძველზე გამოიცემა პროექტის მეექვსე ტომი.

3. შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

3.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **„ლაზური ეთნოგრაფიული ლექსიკონი“,** ქართველოლოგიის დარგი, ლექსიკოლოგია, ეთნოლოგია, FR-2-1 12533, 2022-2024 წწ.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. ნუგზარ მგელაძე (პროექტის ხელმძღვანელი)
   თემურ ტუნაძე(პროექტის კოორდინატორი)
   იაშა თანდილავა (ძირითადი პერსონალი)
   ციალა ნარაკიძე (ძირითადი პერსონალი)
   ლილე თანდილავა(ძირითადი პერსონალი)
   მზია ჯღარკავა (ძირითადი პერსონალი)

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. თანამედროვე ურბანიზაციის განვითარების, მსოფლიო გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში საფრთხის წინაშე დადგა ტრადიციული კულტურული ფასეულობების სიცოცხლის უნარიანობა. აქედან გამომდინარე, ამ პროცესების ფონზე, ვფიქრობთ, ლაზური ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის თავმოყრა და ბეჭდურ გამოცემაში მისი ასახვა პრობლემათა წარმატებულ გადაჭრას წარმოადგენს. საკვლევი თემის მიზანიც, სწორედ, ლაზური ეთნოლოგიური ტერმინოლოგიის შესწავლაა.
   ამ მიზნით ჩვენ მიერ ჟორჟ დიუმეზილის, იოსებ ყიფშიძის, ირინე ასათიანის, ხასან ჰელიმიშის, ნოდარ კაკაბაძის, სერგი ჟღენტის, ომარ მემიშიშის ნაშრომებიდან ამოკრეფილი და ბარათებზე გადატანილი იქნა 700- ზე ეთნოლოგიური ტერმინი სათანადო განმარტებებით. წეს-ჩვეულებებთან და თამაშებთან დაკავშირებულ ტერმინთა უმრავლესობა ჩვენ მიერ იქნა სათანადოდ აღწერილი. აღმოჩნდა ისეთი ეთნოლოგიური ტერმინებიც , რომლებიც თანამედროვე ლაზთა მეტყველებაში არ იხმარება. ბევრი ტერმინიც ნასესხობის გზითაა შემოსული და დამკვიდრებული თურქულიდან და ბერძნულიდან.

3.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. **„რა იგებს არჩევნებს საქართველოში“,** ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის 2018 წლის კონკურსში გამარჯვებული საგრანტო პროექტი (#FR-18-8649, გაფორმებული 27.02.2019), 2019-2023 წლები;

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. **რუსლან ბარამიძე –** პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი
   მაია ბოლქვაძე – პროექტის მენეჯერი

დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. პროექტით შესწავლილი იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე საპრეზიდენტო არჩევნებში შედეგებით პირველი ორი კანდიდატის ყველა წინასაარჩევნო მიმართვის (პოლიტიკური დისკურსი), სხვა თანამდევი მასალების, პოსტსაარჩევნო აქტივობებისა და დაინტერესებული ჯგუფებზე ზემოქმედების პრაქტიკები. პროექტით წარმოჩნდა საარჩევნო სტრატეგიებში წარმატების განმსაზღვრელი მოდელები და ლეგიტამაციის უზრუნველყოფის/შენარჩუნების სტრატეგია. განხორციელდა პოლიტიკური დისკურსის დისციპლინათაშორისი კრიტიკული კვლევა. პროექტის მიმდინარეობისას განხორციელდა სამუშაო შეხვედრები პროექტის უცხოელ კონსულტანტებთან. პროექტის შედეგები ასახულია შესაბამის სტატიებსა და მოხსენებებში (მათ შორის რეცენზირებად, რეიტინგულ გამოცემებში) და დასკვნით ნაშრომში.
   კვლევის შედეგების ამსახველი დასკვნითი პრეზენტაცია გაიმართა ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ლინკი - https://bsu.edu.ge/main/page/19924/index.html);

4. უცხოური გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო პროექტები

4.1.

1) გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა; პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1.
2.

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1.
2.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.
2.

4.2.

1) დასრულებული (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით, პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი, დამფინანსებელი ორგანიზაცია/სამეცნიერო ფონდი, ქვეყანა, პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები

1. BILATERAL AGREEMENT REGARDING FULFILLMENT OF THE PROJECT GRANT CPEA-LT-2016/10003 “Advanced Collaborative Program for Research Based Education on Risk Management in Industry and Services under Global Economic, Technological and Environmental Changes: Enhanced Edition”, Norwegian
   „გლობალური ეკონომიკური, ტექნოლოგიური და გარემოსდაცვითი ცვლილებებით გამოწვეული პრობლემების კვლევა, განათლების, ინდუსტრიისა და მომსახურების რისკის მართვა“, ინტერდისციპლინარული საგრანტო პროექტი რისკების მართვაზე
   პროექტის საიდენტიფიკაციო კოდი - CPEA-LT-2016/10003
   დამფინანსებელი ქვეყანა - ნორვეგია
   პროექტის დაწყებისა და დამთავრების წლები - 2018-2023 წლები

2) პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)

1. იბრაიმ დიდმანიძე – კოორდინატორი,
   ძირითადი პერსონალი – **მერაბ მეგრელიშვილი,** ზ. მეგრელიშვილი, ნ. ახვლედიანი, დ. დიდმანიძე,

ზ. ახვლედიანი, დ. ახვლედიანი, ნ. სამნიძე, დ. გელაძე, გ. იმნაიშვილი.

დასრულებული კვლევითი პროექტის 2023 წლის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. საგანმანათლებლო და კვლევით სფეროში თანამშრომლობა (უკრაინის, მოლდოვას, საქართველოს და ნორვეგიის უნივერსიტეტები),
   სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ინტერნაციონალიზაცია და განახლება. ევროპის პარტნიორ ორგანიზაციებში არსებული აკადემიური პროგრამების შესწავლა,
   სტუდენტთა და ფაკულტეტის პერსონალის მობილობის ორგანიზება პარტნიორ ორგანიზაციებს შორის,
   ქსელისა და ინტერდისციპლინარული თანამშრომლობის სფეროში რისკების მართვა (მათ შორის, ბიზნესის ხელშეწყობა და თანამშრომლობა - ნორვეგია, უკრაინა, საქართველო, მოლდოვა),
   პროექტის შედეგების გავრცელება საერთაშორისო კონფერენციებზე.

5. პატენტები (არსებობის შემთხვევაში):

5.1. საერთაშორისო პატენტები:

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.
2.

5.2. ეროვნული პატენტები

საპატენტო თემატიკის სათაური; გამომგონებელი/ები და პატენტმფლობელი/ები; პატენტის საიდენტიფიკაციო კოდი

1.
2.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

6.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **„ჩვენი სულიერების ბალავარი“** (ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და წმიდა ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები), XII, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2023, 329 გვ., 119-144, ISSN 1987-5916

2. **„შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“** (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2023, 1367 გვ., ISBN 978-9941-488-79-5

3. **ნოდარ კახიძე, როინ მალაყმაძე, ნაილა ჩელებაძე, ჯემალ ვარშალომიძე, რუსლან ბარამიძე, თამილა ლომთათიძე, ჯემალ მიქელაძე;** „მასალები აჭარის ყოფისა და კულტურის შესწავლისათვის“, ტომი III, შინამრეწველობა-ხელოსნობა, ISBN 978-9941-488-46-7, ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **„ჩვენი სულიერების ბალავარი“**

2018 წელს, 12 მაისი საქართველოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღედ დადგინდა. ამავდროულად, იგი ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეც არის. 2021 წლის 12 მაისიდან დაწყებული, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტმა, ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის, მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულს სამი საერთაშორისო კონფერენცია მიუღვნა. ღვთის მადლითა და დედაღვთისმშობლის მეოხებით, ისტორიული ქარტეხილების მიუხედავად, თითქმის ორი ათასი წლის შემდეგ, როგორც დღევანდელი, ისე ისტორიული საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებაში ნათლად იკვეთება პატივი და თაყვანისცემა მარიამ ღვთისმშობლის, ანდრია პირველწოდებულისა და სხვა წმინდანთა მიმართ. წინამდებარე კრებულიც ამის თვალსაჩინო დასტურია.

კრებულში შევიდა საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრისა და უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელთა 26 მოხსენება, რომლებიც მიძღვნილია რელიგიის, ფილოსოფიის, ფილოლოგიის, ისტორიის, ტოპონიმიის და სხვა საკითხებისადმი

2. **„შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“**

კრებული წარმოადგენს ინტერდისციპლინარული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე - I“ – მასალათა კრებულს. ტომში წარმოდგენილია სამეცნიერო ნაშრომები არქეოლოგიის, ისტორიის, პოლიტოლოგიის, ეთნოლოგიის, ენათმეცნიერების, ლიტერატურისა და ფოლკლორის, რელიგიის, სამართლის, ეკოლოგიის და სხვ. მიმართულებით.

კრებულში შევიდა საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრისა და უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელთა 114 მოხსენება. იგი განკუთვნილია სამეცნიერო საზოგადოებისა და დაინტერესებულ პირთათვის.

3. **„მასალები აჭარის ყოფისა და კულტურის შესწავლისათვის“** - III

მასალების მესამე ტომში შეტანილია ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ 1958-1990-იან წლებში აჭარაში (ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის, ქობულეთის მუნიციპალიტეტები) შეკრებილი ის ეთნოგრაფიული მასალები, რომლებშიც ასახულია მრავალდარგოვანი ხელოსნობისა და შინამრეწველობის ძირითადი საკითხები. მასალები შეიცავს ეთნოგრაფიულ მონაცემებს მჭედლობაზე, ხისა და კერამიკულ ნაკეთობათა დამზადებაზე, ხალხურ ფეიქრობაზე, ამ დარგებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე. ტომს ერთვის საძიებლები და საილუსტრაციო მასალები. ტომში შესული საექსპედიციო მასალები ნათლად წარმოაჩენს აჭარელთა წვლილს ხელოსნობა-შინამრეწველობის ნაკეთობათა დაზადებაში, რომლის ცალკეული ნიუშები, თავისი დახვეწილი ფორმებით, გამორჩეულ ადგილს იმკვიდრებს საერთოდ, ქართულ ხელოსნურ-შინამრეწველურ ნაკეთობათა ისტორიაში.

6.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

6.3. სტატიები ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდის (DOI) მითითებით
ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI (არსებობის შემთხვევაში); ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **გიორგი თავამაიშვილი,** „ლითონის ნემსკავები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან“, DOI: https://doi.org/10.52340/wbam.2023.02 // ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის „შრომები“, IX, გვ.17-33, ISSN 1512-0716 (print), ISSN 2960-947X (online)

2. **ირინე ვარშალომიძე,** ანდრია როგავა, „რომაული მონეტები სოფლა-ყვავილნარიდან (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, გურია)“, **DOI** https://doi.org/10.61671/hes.6.2023.7370 // „აღმოსავლეთმცოდნეობის მაცნე“ (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი), ტ. VI, №2, ბათუმი, გვ. 446-466, ISSN 2587-490X, E-ISSN: 2720-8168;

3. **ირინე ვარშალომიძე,** ნარგიზ სურმანიძე, „ბიზანტიური მონეტა სოფელ დარჩიძეებიდან (შუახევის მუნიციპალიტეტი)“, **DOI** https://doi.org/10.52340/wbam.2023.0 / ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის „შრომები“, IX, გვ.45-49, ISSN 1512-0716 (print), ISSN 2960-947X (online)

4. **Roin Malakmadze, Sulkhan Mamuladze,** „Wineries in Machakheli Valley“ // The online scientific journal: “History, Archaeology, Ethnology”; Gori State University; Vol. X; http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/442

5. **ელზა ფუტკარაძე,** „საქორწინო ლექსიკა და ხატოვანი თქმები ტაო-კლარჯულში“, https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.27, კრებ.: „ქართველური მემკვიდრეობა“, XXVII, ISSN 1512-0953, ქუთაისი, გამომც.: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 7გვერდი (გვ. 232-238).

6. **ნარგიზ ახვლედიანი;** „ტოპონიმ ბათუმის ეტიმოლოგიისათვის“, DOI: https://doi.org/10.52340/ggj.2023.03.02.17 , *Georgian Geographical Journal,* Vol. 3 No. 2 (2023),Tbilisi, Georgia p. 5, Goolge Scholar IF - 0.78 (2023), E-ISSN: 2667-9701.

7. **ნარგიზ ახვლედიანი,** ლელა ჩოთალიშვილი, ნინო ჯორბენაძე, იამზე გაგუა; „აია/კოლხეთი - სინონიმური ტოპონიმების ისტორიისათვის“, DOI: https://doi.org/10.52340/ggj.2023.03.02.18, *Georgian Geographical Journal,* Vol. 3 No. 2 (2023),Tbilisi, Georgia p. 4, Goolge Scholar IF - 0.78 (2023) E-ISSN: 2667-9701.

8. **ნაილე მიქელაძე,** „ტოპონიმ „გულების“ გენეზისისათვის“, DOI: https://doi.org/10.52340/idv https://journals.4science.ge/index.php/IDV, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრებული ,,კულტურათშორისი დიალოგები“, VII, ISSN:2233-3401, E-ISSN 2667-999X, გამომც.: ,,მერიდიანი“, 4 გვერდი (გვ. 243-247).

9. **ნაილე მიქელაძე,** მარიამ პაპიაშვილი, ,,ხის კულტი ჰერეთის მკვიდრთა ცნობიერებაში (ახალი ფოლკლორული მასალების მიხედვით), https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.17, კრებ.: ,,ქართველური მემკვიდრეობა“, XXVII, ISSN 1512-0953, ქუთაისი, გამომც.: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 10 გვერდი (გვ.139-148).

10. **ციალა ნარაკიძე,** „მცენარეული ლექსიკისა და მათი წარმომავლობის შესახებ ლაზურში“, https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.19, კრებ.: „ქართველური მემკვიდრეობა“, XXVII, ISSN 1512-0953, ქუთაისი, გამომც.: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 7 გვერდი (გვ. 166-172).

11. **ფატი აბაშიძე,** „მეფე ერეკლეს სახე ხალხურ შემოქმედებასა და ვახტანგ ორბელიანის ლექსში „იმედი“; https://doi.org/10.52340/PUTK.2023.27.03, კრებ,; ,,ქართველური მემკვიდრეობა“, XXVII, ISSN 1512-0953, ქუთაისი, გამომც.: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 6 გვერდი (გვ. 27-32).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **„ლითონის ნემსკავები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთიდან“**

ჩვენი ქვეყნის მატერიალური კულტურის ძეგლების არქეოლოგიური კვლევის პროცესში იშვიათად გვხვდება თევზსაჭერი იარაღები. ეს რეალობა გარკვეული ობიექტური მიზეზებით არის განპირობებული. ნაშრომის მიზანია წარმოვაჩინოთ მეთევზეობასთან დაკავშირებული არტეფაქტების ერთი კონკრეტული ჯგუფი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა ზოლშია აღმოჩენილი. კერძოდ, მიმოვიხილავთ ლითონისგან დამზადებული სათევზაო ნემსკავებს, რომლებიც ქობულეთ-ფიჭვნარსა და პეტრა-ციხისძირშია. კერძოდ, განხილულია ქობულეთ-ფიჭვნარის ელინისტური ხანის სამაროვანზე, პეტრას ციხის და ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი სპილენძის, ბრინჯაოსა და რკინის სათევზაო ნემსკავები. ყველაზე ადრეული ბობოყვათის დიუნურ სადგომებზე მიკვლეული ბრინჯაოს ნემსკავებია, რომლებიც ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება. ყველაზე დიდი რაოდენობით ნემსკავები აღმოჩენილია ფიჭვნარის ელინისტურ სამაროვანზე, სადაც ისინი სათევზაო ბადის ტყვიის საძირავებთან ერთად დაკრძალულებს საფლავში ჰქონდათ ჩაყოლებული. ფიჭვნარის ბრინჯაოს ნემსკავები, თანმხლები მასალის მიხედვით, ძვ.წ. IV-III საუკუნეებით თარიღდება. პეტრა-ციხისძირის ნემსკავები რკინის და ბრი-ნჯაოსგანაა დამზადებული. ისინი შეგვიძლია ახ.წ. VI საუკუნით დავათარიღოთ.

2. **„რომაული მონეტები სუფსა-ყვავილნარიდან (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, გურია)“**

ნაშრომი მიზნად ისახავს 2013, 2023 წლებში აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, ყვავილნარსა და სუფსაში შემთხვევით გამოვლენილი ვერცხლის მონეტების განსაზღვრას, აღწერას, ქვეყნის, ქალაქის, ემისიის წლების, მეტროლოგიური პარამეტრების დადგენას, პარალელური მასალის მოძიებას და მონეტების საკვლევ ტერიტორიაზე მიმოქცევის მიზეზებისა და გზების დადგენას. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყვავილნარის მონეტები წარმოადგენს კაპადოკიის ქალაქ კესარიაში მოჭრილ დრაქმებს: სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ.) - 3, იულია დომნა (†217) - 3, გეტა (209-211 წწ.) - 2, კარაკალა (198-217 წწ.) - 2, ფულვია პლაუტილა (202/5-211) - 1. ხოლო სუფსის მონაპოვარი სეპტიმიუს სევსრუსის დენარს. კოლხეთი კაბადოკიის პროვინციის შემადგენლობაში შედიოდა, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რომაულ ფორტებში აქედან გადმოყვანილი გარნიზონებიც იდგა. პოლიტიკურ კონიუნქტურას მოჰყვა შესაბამისი ეკონომიკური ურთიერთობები. კესარიაში მოჭრილი დრაქმები რომაულ ხანაში დიდი რაოდენობით შემოდიოდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და მიმოქცევის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა. მონეტების შესწავლის საკითხში ყველაზე მნიშვნალოვანია აღმოჩენის ადგილის კვლევა. სუფსა-ურეკის მიდამოებში რომაული მონეტები ადრეც გამოვლენილა. 1942 წელს ურეკში მიწის სამუშაოების დროს აღმოჩნდა რომაული აურეუსი, აურეუსის მინაბაძი და რამდენიმე კესარიული დრაქმა. 1949 წელს იგივე პუნქტში შემთხვევით და შემდეგ არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩნდა კაბადოკიური საფასეები. რაც შეეხება კესარიული და რომაული მონეტების საკვლევ პუნქტში გამოვლენის საკითხს, რომაული გარნიზონი იდგა ციხისძირშიც და ფოთშიც, ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით სოფელ მოედანში გარნიზონი ჩააყენა სეპტიმიუს სევერუსმა. ასეთ შემთხვევაში ყვავილნარსა და სუფსაში რომაული მონეტების გამოვლენა ბუნებრივია და არავითარ განსაკუთრებულ კომენტარს არ საჭიროებს. შესწავლილი ნუმიზმატიკური ძეგლები სრულიად ჯდება კოლხეთის სამონეტო მიმოქცევის კანონზომიერებაში. მონეტების აღმოჩენა დღის წესრიგში აყენებს საკვლევი პუნქტების არქეოლოგიური შესწავლის აუცილებლობას.

3. **„ბიზანტიური მონეტა სოფელ დარჩიძეებიდან (შუახევის მუნიციპალიტეტი)“**

განვითარებული შუასაუკუნეების სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევის შესწავლისათვის ინფორმაციულია სოფელ დარჩიძეებში შემთხვევით აღმოჩენილი X საუკუნის

ბიზანტიური მონეტა. აღნიშნულ პერიოდში მონეტები ძირითადად მიმოიქცევა ზღვისპირა ზოლში, თუმცა ბოლო წლების ნუმიზმატიკურმა აღმოჩენებმა დაადასტურა, რომ ფულადი მეურნეობა აჭარის მაღალმთიანეთშიცაა განვითარებული.

4. „Wineries in Machakheli Valley“

მეურნეობის ერთ-ერთ უძველეს, დაწინაურებულ და განვითარების გარკვეული საფეხურიდან წამყვან დარგს წარმოადგენდა მევენახეობა-მეღვინეობა. მარანი, უპირველეს ყოვლისა, წმინდა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობაა, სადაც თავმოყრილია ყველა ის ჭურჭელი და ინვენტარი, რომლებიც მეღვინეობასთან არის დაკავშირებული. როდესაც მეღვინეობის დარგის ხანდაზმულობასა და მის განვითარებაზე გვაქვს საუბარი, არ შეიძლება მხედველობაში არ მივიღოთ მასთან დაკავშირებული სხვა ინვენტარიც. ასეთი ინვენტარის ერთ-ერთ შემადგენელ კომპონენტს საწნახელი წარმოადგენს. იგი, თავისი სამეურნეო დანიშნულებით იმდენად ახლო კავშირშია მეღვინეობასთან, რომ ადამიანს ღვინის დაყენების დაწყებასთან ერთად პირველი საწნახელიც უნდა გაეკეთებინა. უახლესი კვლევებით ჩანს, რომ მევენახეობა-მეღვინეობას საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ყოფა-ცხოვრების უმნიშნელოვანესი ადგილი უჭირავს, მათ შორის აჭარაშიც, ამ შემთხვევაში, ჩვენი კვლევის არეალში - მაჭახლის ხეობაში. ვაზისათვის აქ გამოიყენებოდა მაღალხეებიანი ფერდები, რომლებიც ბუნებრივად იზრდებოდა ეზო-კარმიდამოს, გზების, სახნავ-სათესების ირგვლივ, ღელეების პირას. აღსანიშნავია ისიც, რომ აჭარის მევენახეობა-მეღვინეობის შესწავლისას ორი პერიოდი გამოიყოფა: 1. უძველესი პერიოდიდან ოსმალთა ბატონობამდე; 2. ოსმალთა ბატონობის პერიოდი (XVII-XIX). ოსმალთა ბატონობამ აჭარასა და სამცხე საათაბაგოში მევენახეობას და მეღვინეობაზე უარყოფითი გავლენა იქონია - მევენახეობა დაკნინდა, მეღვინეობა კი თითქმის მთლიანად მოისპო. ოსმალთა ბატონობის დროს მეღვინეობა-მევენახეობის დაცემა, უმთავრესად, რელიგიური და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებითაა განპირობებული.

განვითარებული შუა საუკუნეების მაჭახელში გავრცელებული იყო კლდეში, ქვის ლოდში გამოკვეთილი, ასევე, ქვითკირით ნაგები ან ნახევრად კლდეში გამოკვეთილი ქვითკირის კედლების მქონე საწნახლები, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც საეკლესიო, ისე, საერო ნაგებობებთან, ან განთავსებულ იქნას განცალკევებით ტყეში, კლდეებთან ახლოს, მთის ფერდებზე გაშენებული მაღლარი ვენახების მახლობლად.

მაჭახლის რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის ფართოდ გავრცელებაზე მიუთითებს შემორჩენილი და არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად აღმოჩენილი ღია და დახურული ტიპის მარნები. აღსანიშნავია ისიც, რომ მარნები დასტურდება მაღალმთიან ზოლში, იქ სადაც ვენახი არ ხარობს, რაც თავის მხრივ ადასტურებს ცნობებს ბარიდან მთაში ბადაგის ტრანსპორტირებისა და ღვინის შენახვის ტრადიციის შესახებ.

აჭარის ტერიტორიაზე, მათ შორის მაჭახელშიც, გამოვლენილი და შესწავლილი ღია და დახურული ტიპის მარნები დადასტურებულია საეკლესიო-სამონასტრო, საცხოვრებელ და თავდაცვით კომპლექსებთან. მარნების სახასიათო ნიშნებს წარმოადგენს მართკუთხა გეგმარების მქონე სათავსის ნაწილობრივ მიწის სიღრმეში განთავსება, სივრცის ერთ ან ორ სათავსოდ წარმოდგენა, ექსტერიერის ბანური, ხოლო ინტერიერის კამაროვანი გადახურვა, მარნის შიდა და გარე ტერიტორიებზე მოზრდილი ქვევრების ჩატანება, ქვით ნაგები კედლებისა და ფასადების შედარებით სუფთა წყობა და მაღალი სამშენებლო კულტურა.

მარნებთან ერთად, განვითარებული შუა საუკუნეების მაჭახელში გავრცელებული იყო მარნის, ან ვაზის სავარგულის მიმდებარედ, ასევე, კლდეში, ქვის ლოდში გამოკვეთილი ქვითკირით ნაგები ან ნახევრად კლდეში გამოკვეთილი ქვითკირის კედლების მქონე საწნახლები, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს როგორც საეკლესიო, ისე, საერო ნაგებობებთან.

ამდენად, კვლევებით ჩანს, რომ მაჭახლის ხეობაში შემორჩენილი მარან-საწნახლები მეღვინეობა-მევენახეობის უძველეს ტრადიციებს ადასტურებს. საწნახელთა სიმრავლე, მისი აგების ტექნიკა, ფორმები, თავისებურებები განვითარებულ და გვიან შუა საუკუნეებში მეღვინეობა-მევენახეობის ტრადიციების უწყვეტობას გვიჩვენებს.

5. „საქორწინო ლექსიკა და ხატოვანი თქმები ტაო-კლარჯულში“

ტაო-კლარჯულ დიალექტთა ლექსიკისადმი ინტერესი კვლავ აქტუალურია. თურქული ენის გავლენით აღნიშნული ლექსიკა იცვლება. მართალია, არაერთი სტატია თუ მონოგრაფიაა აღნიშნულ

საკითხთან დაკავშირებით, თუმცა ლექსიკის დარგობრივი კუთხით ანალიზი და შედარება სხვა დიალექტების მონაცემებთან, უფრო სრულყოფილ წარმოდგენას შეგვიქმნის დიალექტის ლექსიკურ თავისებურებათა შესახებ. ამ მიმართებით საინტერესოა ისეთი მყარი ინსტიტუტის ლექსიკაზე დაკვირვება, როგორიცაა საქორწინო ურთიერთობები თუ წეს- ჩვეულებები. გამოვლინდა არაერთი საინტერესო ლექსიკური ერთეული და ხატოვანი სიტყვა - თქმა. ეს ლექსიკური ერთეულები თუ ხატოვანი თქმები არა მხოლოდ ლექსიკოლოგიური, არამედ ეთნოკულტუროლოგიური კუთხითაც სახასიათო და მნიშვნელოვანი მასალაა. ლექსიკურ ერთეულთა ანალიზისას ვეყრდნობით 2004 -2018 წლებში ჩვენ მიერ ჩაწერილ და სამეცნიერო მიმოქცევაში არსებულ ტექსტებს.

6. „ტოპონიმ ბათუმის ეტიმოლოგიისათვის“

ქალაქები ყველა ეპოქაში წარმოადგენდნენ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრებს, რითაც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საერთო ისტორიული პროცესის განვითარებაში. საქართველოში ქალაქებისადმი ინტერესი XIX საუკუნის II ნახევარში გაჩნდა. აქტიური მეცნიერული კვლევა კი XX საუკუნის შუა ხანებიდან დაიწყო. სტატიაში ,,ტოპონიმ ბათუმის ეტიმოლოგიისათვის'' განხილულია სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე არსებული თეორიები და მოცემულია კვლევის ჩვენეული ახალი ცდა.

7. „აია/კოლხეთი - სინონიმური ტოპონიმების ისტორიისათვის“

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა გააჩნია ბერძენ მწერალთა და სწავლულთა ცნობებს საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლისათვის. მათ შემოგვინახეს არაერთი პირველხარისხოვანი, ზოგჯერ კი, უნიკალური ინფორმაცია ჩვენი ქვეყნის წარსულის შესახებ. ნაშრომში განხილულია ქართველ მეცნიერთა კვლევებიც. წერილობითი ძეგლების შეწავლის საფუძველზე რამდენადმე თანმიმდევრულად იხაზება კოლხეთის ტერიტორიაზე ადრეკლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების, საქალაქო ცხოვრების განვითარებისა და ანტიკურ სამყაროსთან თუ სხვა შორეულ ქვეყნებთან კოლხეთის სამეფოს პოლიტიკურ-ეკონიმიკური ურთიერთობის ისტორიის სურათი.

8. „ტოპონიმ ,,გულების“ გენეზისისათვის“

ნაშრომში განხილულია საარქივო ფონდში დაცული მასალები, წლების განმავლობაში მკვლევართა და ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალათა ანალიზი. საუბარია აჭარაში შემონახულ ლეგენდებზე, რომელთა გენეზისი ტოპონიმთა ეტიმოლოგიაში ცხადდება. ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ მსგავსი შინაარსის ეტიმოლოგიურ კვლევებს, ხშირად ფოლკლორულ-ისტორიულ წყაროსთან მივყავართ. აჭარის ზეპირსიტყვიერ მასალებსა თუ გადმოცემებში დაცულია აჭარაში არსებული ისტორიული სინამდვილე, ოსმალოს აგრესიასთან ბრძოლის ეპიზოდები და თავისებურებანი, რაც ამ კუთხეში საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა. ჩვენს საკვლევ თემას წარმოადგენს ერთი სოფლის ტოპონიმის ,,გულების“ გენიალოგია, რომლის ისტორია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიული თავფურცელია აჭარის ფოლკლორში.

ამრიგად, არსებულ და მოძიებულ მასალებზე დაყრდნობით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ სოფელში არსებულა საერო ან სასულიერო მცხოვრებთა სტრატეგიული ნაგებობა, რომლის ნანგრევები ძირეულ ისტორიულ კვლევას ექვემდებარება. აღნიშნული მასალა ნაკლებად შესწავლილია. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება მისი გაცნობა მკვლევართათვის.

9. „ხის კულტი ჰერეთის მკვიდრთა ცნობიერებაში (ახალი ფოლკლორული მასალების მიხედვით)“

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია ისტორიულ ჰერეთში დაცული მასალები, რომლებიც ჩაწერილია კახის რაიონის, ალიბეგლოსა და ყარამეშას მოსახლეობაში. ნაშრომში ვხდებით საინტერესო და ყურადსაღებ თქმულებებს, ლეგენდებს, რომლებიც მნიშვნელოვანია ქართველი ერის ისტორიოგრაფიისა და კულტურული ცნობიერების ასამაღლებლად, მიუხედავად ისტორიული ბედუკუღმართობისა, ჰერეთში აქაურთა მკვიდრებს კარგად შემოუნახავთ წინაპრისეული რწმენა, ტრადიციები. ყურადსაღებია, ,,წმინდა საგნებისადმი“, წმინდანების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება, რომელსაც მათ მეხსიერებათა კორპუსში ვაწყდებით და ზოგადქართული ფოლკლორის იდენტურია.

10. „მცენარეული ლექსიკისა და მათი წარმომავლობის შესახებ ლაზურში“

ნაშრომში საუბარია მცენარეული ლექსიკის შესახებ ლაზურში. ლაზურის მცენარეთა ლექსიკა სხვადასხვა კუთხითაა საინტერესო. გამოვლინდა, რომ ლაზურის მცენარეთა ლექსიკა სინონიმურ ფორმებსაც წარმოგვიდგენს. ეს, თავის მხრივ, ლაზურის ლექსიკური ფონდის გამდიდრების საშუალებაა და იმავდროულად, ისტორიულშედარებითი ლექსიკისათვისაც საჭირო მასალაა. ასევე, ნაშრომში განხილული ლექსიკური ერთეულები სიტყვათა წარმოების შესწავლისა და ეტიმოლოგიური დაკვირვების კუთხითაც სახასიათოა. გამოიკვეთა ისეთი ლექსემებიც, რომლებიც ჩვენ მიერაა პირველად ფიქსირებული და არ არის ასახული შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში.

11. „მეფე ერეკლეს სახე ხალხურ შემოქმედებასა და ვახტანგ ორბელიანის ლექსში „იმედი“

ნაშრომში განხილულია ვახტანგ ორბელიანი, როგორც ქართველი რომანტიკოსი, რომელიც მეტად დიდ ინტერსს გამოხატავს ხალხური სიტყვიერებისადმი, რომელშიც კარგად ჩანს ჩვენი ქვეყნის წარსული; ის აღფრთოვანებული არის მშობელი ქვეყნისათვის თავდადებული, გმირი მეფე ერეკლეს პიროვნებით; ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ ერეკლეს ეპოქა სისხლხორცეული და უდიდესი შემოქმედებითი შთაგონების წყაროა, რაც ნათლად არის გამოხატული პოეტის შემოქმედებასა და ლექსში „იმედი“.

6.4. სტატიები ჟურნალის/კრებულის ISSN-ის მითითებით

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით (არსებობის შემთხვევაში); გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1. **ოლეგ ჯიბაშვილი,** ხათუნა დიასამიძე, ირაკლი ბარამიძე, „ერეკლე მეფის მზადება აღა-მაჰმად ხანის დასახვედრად“// „გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი“, ქუთაისი, 2023, №3, გვ.63-79, ISSN 1512-1593

2. **ოლეგ ჯიბაშვილი,** ირაკლი ბარამიძე, ხათუნა დიასამიძე, „დიდი ბრიტანეთის ვიცე-კონსულის ფრედერიკო გუარაჩინოს ცნობები ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ ბათუმში (1840-1845)“ // „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2023, გვ. 115-129, ISBN 978-9941-488-79-5

3. **ოთარ თურმანიძე,** „აჭარიდან 1937-1938 წლებში რეპრესირებული ქალები“ // საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის „შრომები“, IX, ბათუმი, 2023, გვ. 52-71, ISSN 2449-2507

4. **ოთარ თურმანიძე,** „ახალგაზრდობის ორგანიზაციები აჭარაში 1917-1930 წლებში“ // „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2023, გვ. 219-240, ISBN 978-9941-488-79-5

5. **უჩა ოქროპირიძე,** „აჭარა სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებიდან „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“ შეყვანამდე (1992. 6. 01-1994. 1. 03)“ // „კულტურულ-საისტორიო ძიებანი“ (საქართველოს ეროვნული აკადემიის წ.კ. გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის თეზისები), თბილისი, 2023, გვ. 85-86
https://www.researchgate.net/publication/376313974_International_Scientific_Conference_CULTURAL_AND_HISTORICAL_RESEARCH_in_Honour_of_the_85th_Anniversary_of_the_Birth_of_Corresponding_Member_of_the_Georgian_National_Academy_of_Sciences_Guram_Lortkipan?fbclid=IwAR3_3MnsYKk6nNG6_0f4wDRes9gqw8dFiiXU3NAzRcoAgXRrNnp_PAxR7eA
file:///C:/Users/user/Downloads/-.-.pdf

6. **უჩა ოქროპირიძე,** „დიდი ღამის“ შემამზადებელი გარემოებანი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ქართული არაფორმალური პრესის მიხედვით“ // „კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხები“ (თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისრაელის ცენტრი), XXXVI, თბილისი, 2023, გვ. 207-231, ISSN 1512-0694,

7. **უჩა ოქროპირიძე,** „თანამედროვე ქართული ეროვნული მოძრაობა და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ქართული არაფორმალური პრესის მიხედვით“ // „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2023, გვ. 340-356, ISBN 978-9941-488-79-5

8. **უჩა ოქროპირიძე,** „ქართული ასომთავრული, საკრალური პოეზია, ანუ სამყაროს ხუთი კვირეული“ (ნაწ. მესამე), // „ჩვენი სულიერების ბალავარი“ (ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და წმიდა ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), XII, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2023, გვ. 188-198, ISSN 1987-5916

9. **გიორგი თავამაიშვილი,** „საქართველოს ზღვისპირეთის დიუნური სადგომები (ფიჭვნარი, ბობოყვათი, ციხისძირი)“ // ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები „ფიჭვნარი“, VIII, გამომც. „ფავორიტი“, ბათუმი, 2023, გვ. 174-205, ISBN 978-99940-0-114-9 (ყველა ტომისთვის), ISBN 978-9941-8-6182-6 (VIII ტომი).

10. **მაია ჭიჭილეიშვილი,** „მაჭახლის ხეობის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები“ // „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2023, გვ. 989-1004, ISBN 978-9941-488-79-5

11. **მერაბ მეგრელიშვილი,** „გზები და ხიდები აჭარაში XIX საუკუნე“ // „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო“ (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) (საერტაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), X, გამომც. „უნივერსალი“, თბილისი, გვ. 354-367, ISSN 2298-0776
http://www.adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=1183957&gid=2

12. **მერაბ მეგრელიშვილი,** „რელიგიური სკოლები აჭარაში XIX-XX სს.“ // „ჩვენი სულიერების ბალავარი“ (ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და წმიდა ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), XII, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2023, გვ. 119-144, ISSN 1987-5916

13. **მერაბ მეგრელიშვილი, ნიკოლოზ მეგრელიშვილი,** „რუსეთ-თურქეთის ინტერესები შავ ზღვაზე გაბატონებისთვის და ბათუმი-ფოთის პორტების სამხედრო დანიშნულება“ // „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2023, გვ. 309-318, ISBN 978-9941-488-79-5

14. **ირინე ვარშალომიძე,** „არიარათეს I-ის(ძვ.წ.333–322) დრაქმა ფიჭვნარიდან“ // „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2023, გვ. 44-52, ISBN 978-9941-488-79-5

15. **ირინე ვარშალომიძე,** „ფიჭვნარი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით“ // ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები „ფიჭვნარი“, VIII, გამომც. „ფავორიტი“, ბათუმი, 2023, გვ. 266-287, ISBN 978-99940-0-114-9 (ყველა ტომისთვის), ISBN 978-9941-8-6182-6 (VIII ტომი)

16. **ირინე ვარშალომიძე,** ანდრია როგავა, ნონა იმნაძე, „რომაული მონეტები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან (სუფსა, ყვავილნარი)“ // „კულტურულ-საისტორიო ძიებანი“ (საქართველოს ეროვნული აკადემიის წ.კ. გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის თეზისები), თბილისი, 2023, გვ. 28-29
https://www.researchgate.net/publication/376313974_International_Scientific_Conference_CULTURAL_AND_HISTORICAL_RESEARCH_in_Honour_of_the_85th_Anniversary_of_the_Birth_of_Corresponding_Member_of_the_Georgian_National_Academy_of_Sciences_Guram_Lortkipan?fbclid=IwAR3_3MnsYKk6nNG6_0f4wDRes9gqw8dFiiXU3NAzRcoAgXRrNnp_PAxR7eA
file:///C:/Users/user/Downloads/-.-.pdf

17. შოთა მამულაძე, **სულხან მამულაძე**, „რომაული პერიოდის ბალზამარები გონიო-აფსაროსიდან“ // „გონიო-აფსაროსი“ (შრომების კრებული), XII, გამომც. „ფავორიტი“, თბილისი, 2023, გვ. 117-132, ISSN 2567-0946

18. შოთა მამულაძე, **სულხან მამულაძე**, „კულტმსახურება რომაული პერიოდის გონიო-აფსაროსში“ // „კულტურულ-საისტორიო ძიებანი“ (საქართველოს ეროვნული აკადემიის წ.კ. გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის თეზისები), თბილისი, 2023, გვ. 69-70
https://www.researchgate.net/publication/376313974_International_Scientific_Conference_CULTURAL_AND_HISTORICAL_RESEARCH_in_Honour_of_the_85th_Anniversary_of_the_Birth_of_Corresponding_Member_of_the_Georgian_National_Academy_of_Sciences_Guram_Lortkipan?fbclid=IwAR3_3MnsYKk6nNG6_0f4wDRes9gqw8dFiiXU3NAzRcoAgXRrNnp_PAxR7eA
file:///C:/Users/user/Downloads/-.-.pdf

19. შოთა მამულაძე, თამარ შალიკაძე, ლაშა ასლანიშვილი, **სულხან მამულაძე**, „გონიო-აფსაროსში 2016-2017 წლებში ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში (SO XII-SO XIII სექტორი) წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები“ // „გონიო-აფსაროსი“ (შრომების კრებული), XII, გამომც. „ფავორიტი“, თბილისი, 2023, გვ. 63-87, ISSN 2567-0946

20. **ელზა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე, ნაილა ჩელებაძე,** „ზედა მაჭახელი (ეთნოლოგიურ-დიალექტოლოგიური შესწავლის ზოგიერთი ასპექტი)“, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი - „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“, X, Online ISSN: 2449-285X,გორი, გამომც.: გორის უნივერსიტეტი, 15 გვერდი (გვ.265-279).
http://www.sciencejournals.ge/index.php/HAE/article/view/441/394

21. **ელზა ფუტკარაძე,** „მამია ვარშანიძის „პოეტური აღმოთქმა“, კრებული „ჩვენი სულიერების ბალავარი“, XII, ISSN 1987-5916, გამომც.: „ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“,11 გვერდი (გვ. 247-257).

22. **ელზა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე, შუშანა ფუტკარაძე,** „კონსტანტინე ოდიშარიას არტაანში მოგზაურობის დღიურების მნიშვნელობა“, კრებ.: შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, I, ISBN 978-9941-488-79-5, ბათუმი, გამომც.: „ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 10 გვერდი(გვ. 413-422).

23. **ელზა ფუტკარაძე,** კაკალა ებრალიძე, „ზურაბ გორგილაძის შემოქმედების ზოგიერთი სტილური თავისებურება“, კრებ.: შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე,საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, I, ISBN 978-9941-488-79-5, ბათუმი, გამომც.: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 9 გვერდი (გვ. 894-902).

24. **ნანული ნოღაიდელი,** „კომპოზიტები აჭარული დიალექტის ლექსიკაში“, კრებ.: შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, I, ISBN 978-

9941-488-79-5, ბათუმი, გამომც.: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 8 გვერდი (გვ. 791-798).

25. **ნანული ნოღაიდელი,** „რამდენიმე ტერმინი ხითხუროობის ლექსიკიდან“, კრებ.: ჩვენი სულიერების ბალავარი, ტომი XII, ISSN 1987-5916 ბათუმი, გამომც.: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 8 გვერდი (გვ. 182-189).

26. **ნარგიზ ახვლედიანი,** „ჰიდრონიმ ,,კინკიშა“-ს ეტიმოლოგიისათვის“, სამეცნიერო შრომების კრებული, ქართველური ენათმეცნიერება, IX, ISSN 2346-8106, თბილისი, ივ, ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 5 გვერდი(გვ. 125-129).

27. **ნარგიზ ახვლედიანი,** ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი, „ფიტოტოპონიმთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ლინგვოკულტუროლოგიურ სივრცეში“, კრებ.: შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, I, ISBN 978-9941-488-79-5, ბათუმი, გამომც.: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“,7 გვერდი (გვ. 736-742).

28. **ციალა ნარაკიძე,** „ზოგიერთი საწესჩვეულებო ლექსიკური ერთეული ლაზურში“, კრებ.: შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, I, ISBN 978-9941-488-79-5, , ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 8 გვერდი (გვ. 1360-1367).

29. **ნაილე მიქელაძე,** „შელოცვებთან დავშირებული ზოგიერთი საკითხის გააზრებისათვის აჭარის ფოლკლორში“, კრებ.: შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, I, ISBN 978-9941-488-79-5, ბათუმი, გამომც.: „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 8 გვერდი (გვ. 851-859).

30. **ნაილე მიქელაძე,** „ისტორიული რეალიები ასლან მიქელაძის პირადი არქივიდან“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დაწესებულება - საარქივო სამმართველო, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, X, ISSN 2298-0776, თბილისი, გამომც.: `,,უნივერსალი“, 8 გვერდი (გვ. 302-310).

31. **ნაილე მიქელაძე,** „რამდენიმე ტოპონიმის გააზრებისათვის აჭარის ფოლკლორში (ხულოს რაიონში 1953 წელს განხორციელებული ექსპედიციის მასალების მიხედვით)“, კრებ.: ,,ჩვენი სულიერების ბალავარი“, XII, ISSN 1987-5916, ბათუმი, გამომც.: „ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 12 გვერდი (გვ. 146-157).

32. **ნაილა ჩელებაძე,** ჯელო ჩელებაძე, „აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობა და ბიოგარემო ჰიპოკრატეს მიხედვით („ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“)“ // „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ISBN 978-9941-488-79-5, ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, გვ. 675-688.

33. **ნაილა ჩელებაძე,** „დიდაჭარის ტრადიციული კულტურის შესწავლის ზოგიერთი ასპექტისათვის“ // „ჩვენი სულიერების ბალავარი“ (ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და წმიდა ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), XII, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2023, გვ. 291-300, ISSN 1987-5916

34. **ნუგზარ ჩხაიძე,** „ქ.ბათუმში მცხოვრები, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდების უმუშევრობის ძირითადი მიზეზები და გადაჭრის გზები“ // „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“

(საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ISBN 978-9941-488-79-5, ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, გვ. 713-724.

35. **თამილა ლომთათიძე,** „ტრადიცია, როგორც ეროვნული იდენტობის მარკერი თურქეთის ქართველებში“ // „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ISBN 978-9941-488-79-5, ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, გვ. 606-616.

36. **ჯემალ მიქელაძე,** „უძველესი მეგალითური დასახლებები მაღალმთიანი აჭარიდან“ // „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“ (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), I, ISBN 978-9941-488-79-5, ბათუმი, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, გვ.83-92

37. **ანა ბაგრატიონი,** „ეთნოლოგიური კვლევების ისტორიიდან აჭარაში“ /// „ჩვენი სულიერების ბალავარი“ (ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და წმიდა ანდრია პირველწოდებულის საქართველოში შემოსვლის ეროვნული დღესასწაულისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები), XII, გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2023, გვ. 291-300, ISSN 1987-5916

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **„ერეკლე მეფის მზადება აღა-მაჰმად ხანის დასახვედრად“**

ნაშრომში ერეკლეს შვილიშვილის - ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის წერილებზე დაყრდნობით გაშუქებულია XVIII ს-ის 90-იან წლებში ირანის შაჰის აღა-მაჰმად-ხანის მოსალოდნელი შემოსევის მოსაგერიებლად ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის სტრატეგიული ჩანაფიქრი. დასაბუთებულია წყაროთა ავტორის - ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანის სანდოობა და ობიექტურობა.

ქართლ-კახეთის სამეფოსა და მისი პოტენციური მოკავშირეების სამხედრო პოტენციალი საკმარისი იყო ირანელთა ლაშქრის მოსაგერიებლად, მაგრამ სამეფოში მოქმედმა დესტრუქციულმა ძალებმა ერეკლე მეფის გეგმები ჩაშალეს. აღნიშნულ ძალებს ე.წ. „სომხური დასი“ ედგა სათავეში, რომელიც რუსეთის იმპერიიდან იმართებოდა. ნაჩვენებია, რომ ქართველების ტრაგიკული დამარცხება კრწანისთან გამოწვეული იყო არა მაშინდელი ირანის სამხედრო უპირატესობით ქართლ-კახეთის სამეფოსთან შედარებით, არამედ შიდა მოღალატეების მავნებლური ქმედებებით.

2. **„დიდი ბრიტანეთის ვიცე-კონსულის ფრედერიკო გუარაჩინოს ცნობები ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ ბათუმში (1840-1845)“**

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება ბათუმისადმი (რომელიც ორ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ოსმალეთის იმპერიის მფლობელობაში იყო) ინტერესის ზრდა, რაც, ერთი მხრივ, დაკავშირებული იყო რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის შედეგებთან (ოსმალეთმა დაკარგა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ციხეები: ანაპა, სუჯუკ-კალე (ნოვოროსიისკი) და ფოთი), მეორე მხრივ კი ანატოლიაში რუსეთის გავლენის ზრდასთან. ამას მოჰყვა ჯერ ტრაპიზონში (1831 წელს), შემდეგ კი ბათუმში (1840 წელს) დიდი ბრიტანეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის გახსნა.

ბრიტანეთის პირველი ვიცე-კონსული ბათუმში (მთავარი დიპლომატი ამ სტატუსით იყო გამოგზავნილი) გახლდათ ფრედერიკო გუარაჩინო, რომელმაც საინტერესო ცნობები დაგვიტოვა ბათუმის სავაჭრო და სანაოსნო შესაძლებლობების შესახებ 1840-1845 წლებში. ამ დროისათვის ქალაქი შედიოდა ლაზისტანის სანჯაყის შემადგენლობაში, ეს უკანასკნელი კი ტრაპიზონის საფაშოს საზღვრებში ექცეოდა.

ბრიტანელი დიპლომატის – ფრედერიკო გუარაჩინოს წარმოდგენილი ცნობები ნათლად გვიჩვენებს ზოგად ვითარებას ოსმალეთის მმართველობის ქვეშ მყოფ ბათუმში და ქალაქის სავაჭრო-ეკონომიკურ თუ სანაოსნო შესაძლებლობებს 1840-1845 წლებში. აღნიშნულ პერიოდში ვაჭრობა და ტვირთბრუნვა ბათუმში არ იყო დიდი მასშტაბების, თუმცა, დიპლომატის დაკვირვებით, ორთქმავალი

გემების მიმოსვლის დაწყება ქალაქს შესძენდა მეტ მნიშვნელობას და ხელს შეუწყობდა მის შემდგომ განვითარებას.

3. „აჭარიდან 1937-1938 წლებში რეპრესირებული ქალები“

საბჭოთა ხელისუფლების დროს რეპრესიებს პერმანენტული ხასიათი ჰქონდა. უმძიმესი და უსასტიკესი იყო 1937-1937 წლების რეპრესიები, რასაც აჭარაში უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლე შეეწირა. მათ შორის იყვნენ ქალები. მათგან არაერთი ქალი დახვრიტეს. სხვები გადაასახლეს რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის უკაცრიელ მხარეებში. გადასახლებული ქალების დიდი ნაწილი დაიღუპა. მართალია, რეპრესიები დაუვიწყარია, მაგრამ ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო რეპრესირებულთა რეაბილიტაცია დ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარება, რაც XX საუკუნის 50-იან წლებში დიწყო.

4. „ახალგაზრდობის ორგანიზაციები აჭარაში 1917-1930 წლებში“

ნაშრომში ახლებური მეცნიერული მეთოდოლოგიითა და ხედვით შესწავლილია აჭარის ახალგაზრდობის ორგანიზაციების ისტორია 1917-1930 წლებში. ახალგაზრდობის ორგანიზაციები მოიაზრებოდა პოლიტიკური პარტიების რეზერვად და თანაშემწედ. გასაბჭოების წინ საქართველოში სამი ძირითადი პოლიტიკური პარტია არსებობდა: სოციალ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტების და ეროვნულ-დემოკრატიული. 1917 წელს იქმნება ამ პარტიების ახალგაზრდობის ორგანიზაციები: ახალგაზრდა მარქსისტების (ქართველი მენშევიკების), სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების ახალგაზრდობის კავშირები. ქართველმა ბოლშევიკებმა შექმნეს ახალგაზრდობის კავშირი „სპარტაკის“ სახელწოდებით.

აჭარაში, ასევე, 1917 წელს იქმნება ახალგაზრდობის კავშირების რეგიონული ორგანიზაციები. მათში ძირითადად მოსწავლე-ახალგაზრდები გაერთიანდნენ. აჭარაში ახალგაზრდობის ორგანიზაციებს შორის წამყვანი მდგომარეობა ეკავა „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციას, რომლის რიგებში 300-მდე წევრი ითვლებოდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ განხორციელდა არაკომუნისტური ახალგაზრდობის კავშირების ლიკვიდაცია. ამის შედეგად ქვეყანაში მხოლოდ ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი ფუნქციონირებდა. აჭარაში ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის საოლქო ორგანზაცია 1921 წლის აპრილში დაფუძნდა. დამფუძნებელთა უმრავლესობას არაქართველები შეადგენდნენ. ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების სტრუქტურა, ორგანიზაციული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის შინაარსი, ფორმები და მეთოდები კომპარტიის იდენტური იყო. საერთო ხელმძღვანელად კომუნისტური პარტოკრატია ითვლებოდა.

კომკავშირის აჭარის საოლქო ორგანიზაციის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო იყო კონფერენცია, სადაც აჯამებდნენ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ მუშაობას, ირჩევდა ხელმძღვანელ ორგანოებს. 1921-1930 წლებში ჩატარდა კომკავშირის აჭარის საოლქო ორგანიზაციის 13 კონფერენცია. მიმდინარე მუშაობას ეწეოდა პლენუმი, პრეზიდიუმი და განყოფილებები. კომკავშირის იდეურ-პოლიტიკური საქმიანობა აგებული იყო სიცრუეზე, ანდა ნახევრად სიცრუეზე, დიქტატსა და დემაგოგიაზე. მიუხედავად ამისა, კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში დადებითი მომენტიც შესამჩნევი იყო.

5. „აჭარა სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებიდან „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“ შეყვანამდე (1992. 6. 01-1994. 1. 03)“

ნაშრომში აღწერილია საქართველოში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება და მისდამი აჭარის ა. რ-ის ხელისუფლებისა და ეროვნულ ძალთა დამოკიდებულება; ბათუმში „აღორძინების კავშირის“ საინიციატივო ჯგუფის შექმნა, მისი საქმიანობა და 1992 წლის 24 აპრილს „აჭარის აღორძინების სრულიად საქართველოს კავშირის“ დაარსება, რომლის დევიზად გამოცხადდა „საქართველო უპირველეს ყოვლისა“.

განხილულია სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების პერიოდში აჭარაში შექმნილი მდგომარეობა და ე. წ. ოპოზიციის მიერ აჭარაში გაშლილი საქმიანობის პუტჩისტური ხასიათი. ედ. შევარდნაძის პოლიტიკური ვოიაჟი დასავლეთ საქართველოში და, კერძოდ, აჭარაში. აჭარის ა. რ. უზენაესი საბჭოს 1992 წლის 8 მაისის სესიაზე წამოჭრილი პრობლემა და მისი შემდგომი მოვლენები. 1992 წლის 11 ოქტომბრის „იმედის“ არჩევნების შედეგები და აჭარაში ეროვნულ ძალთა ქმედებანი.

აჭარაში მოქმედ ე. წ. ოპოზიციონერ ძალთა აჭარის ხელისუფლებაში მოსვლისადმი დაუოკებელი მისწრაფება და მათ საპირისპიროდ ეროვნული მოძრაობის ძალთა ძალისხმევა საერთო ქართული ინტერესების შესაბამისად.

გადმოცემულია 1992 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციისა და ბათუმში საქართველოს ეროვნული ხსნისა და დაუმორჩილებლობის აჭარის სამხარეო ორგანიზაციათა, ხოლო 1993 წლის მარტში ბათუმში კონსტანტინე გამსახურდიასა და ეროვნულ-პოლიტიკური მოძრაობა „ჭყონდიდელის“ შექმნის შესახებ. აღწერილია მათ მიერ კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნით რეგიონში ჩატარებული საქმიანობა. აღნიშნულია 1993 წლის 24 სექტემბერს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას საქართველოში დაბრუნებისა და ამ პერიოდში აჭარაში მიმდინარე პროცესების შესახებ. გაანალიზებულია 1994 წლის 1 მარტის სახელმწიფო გადატრიალების (დსთ-ში შესვლის რატიფიკაცია – უ. ო.) შემამზადებელი გარემოებანი და მისი შედეგები.

6. „დიდი ღამის“ შემამზადებელი გარემოებანი და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ქართული არაფორმალური პრესის მიხედვით“

ნაშრომში გადმოცემულია ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გავლენისა და მისი საქმიანობის შესახებ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ქართული არაფორმალური პრესის მიხედვით. მოცემული და გაანალიზებულია აქ მიმდინარე პროცესები 1988-1990 წლეებში, - თუ როგორ ვითარდებოდა აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ამ რეგიონის მოსახლეობის ქართულ ეროვნულ პოზიციებზე თანდათანობით გადასვლა და ზოგად ქართული იდეალების განმტკიცება, ამ იდეალებისათვის ბრძოლაში მათი ჩაბმა და კონსოლიდაცია, - როგორ აისახა საქართველოში იმ დროს არსებული ორი დაპირისპირებული დაჯგუფების ურთიერთ ბრძოლა აქ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და არამარტო რეგიონის, არამედ თურქეთის საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებაზე. აქვე განხილულია ამიერკავკასიაში, კერძოდ, ბაქოში განვითარებული მოვლენები და გაანალიზებულია თუ რა გავლენას ახდენდა საქართველოში მიმდინარე პროცესები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და მის თურქულ ნაწილში მცხოვრებ მოსახლეობის განწყობილებაზე.

აქვე მოცემულია საქართველოში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სმხედრო-კრიმინალური გადატრიალებისა თუ მის შემდეგ განვითარებული მოვლენების შემამზადებელ გარემოებათა გააზრება ქართული არაფორმალური (ძირითადად ეროვნული) პრესის მასალების (1988-1990 წ.წ.) ანალიზის მიხედვით და მის ფონზე ამავე პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში განვითარებული მოვლენები. აქვე მოთხრობილია საბჭოთა პრესისა და საინფორმაციო საშუალებების თუ ქართული ოფიციალური ჟურნალისტიკის როლის, აგრეთვე მათ მიერ უცხოეთში (დასავლეთი) ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის შექმნილი, წინმსწრები არა ობიექტური, უსამართლო და გაუკუღმართებული ფონის შესახებ.

მასში გადმოცემულია 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გავლენა საერთოდ საქართველოში და, კერძოდ მის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში მიმდინარე მოვ-ლენებზე. ქართული საბჭოთა ნომენკლატურის კოლაბორაციონისტულ-მაამებლური, კონდო-ტიერული პოზიცია და საქმიანობა მოსკოვის ცენტრალური საბოთა ხელისუფლებისადმი, მისი ფარისევლური დამოკიდებულება ქართველი ხალხის ინტერესებისადმი, თუ ანტიქართული, გამცემლური პოლიტიკა აქ არსებულ ავტონომიურ ფორმირებებში ნელი მოქმედების „ბომბების“ აფეთქების საშუალებით. „თურქი-მესხებისა“ და ფერღანის ტრაგედიათა ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ გამოყენების მცდელობანი. პარალელურად მოთხრობილია მეზობელ აზერბაიჯანში საბჭოთა ჯარების მიერ დატრიალებულ საშინელებებზე; აგრეთვე საქართველოს სხვა რეგიონებში ამავე პერიოდში მომხდარი სხვა საინტერესო მოვლენების შესახებ.

7. „თანამედროვე ქართული ეროვნული მოძრაობა და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ქართული არაფორმალური პრესის მიხედვით“

ნაშრომში მოცემულია საქართველოში 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის სმხედრო-კრიმინალური გადატრიალებისა და მის შემდეგ განვითარებული მოვლენების შემამზადებელ გარემოებათა გააზრება ქართული არაფორმალური (ძირითადად ეროვნული) პრესის მასალების (1988-1990 წ.წ.) ანალიზის მიხედვით და მის ფონზე ამავე პერიოდში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში განვითარებული მოვლენები. აქვე მოთხრობილია საბჭოთა პრესისა და საინფორმაციო საშუალებების

თუ ქართული ოფიციალური ჟურნალისტიკის როლის, აგრეთვე მათ მიერ უცხოეთში (დასავლეთი) ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის შექმნილი, წინმსწრები არა ობიექტური, უსამართლო და გაუკუღმართებული ფონის შესახებ.

მასში გადმოცემულია 1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გავლენა საერთოდ საქართველოში და, კერძოდ მის სამხრეთ-დასავლეთ რეგიონებში მიმდინარე მოვლენებზე. ქართული საბჭოთა ნომენკლატურის კოლაბორაციონისტულ-მაამებლური, კონდოტიერული პოზიცია და საქმიანობა მოსკოვის ცენტრალური საბოთა ხელისუფლებისადმი, მისი ფარისევლური დამოკიდებულება ქართველი ხალხის ინტერესებისადმი, თუ ანტიქართული, გამცემლური პოლიტიკა აქ არსებულ ავტონომიურ ფორმირებებში ნელი მოქმედების „ბომბების“ აფეთქების საშუალებით. „თურქი-მესხებისა“ და ფერღანის ტრაგედიათა ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ გამოყენების მცდელობანი. პარალელურად მოთხრობილია მეზობელ აზერბაიჯანში საბჭოთა ჯარების მიერ დატრიალებულ საშინელებებზე; აგრეთვე საქართველოს სხვა რეგიონებში ამავე პერიოდში მომხდარი სხვა საინტერესო მოვლენების შესახებ.

8. „ქართული ასომთავრული, საკრალური პოეზია, ანუ სამყაროს ხუთი კვირეული“

ნაშრომში განხილულია ქართული ასომთავრულის ჩვენს მიერ დადგენილი ხუთი კვირეულის საკრალური რაობა და მათი წრეში 2 ჯვარის დაბოლოებით გამოხატული საკრარული დანიშნულების რიცხვით ჰემატრიაში გამოხატული რაობა. პირველი წრე მისი 2 ჯვრის დაბოლოებებით გვეუბნება - „აე გზა უფლისა; მეორე წრისა -ჯვრით გამოხატული პირველი მნიშვნელობა იძლევა სიტყვა „ᲘᲔᲗ-ᲩᲘ“, რაც თანამედროვე ქართულზე გადმოყვანისას გვაძლევს მამაზეციერის ცნობიერება.

მეორე ჯვარით იკრიბება 7 9(Ე Ბ - ზეთი)= 16(Ო) = 7(Ე), ზენა, 9 (Ბ) სრ. ღმერთი, (მზის ქალაქი, განათლების ცენტრი), ხოლო შემადგენელ ასო-ბგერათა რიცხვითი მნიშვნელობის ჯამი უდრის 10(Თ).0( ). 7. 8, რაც ასე იშიფრები - ათი ცნების, (იესოს) სულიერი (ცნობიერების) სავანე, ზეციური კანონის მიმცემი.

5 40 (5 - ე, 40 -), ანუ Თ - ღმერთი; (Ი , Თ , Თ40); მეორე ჯვრით აქ ვღებულობთ „ᲝᲡᲧ (Ო), რაც ასე შეიძლება გავიგოთ - განათლების ცენტრი, სიტყვა და ჟამი ძისა. ასო-ბგერათა რიგითობის ჯამია 10 8 (10 -Თ, მოძღვრება, ცნობიერება ქრისტესი, 8 - Ი - ერთარსი სამება, კანონის მიმცემი, ᲗᲘ -ᲡᲝ).

ასო-ბგერათა რიცხვითი მნიშვნელობის ჯამი კი შეადგენს 20 36 0, რაც გვეუბნება, რომ ეს არის „სიტყვა (ძე), მამაზეციერის ს/სავანე“;

ანალოგიური საკრარული დანიშნულებისაა მესამე და მეოთხე კვირეულები და განსაკუთრებით მეხუთე კვირეული, რომელიც პირდაპირ გვეუბნება: „ᲩᲨ “, რაც პირდაპირ გვეუბნება - ცან არსთა საწყისის ს/ სავანე, „ცათა სასუფეველი“.

20 000 - სიტყვის, ძის მოსვლა სულიერ სავანეში, ანუ „მეორედ მოსვლა“. პითაგორულად - 2 - სიცოცხლის დაბადება, უფლის „მეორედ მოსვლა“;

მეორე ჯვრის კიდურებზე დამსხდარი ასო-ნიშნები და მათი მნიშვნელობანი ამბობენ - ასო-ნიშანთა მიხედვით - ძე, ქრისტე ხარ იესო, წერა (წერილი) სულიერი სავანისა, ხოლო მეორე ასო-ნიშანთა რიცხვითი მნიშვნელობების მიხედვით -5 8 0 0 0 - წმიდა ენა მამაზეციერის სულიერი სავანისა, ერთარსი სამება. ანუ სისტემა გვეუბნება - იწყება მეორედ მოსვლა, წმიდა ენის, (იგულისხმება კაცის, ადამიანის), მამაზეციერის, კანონის მიმცემი ერთარსი სამების სულიერ სავანეში დაბრუნება!!!

9. „საქართველოს ზღვისპირეთის დიუნური სადგომები (ფიჭვნარი, ბობოყვათი, ციხისძირი)“

საქართველოს ზღვისპირა ზოლი არქეოლოგიურად კარგად არის შესწავლილი, რაც ქართველ არქეოლოგთა არაერთი თაობის დამსახურებაა. მრავალწლიანი და გეგმაზომიერი კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილია მატერიალური კულტურის ძეგლები, რომელთა მნიშვნელობა დიდი ხანია გასცდა ლოკალურ ჩარჩოებს და ძველი ცივილიზაციების მკვლევართა ყურადღების არეალში მოექცა.

ძველი კოლხეთის მკვიდრთა სამეურნეო და სულიერი ცხოვრების გააზრებისთვის, საინტერესო ინფორმაციის შემცველია ახალშავზღვური ტერასის ქვიშაზვინულებზე მიკვლეული ნამოსახლარები, რომლებიც სამეცნიერო ლიტერატურაში დიუნური სადგომების სახელითაა ცნობილი. სამწუხაროდ, აღნიშნულმა ძეგლებმა, ზღვასთან სიახლოვის თუ ბუნებრივი კატაკლიზმების გამო, ჩვენამდე დაზიანებული სახით მოაღწია. ამ ვითარებამ განაპირობა სადგომების ხასიათთან დაკავშირებული მოსაზრებების განსხვავებული და, მეტწილად, ჰიპოთეტური ხასიათი. წარმოდგენილ ნაშრომში

განხილულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დიუნური სადგომები და მოცემულია მათი შედარებითი ანალიზი.

10. „მაჭახლის ხეობის საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები“

მაჭახლის ხეობა მდიდარია ეთნოგრაფიული ყოფის ელემენტებით, ტრადიციული საცხოვრებელი სახლებითა და სამეურნეო ნაგებობებით, რომლებიც, ჯერ კიდევ შენარჩუნებული ავთენტურობით, წარმოადგენენ ქართული კულტურული მემკვიდრეობის გამორჩეულ ნიმუშებს. საცხოვრებელი კომპლექსები, აჭარული და ლაზური ტრადიციით აშენებული სახლები, სამეურნეო ნაგებობანი (ნალია, მარანი, ფურნე, საბძელი და სხვ) ეთნოსოფლის საინტერესო სურათს ქმნის. თუმცა თანამედროვე მოდერნიზაციის პროცესები დიდი გამოწვევის წინაშე აყენებს ამ ფასეულობების დაცვას. წლების წინ აღნუსხული ზოგიერთი საცხოვრებელი კომპლექსი თუ ნაგებობა დღეს აღარ არსებობს, რაც გვიჩვენებს, რომ კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისა და მზარდი ტურისტული სექტორის განვითარებისათვის, სახელმწიფოსა და საზოგადოების მხრიდან, დიდი მნიშვნელობა კულტურული ფასეულობებისა და ძეგლთა დაცვის პრევენციული ღონისძიებების გატარებას უნდა ენიჭებოდეს.

11. „გზები და ხიდები აჭარაში XIX საუკუნე“

1828 წლის 17 სექტემბერს ა.გრიბოედოვმა და დიმიტრი ზავილეისკიმ დასახეს სავაჭრო კომპანიების შექმნის და ბათუმამდე მოხერხებული კომერციული გზის გაყვანის გეგმა. ევროპულ ქვეყნებს, რუსეთს თუ თურქეთს ბათუმი სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისთ აინტერესებდა, რომელზეც გადიოდა ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანესი გზები, კერძოდ: ბათუმი-ახალციხე, ბათუმი-ყარსი-ერევანი, ბათუმი-ართვინი-არტაანი, ბათუმი-თბილისი. ბათუმის მეშვეობით რუსეთი უზრუნველყოფდა სამხრეთ-დასავლეთი საზღვრების უშიშროებას, ხოლო კოდორის გზით ამყარებდა გავლენას აფხაზეთზე და კონტროლს აწესებდა შავ ზღვაზე.

XIX-XX საუკუნემდე აჭარაში არსებული გზები მოუწესრიგებელი იყო. ძირითადი ყურადღება ექცეოდა სამხედრო გზას,, კერძოდ ბათუმი-ახალციხის, არდაგანი-ყარსის და გურიასთან დამაკავშირებელ ბათუმი-ქობულეთის გზას. შერიფ ხიმშიაშვილის მმართველობის პერიოდში მოწესრიგდა ზემო აჭარასთან დამაკავშირებელი გზები. ნიკო მარი თურქეთის ლაზეთში მოგზაურობს მარადიდი-ჭოროხის სანაოსნო გზით. XIX საუკუნეში დაიწყო,მაგრამ ვერ განხორციელდა აჭარის ყარსთან დამაკავშირებელი რკინიგზის მშენებლობა.

გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე რუსული მმართველობის პერიოდში აჭარაში გზების მოწესრიგებას დიდი ყურადღება დაეთმო. XIX საუკუნიდან აჭარაში მოქმედებს გზათა მშენებლობის სამმართველო. სამხედრო-სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საზღვრისპირა გზების მოწესრიგებას.

12. რელიგიური სკოლები აჭარაში XIX-XX სს.

1878 წელს ბათუმში იყო მხოლოდ ერთი ბერძნული სკოლა, რომელსაც ერქვა ,,ევროპული'', რამდენიმე ქართული სკოლა და მეჩეთთან არსებული მედრესე. ქართულ სკოლასთან მუსლიმური აღმსარებლობის მქონე ბავშვებისთვის გახსნილი იყო მოსამზადებელი განყოფილება. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საქართველოში ეპარქიების რაოდენობა შემცირდა. ასევე შეიკვეცა მათი უფლებები. რუსეთის იმპერატორის ბრძანების საფუძველზე რუსეთის უწმინდესი სინოდი იმერეთის, გურია-სამეგრელოს, სოხუმის ეპარქიებს ავალებდა ეგზარქოსისთვის გადაეცათ ზუსტი ცნობები შემოსავლების, კუთვნილი მიწების, ეკლესიებთან არსებული სკოლების საკუთრების შესახებ. რუსეთის სინოდი საქართველოს ეპარქიათა საკუთრებაზე აწესებდა ზუსტ აღრიცხვას, შემოსავლების 3 % ხმარდებოდა ეკლესიებთან არსებულ რელიგიურ სკოლებს. 1899 წელს ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში წმინდა-ლოცვას ასრულებდა გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე. 1912 წლის ნოემბრიდან ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში კათოლიკური, მუსლიმანური და ებრაული აღმსარებლობის მქონე ბავშვებისთვის დაწესდა რელიგიური სწავლება. გიმნაზიაში საღვთო სჯულს ასწავლიდა პატრი გაბრიელ ასლანიშვლი, პროტესტანტულ რელიგიას ა. ბენგოფი, მაჰმადის სჯულს ჰუსეინ ეფენდი ალიოღლი, იუდაიზმს გ.მ. რადოვილსკი.. ბათუმში კათოლიკის,დღევანდელი სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩაზე

ფუნქციონირებდა სომხური-კათოლიკური საეკლესიო სკოლა, 1891 წელს წმინდა ელენეს და კონსტანტინეს სახელობის კვირიკეს, 1908 წელს დაგვის ღვთისმშობლის, ხოლო 1912 წელს ახალშენის ფერიცვალების ეკლესიებთან გაიხსნა ერთკლასიანი შერეული სახის სასწავლებლები.

ბათუმის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში მთავარი ყურადღება ექცეოდა სამხედრო მოძღვრების სწავლებას. რელიგიურ სკოლებში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლების და რუსული სამხედრო მუნდირის განდიდების მიზნით ისწავლებოდა რუსეთის სახელმწიფოს ისტორია, რუსი ოფიცრებისთვის ყოველდღიურად წარმოებდა საღვთისმეტყველო კითხვა. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში აჭარაში არსებობდა შემდეგი სახის მუსლიმური სკოლები, მედრესე-სასულიერო, მექთებე-საერო. მუსლიმური რელიგიური სკოლები რუს ხელისუფალთა მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა. აღნიშნულ სკოლებში არსებული ვითარების შესწავლის მიზნით შედგენილი იყო შემდეგი სახის მკითხვარი 1) როდის და ვისი გადაწყვეტილებით გაიხსნა სკოლა 2) რა საგნები ისწავლება და რომელ ენაზე მიმდინარეობს სწავლება 3) რომელი სახელმძღვანელოები გამოიყენება სწავლების პროცესში, ავტორის, გამოცემის წელის და ადგილის მითითებით 4) სასულიერო პირების ვინაობა, განათლების ცენზი 5) რელიგიური სწავლების პროგრამა, მოსწავლეთა რაოდენობა და ა.შ. რუსეთის ხელისუფლება განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა მუსლიმურ ლიტერატურაში დამკვიდრებული პროგრესისტული მიმართულების წინააღმდეგ. მათ აინტერესებდათ აღნიშნულ სკოლებში ევროპული ლიტერატურის გავლენა. რუსეთის ხელისუფლება აღრიცხავდა აჭარაში არსებულ მუსლიმურ სკოლებს, მოსწავლეთა რაოდენობას, მასწავლებლების წოდებას, მათ ქცევას და ზნეობრივ სახეს. 1901 წელს ბათუმის ოლქში იყო შემდეგი რაოდენობის მუსლიმური სკოლები: 1) გონიოს უბანში-29 2) კინტრიშის უბანში 22. 3) ქვემო აჭარა 48. 4) ზემო აჭარა 32. 1901 წელს აჭარაში სულ იყო 131 მუსლიმური სკოლა. ძირითადათ ეს სკოლები გაიხსნა XIX საუკუნეში, თურქების მმართველობის პერიოდში აჭარაში მუსლიმური სკოლები ფუნქციონირებდა გონიოს უბანში: სარფი, ხელვაჩაური, ლიმანი, დევსქერი, ბორჩხა, მეჩეთი მამუდ-ოღლი, კიასკური და ადაგული და სხვა, კინტრიშის უბანში: ორთაბათუმი, ყოროლისთავი, აგარა, ურეხი. ქვემო აჭარაში აღსანიშნავია 12 სასულიერო სკოლა, მათ შორის ძენწმანი, ზენდიდი, ქედა, მერისი, ორცვა, საღორეთი, აქუცა, ზვარე, ზემო აჭარაში: ხულო, შავაძე, ნიგაზეული, შუბანი და ა.შ. ბათუმის აზიზიეს მეჩეთი სამხედრო დანიშნულების იყო და მასში არ წარმოებდა ღვთისმსახურება.

13. „რუსეთ-თურქეთის ინტერესები შავ ზღვაზე გაბატონებისთვის და ბათუმი-ფოთის პორტების სამხედრო დანიშნულება“

საუკუნეების განმავლობაში რუსეთს გააჩნდა ურალს იქით არსებული თეთრი ზღვა, რომელიც შვიდი თვის განმავლობაში გაყინული იყო. მას შემდეგ (სსრკ დაშლა), რაც რუსეთმა დაკარგა პეტრე პირველის მიერ მოპოვებული ევროპისკენ მიმავალი ბალტიის საზღვაო გზა, კიდე უფრო გაიზარდა მისი ინტერესი შავ ზღვაზე გაბატონებისთვის. დღეს რუსეთი ანგარიშს უწევს თურქეთს, რომელიც ფლობს ევროპისკენ მიმავალ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებს. საქართველო-რუსეთის 1992-1993 და 2008 წლების ომის შედეგად საქართველომ დაკარგა შავი ზღვის აფხაზეთის სანაპირო, სვანეთისკენ მიმავალი კოდორის ხეობა და როკის გვირაბით რუსეთისკენ მიმავალი ლიახვის ხეობა. რუსეთ-თურქების ომების დროს კოდორისა და ლიახვის ხეობას უდიდესი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა. შავი ზღვის აფხაზეთის სანაპიროზე არსებული სამხედრო ლაბორატორიით რუსეთი აკონტროლებს შავ ზღვას. სომხეთის ოცნებაა, რუსეთის დახმარებით მოიპოვოს შავი ზღვის ბათუმის სანაპირო და გიუმრი-როკის გვირაბის სახმელეთო გზით დაუკავშირდეს რუსეთს. შავი ზღვის ბათუმისა და ფოთის პორტებს გააჩნია უდიდესი სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება. ამიტომაც როგორც აკადემიკოსი ლადო პაპავა აღნიშნავს, დიდი შეცდომა იყო ბათუმისა და ფოთის პორტების პრივატიზაცია. დღეს ბათუმისა და ფოთის პორტებით ჩინეთია დაინტერესებული. ბათუმისა და ფოთის პორტების სამხედრო-სტრატეგიული და სავაჭრო-ეკონომიკური დანიშნულების ამაღლება ანაკლიის პორტის გარეშეც შეიძლება. სტატიაში საარქივო მასალების საფუძველზე შესწავლილი და წარმოჩენილია ბათუმი-ფოთის პორტის სამხედროსტრატეგიული დანიშნულება.

14. „არიარათეს I-ის(ძვ.წ.333–322) დრაქმა ფიჭვნარიდან“

შრომა მიზნად ისახავდა 2007 წელს, საქართველო-ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობისას, ელინისტური სამაროვნის 227-ე სამარხში გამოვლენილი ვერცხლის მონეტის განსაზღვრას, აღწერას; ქვეყნის, ქალაქის, ემისიის წლების, მეტროლოგიური პარამეტრების

დადგენას, პარალელური მასალის მოძიებას და მონეტის საკვლევ ტერიტორიაზე მიმოქცევის მიზეზებისა და გზების დადგენას. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მონეტა წარმოადგენს კაპადოკიის სამეფოს მეფე არიარათეს I-ის (ძვ.წ. 333–322) სახელით ქალაქ გაზიურაში მოჭრილ დრაქმას. კაპადოკიის სხვადასხვა ქალაქში მოჭრილი დრაქმები რომაულ ხანაში დიდი რაოდენობით შემოდიოდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და მიმოქცევის ძირითად საშუალებას წარმოადგენდა. ამავე ტერიტორიაზე გვხვდება ელინისტურ პერიოდში კაპადოკიის მეფეების სახელით მოჭრილი საფასეებიც, მაგრამ სულ რამდენიმე ერთეული. ფიჭვნარში არიარათეს I-ის სახელით მოჭრილი მონეტის გამოვლენას დიდი მნიშვნელობა აქვს. კაპადოკიის სამეფოს ქალაქ გაზიურაში მოჭრილი ფულის მიმოქცევა პირველად დაფიქსირდა არა მხოლოდ საკვლევ პუნქტში, არამედ მთელ საქართველოში. ეს არის ჩვენს ქვეყანაში გამოვლენილი ყველაზე ადრეული კაპადოკიური მონეტა. ფიჭვნარის ელინისტური ხანის მასალას თუ გადავხედავთ, აშკარად ჩანს, რომ დომინირებს ქალაქ სინოპეს კერამიკული მასალა. იგივე სურათი გვაქვს ნუმიზმატიკურ ძეგლებშიც. სავარაუდოა, რომ არიარათეს I-ის დრაქმა ფიჭვნარში სწორედ სინოპურ პროდუქციასთან ერთად შემოვიდა.

15. „ფიჭვნარი ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით“

ძველი კოლხეთი მიეკუთვნება სამონეტო ცივილიზაციის ერთ-ერთ უძველეს კერას. ეს შესანიშნავად ჩანს ფიჭვნარის შემთხვევითი აღმოჩენებისა თუ საველე არქეოლოგიური კვლევა ძიების შედეგად მოპოვებული ნუმიზმატიკური ძეგლების მიხედვით. რაც შესანიშნავადდ ასახავს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ ძვრებს, კულტურულ აღმავლობასა და რელიგიურ მსოფმხედველობას. ფიჭვნარში ფულადი მეურნეობა დაწყებულა ძვ.წ. V საუკუნიდან. მასში ჩართულია, როგორც კოლხური თეთრი (როგორც ფართოდ გავრცელებული, ისე უნიკალური ერთეულები), ასევე უცხოური მონეტებიც, სადაც დომინანტური როლი სინოპურ დრაქმებს უჭირავთ. ათენმა შეიქმნა პონტოს აუზის ერთიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური სიბრტყე, ამიტომ შავი ზღვის სხვადასხვა სანაპიროებზე არსებულ ქალაქებში (სინოპე, პანტიკაპეონი, ნიმფეონი, თეოდოსია) მოჭრილი მონეტების გამოვლენა ფიჭვნარის ტერიტორიაზე სრულიად გასაგებია. ფიჭვნარშივეა გამოვლენილი ქიზიკინები - ინტერლოკალური ფული. აღნიშნული საფასეები შავიზღვისპირეთის ფულადი მეურნეობის ძირითად ერთეულს წარმოადგენდა. კლასიკური ხანის მონეტების დალექვა ფიჭვნარის მიდამოებში კანონზომიერია, რადგან იგი იყო ერთადერთი მსხვილი სავაჭრო ცენტრი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში. ელინისტურ ხანაში კვლავ წამყვანია კოლხური თეთრები, სინოპური დრაქმები, მიმოქცევაშია ალექსანდრე მაკედონელის სტატერი, სირაკუზში, ამისოსა და კაპადოკიის სამეფოში მოჭრილი საფასეები.რომაული ხანიდან საქართველოს ზღვისპირეთი წარმოადგენს პონტოს ლიმესის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მონაკვეთს. გონიოსა და ციხისძირში იდგა რომაული გარნიზონები. რომაული ფული დასავლეთ საქართველოს სამონეტო მიმოქცევის მთავარი ერთეულია. ციხისძირის მიმდებარედ, ფიჭვნარის ტერიტორიაზე მისი გავრცელება ლოგიკურია. იგივე შეიძლება ვთქვათ აქ გამოვლენილ სასანურ, ბიზანტიურ და ევროპულ მონეტებზეც.

16. „რომაული მონეტები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან (სუფსა, ყვავილნარი)“

ახ.წ. I-IV სს.-ში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე განლაგებული რომაული თავდაცვითი ხაზის, ე.წ. პონტოს ლიმესის, ფუნქციონირების, ქრონოლოგიის, სამხედრო შენაერთების იდენტიფიკაციის, მომარაგების, ჯარის ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის, ეკონომიკური ყოფისა და კოლხეთის სამონეტო მიმოქცევის სრულყოფილად შესწავლისათვის ინფორმაციულია აქ მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალა. კერძოდ, გურიის სანაპირო ზოლში შემთხვევით გამოვლენილი რომის იმპერიის მონეტები, რომლებიც აქამდე შეუსწავლელი და გამოუქვეყნებელი იყო.

2023 წელს მდინარე სუფსის სანაპიროზე შემთხვევით აღმოჩნდა რომის იმპერატორ სეპტიმუს სევერუსის (193-211 წწ.) სახელით რომში მოჭრილი ვერცხლის დენარი. მონეტა მპოვნელს დარჩა.

2013 წელს ყვავილნარის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩნდა სამარხი, სადაც სხვა ინვენტართან ერთად, იყო ვერცხლის 11 დრაქმა. ნუმიზმატიკური მასალა, შესწავლის შედეგად ასე გამოიყურება: სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ.) – 3, იულია დომნა (†217) – 3, გეტა (209-211 წწ.) – 2,

კარაკალა (198-217 წწ.) – 2, ფულვია პლაუტილა (202/5-211) – 1. მონეტები მოჭრილია კაპადოკიის კესარიაში. ისინი ერთტიპურია, შუბლზე გამოსახულია იმპერატორის პროფილი, ზურგზე კი არგეოსის მთები. საფასეები ინახება ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. სამარხი III ს-ის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

ამავე პერიოდის სამარხები ურეკის ტერიტორიაზე ადრეც აღმოჩენილა, სადაც სხვა სამარხეულ ინვენტართან ერთად იყო II-III სს.-ის კესარიული მონეტები.

სუფსასა და ყვავილნარში III ს.-ის ნუმიზმატიკური მასალის აღმოჩენა მნიშვნელოვანია, რადგან რომაული მონეტების მიმოქცევის რუკაზე გაჩნდა ახალი ლოკაციები.

17. „რომაული პერიოდის ბალზამარები გონიო-აფსაროსიდან“

ნაშრომში განხილულია გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე მოპოვებული რომაული პერიოდის ბალზამარები (ძირითადად ჩვ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრითა და II საუკუნის პირველი მეოთხედით დათარიღებული). ჩანს, რომ მათი დიდი ნაწილი მცირე აზიის საწარმოო ცენტრებიდან მარაგდებოდა, როგორიცაა ქიოსი, ეფესო და ტარსუსი. გარდა ყოველდღიური მოხმარებისა, გონიო-აფსაროსში მდგომი გარნიზონი ბალზამარებს სარიტუალო დანიშნულებითაც გამოიყენებდა, მითუმეტეს, ბოლო კვლევებითა და არქეოლოგიური აღმოჩენებით დასტურდება, რომ მცირე აზიის სხვადასხვა რეგიონიდან რეკრუტირებული ჯარისკაცები სხვადასხვა წარმართულ ღვთაებებს სცემდნენ თაყვანს (სერაპისი; იუპიტერ-დოლიქენუსი და სხვ.)

18. „კულტმსახურება რომაული პერიოდის გონიო-აფსაროსში“

ნაშრომში წარმოდგენილი და განხილულია რომაულ პერიოდში იმპერიის აღმოსავლეთ პროვინციებში, მათ შორის მცირე აზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში, გავრცელებული წარმართული კულტები, რომელთაგან ყველაზე დიდი პოპულარობით სერაპისისა და იუპიტერ-დოლიქენუსის კულტები სარგებლობდა. ახ.წ. I საუკუნიდან სერაპისის კულტი აქტიურად ვრცელდება იმპერიის დასავლეთ რეგიონებში და, ჩანს, რომ თვით იმპერიის ცენტრშიც იკიდებს ფეხს. გარდა ამისა, მეტად საინტერესოა სხვადასხვა მკვლევრის დაკვირვებაც იმის შესახებ, რომ სერაპისის კულტს არაერთი პარალელი ეძებნება ძველქართულ წარმართულ პანთეონთან. თავის მხრივ, საინტერესოა გონიო-აფსაროსის ციხესიმაგრის ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონუმენტური ნაგებობის ნაშთები, რომლებიც შესაძლებელია, სერაპისის საკურთხეველს წარმოადგენდეს. ასევე აღსანიშნავია სერაპისის მინიატურული ქანდაკება, რომლის საკმაოდ ბევრი ანალოგია აღმოჩენილი რომაული ეპოქის მცირე აზიის სხვადასხვა ცენტრში. თავის მხრივ, კიდევ უფრო მეტ ინტერესს იწვევს იუპიტერ-დოლიქენუსის კულტთან დაკავშირებული სარიტუალო ჭურჭელი და მინიატურული ქანდაკებები, რომელთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი გონიო-აფსაროსში წარმოებული სამუშაოების შედეგადაა მოპოვებული. სავარაუდოა, რომ რომაულ ეპოქაში, აფსაროსში მდგომ მცირე აზიიდან რეკრუტირებულ გარნიზონში სხვადასხვა წარმართული რელიგიური აღმსარებლობის მქონე ჯარისკაცები მსახურობდნენ.

19. „გონიო-აფსაროსში 2016-2017 წლებში ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში (SO XII-SO XIII სექტორი) წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ძირითადი შედეგები“

ნაშრომში წარმოდგენილია გონიო-აფსაროსში 2016-2017 წლებში ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთში (SO-XII – SO-XIII სექტორები) წარმოებული არქეოლოგიური სამუშაოების ძირითადი შედეგები, რომლის შედეგადაც დადასტურდა რომაული ეპოქის I და II საამშენებლო დონის ნაგებობათა ნაშთები. სტატიაში აღწერილი და გაანალიზებულია არქეოლოგიური სამუშაოებისას მოპოვებული ნივთიერი მასალები.

20. „ზედა მაჭახელი (ეთნოლოგიურ-დიალექტოლოგიური შესწავლის ზოგიერთი ასპექტი)“

ზედა მაჭახელი ეთნოგრაფიული თუ დიალექტოლოგიური კუთხით საინტერესო მხარეს წარმოადგენს. როგორც ცნობილია, უკანასკნელ პერიოდამდე შეუძლებელი იყო ზედა მაჭახელში შეღწევა, რაც უფრო აღრმავებდა ისტორიული ხეობით მოგზაურ-მკვლევართა თუ მეცნიერთა დაინტერესებას.

ზედა მაჭახელი დღემდე განიცდის უცხო წეს-ჩვეულებათა, ტრადიციათა და ენობრივ გავლენას. მიუხედავად ამ რეალობისა, მოსახლეობამ მაინც შეინარჩუნა ეროვნული თავისთავადობა. კვლევის

მიზანი სწორედ ზედა მაჭახლის ეთნოლოგიურ-დიალექტოლოგიური თავისებურებების ზოგიერთი ასპექტის კვლევაა. ზედა მაჭახლის ყოფა-ცხოვრების, კულტურისა და დიალექტურ თავისებურებებზე მსჯელობისას ძირითადად ვეყრდნობით ჩვენს მიერ 2010-2015 წლებში ზედა მაჭახლის სოფლებში (ხერთვისი, აკრია, მინდიეთი, ეფრატი, ზედვაკე, ქვაბითავი) ჩატარებული საველე ექსპედიციის შედეგად მოპოვებულ მასალებს.

გამოვლინდა, რომ ზედა მაჭახლის მოსახლეობა დღემდე ინარჩუნებს ყოფისა და კულტურის, დიალექტის სახასიათო სახეს.

21. „მამია ვარშანიძის „პოეტური აღმოთქმა“

მხატვრული შემოქმედების ნიმუში სხვადასხვაგვარი ხედვის, შეგრძნებისა და გააზრების საშუალებას იძლევა. ამ მხრივ გამორჩეული და სახასიათოა მამია ვარშანიძის პოეზია, მისი გულშიჩამწვდომი, ემოციური, ძარღვიანი სიტყვით, თქმის სიმძაფრით. ის განსაკუთრებული ხელწერის პოეტია და მისი ნაფიქრ-ნააზრევის გაცნობა, შემლებისდაგვარად გათავისება, ყოველთვის სიახლის მომცემია.

მამია ვარშანიძის სულის ლირიკული მატიანეა მისი ლექსები. ამ ლირიკულ მატიანეზე თვალის გადავლება, კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმ „პოეტურ აღმოთქმას“, რასაც ტაო-კლარჯეთის, სამხრეთ საქართველოს ტკივილი ჰქვია. ლექსის თითოეული პწკარედის წაკითხვისას, პოეტის ერთად მის ფიქრთა მდინარებას მიჰყვები. მისი პოეტური აღმოთქმა უდიდესი ესთეტიკური ზემოქმედების მომხდენია. თანაზიარი ხდები მისი შემოქმედებისა და ამ თემაზე შექმნილი ლექსების ყოველი ახალი წაკითხვისას, ისევ ძლიერი ემოციით იმსჭვალები, ტკივილი ცოცხლდება, გიათკეცდება. მკითხველსაც ჩაესმის ტაოს, ბანას, არტანუჯის, ოშკის, ხახულის თხოვნა-ვედრება, საშველად ხმობა. ტკივილიანი ტაო-კლარჯეთის თემა მისი პოეზიის მთავარი ძარღვია. ნაშრომში, სწორედ, მისი თემატური მრავალფეროვნებით გამორჩეული პოეზიის ამ ტკივილიან საკითხზეა საუბარი.

22. „კონსტანტინე ოდიშარიას არტაანში მოგზაურობის დღიურების მნიშვნელობა“

ნაშრომში კონსტანტინე ოდიშარიას არტაანში მოგზაურობის დღიურის მნიშვნელობაზეა საუბარი. მან ამ მხარეში 1913-1918 წლებში იმოგზაურა და დღიურების სახით აღწერა. დღიურს აწერია რვეული I. არტაანის მხარე (ისტორიულ-გეოგრაფიული და სტატისტიკური მასალები). დღიურები მნიშვნელოვანია იმ მიმართებითაც, რომ მისი თვალით დანახულ-განცდილია აღწერილი. მართალია, ის კორესპოდენციებს ბეჭდავდა გაზეთ „საქართველოში“, 1917 წელს, მაგრამ ცენზურა უმოკლებდა, რიგ შემთხვევაში კიდეც უმახინჯებდა. შესაბამისად, მისი დღიურების მნიშვნელობა დიდია.

დღიურები სხვადასხვა კუთხითა თუ მიმართებითაა საინტერესო. აქ გვაქვს დეტალური გეოგრაფიული აღწერილობა სოფლებისა, სტატისტიკური მონაცემები მცხოვრებთა შესახებ, კონკრეტულად აღწერს ტაძრებს, სოფლის ყოფას, თქმულებებს, იძლევა ტოპონიმთა შესახებ ცნობებსა და ახსნას. მან ენათმეცნიერებას, ონომასტიკას შემოუნახა 331 სოფლის სახელი. თან ჩვენ მწირი ცნობები გვაქვს არტაანის მხარის შესახებ და შესაბამისად, მისი მოგზაურობის დღიურების მნიშვნელობა ფასდაუდებელია და ეთნოლოგიური, ფოლკლორული, ტოპონიმური თუ სხვადასხვა კუთხით საინტერესო წყაროს წარმოადგენს.

23. „ზურაბ გორგილაძის შემოქმედების ზოგიერთი სტილური თავისებურება“

ნაშრომი ზურაბ გორგილაძის შემოქმედების ზოგიერთ სტილურ თავისებურებას ეხება. შემოქმედის ენის შესწავლა ფაქიზი და საინტერესო საკითხია. სიტყვაწარმოება, ლექსიკურ ერთეულთა შინაარსობრივი ტევადობა, ლექსიკური დიალექტიზმების სტილიზაცია, ხატოვანება თქმისა განსაკუთრებული სტილური ხელწერაა პოეტისათვის. მოხსენებაში საუბარია დაუმთავრებელ წინადადებათა, ხატოვან სიტყვა-თქმათა, სიტყვათა თუ წინადადებათა გამეორების სტილური თავისებურების შესახებ. ზ. გორგილაძის შემოქმედება საოცარი ეპითეტებითაც აღიბეჭდება მკითხველის ცნობიერებაში. სმენით-ვოკალური ეპითეტების სტილური გამოყენებით საოცარ ფერწერას ქმნის პოეტი. ერთ საინტერესო, პოეტისათვის სახასიათო დეტალზეცაა ყურადღება გამახვილებელი. ზ. გორგილაძესთან შემოიჭრება ხოლმე ლირიკისათვის მოულოდნელი დიალოგის ელემენტები, დიალოგიური ჩანართები. ესეც თავისებურ სტილიზაციის ხერხად აღსაქმელია. ნაშრომში სწორედ ეს საკითხებია განხილული.

24. „კომპოზიტები აჭარული დიალექტის ლექსიკაში“

რთული სიტყვების წარმოქმნის თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა დიალექტები. ამ მხრივ მდიდარი ფაქტობრივი მასალა ჩნდება აჭარული დიალექტის ლექსიკაშიც და მიჰყვება ქართულ სალიტერატურო ენაში კომპოზიტთა მიღების წესებს. კომპოზიტი, წარმოქმნის მომენტისათვის, ნეოლოგიზმია, მაგრამ იგი შეიძლება შედგენილი იყოს ისეთი ძირებით, რომელიც უკვე აღარაა ხმარებაში და ისტორიის კუთვნილებად ქცეულა. ამგვარ სიტყვა-ტერმინთა მიგნება და კვლევა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ლექსიკოლოგიაში. აჭარული დიალექტის ლექსიკაში დაფიქსირებულ კომპოზიტებშიც შემონახულია უძველესი, არქაული თუ ძველი ქართულისთვის ცნობილი ლექსემათა ძირები, საკუთრივ აჭარულისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულები, ქართულ-უცხოენოვანი ჰიბრიდული თუ ნასესხები კომპოზიტები. ახალი, რთული ლექსიკური ერთეულების გაჩენა ენასა თუ დიალექტში უწყვეტი პროცესია და ასეთი სიტყვები ხშირად ლექსიკურ ფონდში მკვიდრდება.

25. „რამდენიმე ტერმინი ხითხუროობის ლექსიკიდან“

ხუროთმოძღვრება საქართველოში მრავალმხრივი კვლევის საგანია. სხვა მიმართულებებთან ერთად საინტერესოა ხუროთმოძღვრული ლექსიკაც. ქართული ენა და მისი დიალექტები მდიდარია მშენებლობის ამსახველი ლექსიკით. მათ შორის აჭარულიც. აჭარულ დიალექტში დაცული სამშენებლო ტერმინოლოგია ხშირად ნათელს ჰფენსშესაბამის არქეოლოგიურ არქეტიპებსაც. ამ თვალსაზრისით მოხსენებაში განხილულია ლექსიკური ერთეულები: ბარჯგი, ორგო. ასევე, ქართველური ტერმინები ლარტყა, კელი, ლენძა, ჭიბოშანი.

26. „ჰიდრონიმ „კინკიშა“-ს ეტიმოლოგიისათვის“

ტოპონიმიკაში ხშირად ასახულია ტომთა ის სახელწოდებები, რომელთაც ოდესმე უცხოვრიათ ამა თუ იმ ტერიტორიაზე. მასში შემონახულია ისეთი დამახასიათებელი საზოგადო სახელებიც, რომლებიც საკუთარ სახელებად შერჩენია ამა თუ იმ ადგილს. სტატიაში წარმოგიდგენთ ქობულეთის მუნიციპალიტეტში დადასტურებულ ერთ ჰიდრონიმს. ეს გახლავთ: „კინკიშა“ იგი მდინარის (კინტრიშის-ნ.ა.) შენაკადს, ტოტის შესართავს ნიშნავს. „კინკიშა“-ს, ლანდშაფტურ-გეოგრაფიულ სახელწოდებათა ნუსხაში განვიხილოთ.

27. „ფიტოტოპონიმთა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი ლინგვოკულტუროლოგიურ სივრცეში“

ფიტოტოპონიმებს უწოდებენ ტოპონიმებს, რომლებიც წარმოიშვა მცენარეთა სახელების საფუძველზე. როგორც ცნობილია, მცენარეთა სახელწოდებით ტერიტორიების აღნიშვნა უძველესი დროიდან მოდის და ამიტომ ამ ტიპის ტოპონიმები დასტურდება ყველა ენაში. მცენარეთა სახელების ერთი ნაწილი ენის ძირეულ ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება და ისეთი საკითხის კვლევისას, როგორიცაა ეთნოსთა პირველსაცხოვრისის განსაზღვრა ენობრივი მონაცემების მიხედვით, მას ერთ-ერთ ძირითადი როლი ენიჭება. ამ თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანი ჩანს უძველეს ფიტონიმთა საფუძველზე სახელდებული გეოგრაფიული სახელებიც (ფიტოტოპონიმები). ჩვენი ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ქართველურ ენათა მონაცემებზე დაყრდნობით გამოვავლინოთ მცენარეთა სახელებიდან მომდინარე სხვადასხვა სადერივაციო აფიქსებით გაფორმებული ადგილის გეოგრაფიული სახელწოდებანი, რაც საბოლოო სახით აისახება ლინგვისტურ ატლასზე, სადაც წარმოვადგენთ ფიტოტოპონიმთა არა მარტო გავრცელების არეალს, არამედ მათი გამოყენების სიხშირესაც. სტატიაში განხილულია, იან სუფიქსით გაფორმებული ფიტოტოპონიმები.

28. „ზოგიერთი საწესჩვეულებო ლექსიკური ერთეული ლაზურში“

ნაშრომში ზოგიერთი საწესჩვეულებო ლექსიკური ერთეულის შესახებაა საუბარი ლაზურში. მნიშვნელოვანია ის, რომ ზოგიერთი წესჩვეულება დღეს აღარ გვხვდება, მაგრამ შემოგვინახა ლექსიკურმა ერთეულმა. დავძენთ, რომ მასალა კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისითაცაა მნიშვნელოვანი.

29. „შელოცვებთან დავშირებული ზოგიერთი საკითხის გააზრებისათვის აჭარის ფოლკლორში“

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია აჭარაში შემონახული ფოლკლორული მასალები, კერძოდ, შელოცვები(სამკურნალო შინაარსის) და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები.

ფოლკლორის შესწავლა ფართო და მრავლისმომცველი თემაა, რომელიც გულისხმობს ერის ტრადიციების, ადათ-წესებისა და სხვა ფოლკლორული ჟანრის სიღრმისეულ კვლევას. მათ შორის, შელოცვა საყოველთაოდ გავრცელებული ჟანრია. ის ხალხურისიტყვიერების უძველესი, ძალიან საინტერესო, ენობრივად მდიდარი, ხატოვანი ფორმაა. მასზე დაკვირვეით ვეცნობით რელიგიურ წარმოდგენებს, ცრურწმენებს, ქართულ ენობრივ და აზრობრივ, ცნობიერსა თუ ქვეცნობიერს ადამიანის შელოცვებთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის გააზრებისათვის.

30. „ისტორიული რეალიები ასლან მიქელაძის პირადი არქივიდან“

ნაშრომი ეხება ისტორიულ ამბებს, რომელიც საარქივო მასალაშია დაცული. კერძოდ თუ როგორ შეხვდნენ ზემო აჭარაში აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებას და რა წინაღობები ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს ამ რეგიონში (ნაშრომს თან ერთვის საოჯახო არქივში დაცული დაბეჭდილი მასალა, რომელიც ჩაბარდა აჭარის არქივის ფონდთა საცავს).

31. „რამდენიმე ტოპონიმის გააზრებისათვის აჭარის ფოლკლორში (ხულოს რაიონში 1953 წელს განხორციელებული ექსპედიციის მასალების მიხედვით)“

წარმოდგენილ ნაშრომში წარმოდგენილია ხულოს რაიონში 1953 წელს მკვლევართა მიერ ექსპედიციის დროს ჩაწერილი მასალების ანალიზი. აღნიშნული მასალის შესწავლა მნიშვნელოვანია როგორც ფოლკლორული, ასევე ისტორიული თუ ენათმეცნიერული თვალსაზრისით. წარმოდგენილი მასალები ერთხელ კიდევ ცხადყოფს თუ რამდენად მნიშვნელოვანი რეგიონი ყოფილა ხულოს რაიონი უძველეს დროში. მის წარსულს წარმოაჩენს აქ გადარჩენილი ტოპონიმები, რომლებიც ადასტურებს ამ კუთხის ისტორიულ სინამდვილეს.

32. „აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მოსახლეობა და ბიოგარემო ჰიპოკრატეს მიხედვით („ჰაერთა, წყალთა და ადგილთა შესახებ“)“

ნაშრომში საუბარია აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოზე, იქ განსახლებულ ქართველურ ტომებსა და მათ მეზობლებზე-კიმერიელებზე, სარმატებზე. აღწერილია ის მიზეზები, რომელიც ჰიპოკრატეს ადამინათა ჯანმრთელობის, ხასიათის განმაპირობებლად მიაჩნდა. ჰიპოკრატემ კლიმატს დაუკავშირა ადამიანთა ნერვული სისტემის, მათი ხასიათისა და სამეურნეო საქმიანობის ტიპი. ჰიპოკრატეს მიერ ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში წამოჭრილი გეოგრაფიული გარემოს საკითხისადმი ინტერესი, მე-19 საუკენეში უფრო გაღრმავდა და განაპირობა გეოგრაფიული დეტერმინიზმის იდეური განვითარება. ასე, რომ ჰიპოკრატე ფაქტიურად გვევლინება ეთნოგეოგრაფიული, ეთნოკულტურული სამეცნიერო მიმართულებათა ფუძემდებლად.

33. „დიდაჭარის ტრადიციული კულტურის შესწავლის ზოგიერთი ასპექტისათვის“

არქეოლოგიური კვლევებით დასტურდება, რომ დიდაჭარა ნეოლითური ხანიდანაა დასახლებული და შედიოდა კოლხური კულტურის გავრცელების არეალში. იგი როგორც აჭარის განუყოფელი ნაწილი, აქტიურად მონაწილეობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად კოლხური კულტურის ფორმირებაში, კოლხეთის სამეფოს გაერთიანებაში. დიდაჭარის ცხოვრებაში განსაკუთრებული ეტაპია პირველი საუკუნე, რადგან ქრისტეს მოწაფეებმა – ანდრია პირველწოდებულმა, მატათამ, სვიმეონ კანანელმა და სხვებმა მისიონერული მოღვაწეობა ზემო აჭარიდან - დიდაჭარიდან დაიწყეს. დიდაჭარის როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან სტრატეგიულ როლზე უნდა მიგვანიშნებდეს იქ ციხე-სიმაგრის არსებობაც, რასაც ადასტურებს მოსახლეობაში დაცული ონომასტიკური მასალა და, ასევე, მხატვარ ვ. ილიუშინის მიერ ერთგვარი დოკუმენტური სიზუსტითა და ნათელი კომპოზიციური სტრუქტურით გამორჩეული ნახატები, რომლებიც რეალისტურ გამომსახველობას ანიჭებენ ავტორის მიერ შესრულებულ ძველ ციხე-სიმაგრეთა კოლორიტულ ნანგრევებს.

34. „ქ.ბათუმში მცხოვრები, უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდების უმუშევრობის ძირითადი მიზეზები და გადაჭრის გზები“

მოცემულ ნაშრომში განხილულია ქ.ბათუმში მცხოვრები უმუშევარი ახალგაზრდების წინაშე მდგარი პრობლემები. სოციოლოგიური შესწავლის ობიექტად შერჩეულია დაუსაქმებელთა სპეციფიკური კატეგორია - უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდები, რომლებიც გარკვეული

დროის განმავლობაში იყვნენ დასაქმებული, მაგრამ შემდეგ დაკარგეს სამსახური. ახალგაზრდებში არსებულ უმუშევრობას მრავალი მიზეზი აქვს, მათ შორის ნაშრომში ხაზგასმულია ისეთები როგორიცაა: შრომის ბაზაზე მოთხოვნილ და მიწოდებულ პროფესიებს შორის არსებული შეუსაბამობა; არაფორმალური განათლების სუსტი პრაქტიკა; განათლების სისტემის და შრომის ბაზრის მოთხოვნების არაადეკვატურობა (ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდების თითქმის მესამედი არ მუშაობს იმ პროფესიით, რა კუთხითაც მათ განათლება მიიღეს) და ა.შ. ახალგაზრდობის უმუშევრობის ეკონომიკური და სოციალური შედეგები ძალიან ნეგატიურად აისახება არა მხოლოდ მათზე, არამედ მთელ მოსახლეობაზე. ახალგაზრდებში უმუშევრობის დონის შემცირება გადაუჭარბებლად შეიძლება შეფასდეს, როგორც საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის ერთ-ერთი მთავარ გარანტიად და მდგრადი განვითარების მყარ საფუძვლად.

35. „ტრადიცია, როგორც ეროვნული იდენტობის მარკერი თურქეთის ქართველებში“

სტატია ეხება ისტორიული ვითარების გამო თურქეთის რესპუბლიკაში მოხვედრილი ეთნიკური ქართველების დამოკიდებულებას მშობლიური ხალხის ეთნოკულტურულ ფასეულობებთან. შესწავლილია თურქეთელი ქართველების მიერ უცხო გარემოში ხანგრძლივი ყოფნის დროს შემუშავებული იდენტობის შენარჩუნების ონტოლოგიური და პრაგმატული სტრატეგიები; ტრადიცია განიხილება, როგორც ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების მექანიზმი და განმსაზღვრელი ღირებულება; მიმოხილულია ის ინდიკატორები, რომლებიც განსაზღვრავს თურქეთში მცხოვრები ქართველების სხვადასხვა თაობის მენტალურ დამოკიდებულებას ეროვნული იდენტობისადმი.

36. „უძველესი მეგალითური დასახლებები მაღალმთიანი აჭარიდან“

სტატიაში მიმოხილულია აჭარის მაღალმთიანეთში, კერძოდ, კურორტ ბეშუმთან, გოდერძის უღელტეხილის სამხრეთ-აღმოსავლეთ ტერიტორიაზე არსებული, პალეოლითის ხანის საცხოვრისების ისტორიული მნიშვნელობა. ეს მნიშვნელოვანი ძეგლი არის უძველეს ადამიანთა დოლმენური საცხოვრებლები და წარმოდგენილია როგორც ცალკეული, ასევე ჯგუფურად განლაგებული საცხოვრისებისაგან შემდგარი ქალაქური ტიპის დასახლების სახით. ზოგი ნაშთი მიჩნეულია საკულტო ნაგებობად. შემორჩენილია ნაკაწრები ქვაზე, რაც საცნობარო ხასიათის წარწერებად შეიძლება მივიჩნიოთ.

37. „ეთნოლოგიური კვლევების ისტორიიდან აჭარაში“

მოხსენება ეძღვნება ეთნოლოგიური კვლევების ისტორიის შესწავლას აჭარაში, სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების ეთნოლოგიურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, ქართველი და უცხოელი მოგზაურ-მკვლევარების ღვაწლს აჭარის ტრადიციული ყოფის შესწავლაში, სხვადასხვა თაობის მეცნიერთა გამოკვლევებს აჭარის ეთნოგრაფიული წარსულის შესახებ. აჭარაში ჩატარებულ მრავალრიცხოვან ეთნოლოგიურ ექსპედიციებს და ამ მუშაობის შედეგად დაგროვილ ფასდაუდებელ საველე–ეთნოგრაფიულ მასალას. ეთნოლოგიური კვლევების ისტორია აჭარაში ისტორიისა და ეთნოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური და ნაკლებად შესწავლილი პრობლემათაგანია, ვინაიდან ამ მხრივ ერთად შეკრებილი ცნობები და ნაშრომი აჭარაში ეთნოლოგიური კვლევების ისტორიაზე არ არის გამოცემული. მოხსენებაში გაანალიზებულია წლების განმავლობაში ჩატარებული ეთნოლოგიური კვლევითი სამუშაოებით აჭარაში შეიქმნილი მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა.

7. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

7.1. მონოგრაფიები/წიგნები

ავტორი/ავტორები; მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

7.2. სახელმძღვანელოები

ავტორი/ავტორები; სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN; გამოცემის ადგილი, გამომცემლობა; გვერდების რაოდენობა

1.

2.

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1.

2.

7.3. სტატიები

ავტორი/ავტორები; სტატიის სათაური, ციფრული (დიგიტალური) საიდენტიფიკაციო კოდი DOI; ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი ISSN-ის მითითებით; გვერდების რაოდენობა

1. **Oleg Jibashvili.** "The Results of the Russian-Ottoman War of 1877-1878 and Batumi"// "HERiPRENEURSHIP – Sustainable Tourism, Heritage Management and the Cultural and Creative Industries: Creating New Investment Opportunities at Places of Cultural Significance" (Proceedings of an International Conference), Mega Publishing House, Tulcea, 2023, pp. 355-362, ISBN 978-606-020-654-5
https://biblioteca-digitala.ro/?volum=22010-heripreneurship-sustainable-tourism-heritage-management-and-the-cultural-and-creative-industries-creating-new-investment-opportunities-at-places-of-fundatia-universitara-dunarea-marea-neagra-2023

2. D.Braund, **Nino Inaishvili**, D.Kassab-Tezgör. "The River Chorokhi/Çoruh. Connections, Production and Transportation". Topoi. Orient-Occident. Volume 25/1. pp. 221-248. 2023.
ISSN:1161-9473
ISBN: 978-2-86958-608-6
https://www.mom.fr/recherche-et-formation/collections-topoi
https://editions.efa.gr

3. Shota Mamuladze, **Sulkhan Mamuladze**, "Roman Garrisons in the South-Eastern Black Sea Region According to Recent Archaeological Materials" // "HERiPRENEURSHIP – Sustainable Tourism, Heritage Management and the Cultural and Creative Industries: Creating New Investment Opportunities at Places of Cultural Significance" (Proceedings of an International Conference), Mega Publishing House, Tulcea, 2023, pp. 319-328, ISBN 978-606-020-654-5
https://biblioteca-digitala.ro/?volum=22010-heripreneurship-sustainable-tourism-heritage-management-and-the-cultural-and-creative-industries-creating-new-investment-opportunities-at-places-of-fundatia-universitara-dunarea-marea-neagra-2023

4. **Elza PUTKARADZE, Naile MIKELADZE**, "Some Issues of National Mentality and Memory in Tao-Klarjetian". HERiPRENEURSHIP Sustainable Tourism, Heritage Management and the Cultural and Creative Industries: Creating New Investment Opportunities at Places of Cultural Significance. Proceedings of an International Conference, Tulcea, June 8 -9 2023, ISBN 978- 606-020-654-5, 6 გვერდი (გვ. 369-374).

5. **Nargiz Akhvlediani**, Diana Akhvlediani, Nana Khotcholava-Matchavariani, Ketevan Rekhviashvili. "TOPONYMY AND PERSPECTIVES OF TEACHING", IAI ACADEMIC CONFERENCE PROCEEDINGS, Venice International University, Italy, , 2023, ISSN 2671-3179, 3 გვერდი (გვ. 12-15).

6. **Nargiz Akhvlediani**, Diana Akhvlediani, **Tsiala Narakidze**, Teona Dzneladze, "Seamanship Terminology in Georgian Material and Cultural Dialectological Vocabulary", Dubai International Academic, Abu Dabi, International Academic Journal, Vol. 4, Issue 2. 2023, ISSN 2671-3748, 3 გვერდი (გვ. 15-17). https://mail.google.com/mail/u/0?ui=2&ik=f645badc29&attid=0.1&permmsgid=msg-f:1786483872470493686&th=18cadd9de79169f6&view=att&disp=inline&realattid=f_lqogzgxt0

7. **Ruslan Baramidze**, „Pre-Election Discourse in Georgia: Presidential Candidates and the Linguistic Devices They Use“, VTU Review: Studies in the Humanities and Social Sciences, Issue 2 (2023) (დანართი 2.1, 2.2.) (მიღებულია გამოსაქვეყნებლად)

8. **Roin Malakmadze, Tamila Lomtatidze,** “Georgian Ethno-Cultural Heritage in the Cultural-Historical Memory of Georgians in Turkey”, BIBLIOTECA ISTRO-PONTICĂ, 11, HERiPRENEURSHIP, Proceedings of an International Conference, ISBN 978-606-020-654-5, Tulcea, 2023, Publisher: Mega Publishing House, pp. 35-38

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

1. **“The Results of the Russian-Ottoman War of 1877-1878 and Batumi”**

ბათუმი შავი ზღვის აუზში ერთ-ერთი გამორჩეული ქალაქია. მის მნიშვნელობას, უმთავრესად, განაპირობებს მოხერხებული გეოსტრატეგიული მდებარეობა და ღრმა, ბუნებრივად დაცული ნავსადგური. იგი ევროპა-აზიის დამაკავშირებელი სამხრეთ-კავკასიური მაგისტრალის ერთ-ერთი საკვანძო პუნქტია.

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე ბათუმი რუსეთის მზარდი იმპერიის ცხოველი ინტერესის არეალში მოექცა. მიუხედავად ამისა, რუსეთმა მისი დაუფლება მხოლოდ რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად შეძლო. ომში, როგორც ცნობილია, ოსმალეთი დამარცხდა და იძულებული გახდა რუსეთისათვის ზავი შეეთავაზებინა. 1878 წ. 19(31) იანვარს მათ შორის დროებითი შეთანხმება დაიდო. მოლაპარაკება სან-სტეფანოში გაგრძელდა და 1878 წ. 19 თებერვალს (3 მარტს) ორივე მხარემ ზავს მოაწერა ხელი. ამ ხელშეკრულებით რუსეთი ოსმალეთისაგან სერიოზულ პოლიტიკურ და ტერიტორიულ დათმობებს იღებდა, მათ შორის, ბათუმსაც.

სან-სტეფანოს მოლაპარაკების შედეგები მიუღებელი აღმოჩნდა ინგლისისა და ავსტრიისათვის. ავსტრია ევროპის კონგრესის მოწვევას მოითხოვდა, რომელიც სან-სტეფანოს შეთანხმებას გადახედავდა. ინგლისი მხარს უჭერდა ამ მოთხოვნას. ორივე სახელმწიფო ომისათვის მზადებას შეუდგა. მათგან გამხნევებულმა ოსმალეთმაც ბრძოლის გაგრძელებაზე დაიწყო ფიქრი. თურქი და ინგლისელი ემისრები კონფლიქტის ზონებში ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის რუსთა წინააღმდეგ ამხედრებასაც უწყობდნენ ხელს. ეს პროცესი კარგად ჩანს ამ პერიოდის ინგლისის წარმომადგენელთა ოფიციალურ მიმოწერებში. საინტერესოა, რომ რუსეთის მოწინააღმდეგეთა რიგებში ადგილობრივი ქრისტიანებიც ჩანან. ჩვენი დაკვირვებით, ესენი ე.წ. „კათოლიკე სომხები“ იყვნენ, რომლებსაც, ძირითადად, ქართული წარმომავლობა ჰქონდათ და სარწმუნოების გამო იწოდებოდნენ „სომხებად“. ასეთ ვითარებაში რუსეთი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ბერლინის კონგრესის მოწვევას და სან-სტეფანოს ხელშეკრულების გადასინჯვას.

ბერლინის კონგრესზე (1878 წ.-ის 1(13) ივნისი _ 1(13) ივლისი) რუსეთმა შეძლო სან-სტეფანოს ხელშეკრულების ძირითადი მუხლების შენარჩუნება. ინგლისის თანხმობით და ბერლინის ტრაქტატის ძალით, მასვე დარჩა ბათუმიც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ პეტერბურგში ბოლო მომენტამდე არ სჯეროდათ ოსმალთაგან ბათუმის დათმობის შესაძლებლობისა.

ჩვენს ხელთ არსებული მასალებით ირკვევა, რომ ინგლისის უკან დახევა დიპლომატიურ ჭიდილში როტშილდების მძლავრი კლანის წარმომადგენლის _ როტშილდთა პარიზის საბანკო სახლის კულისებსმიღმა ჩარევამ განაპირობა, რამაც განსაზღვრა კიდეც საბოლოოდ ბათუმის ბედი. როტშილდებს ბათუმის რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოქცევა ბაქოს ნავთობის იაფი ექსპორტისათვის სჭირდებოდათ.

ბათუმი მნიშვნელოვან საპორტო-სამრეწველო ქალაქად გადაიქცა, ხოლო რუსეთის იმპერიამ ბაქო-ბათუმის ურთიერთდაკავშირებით დასავლეთში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ექსპორტირების უაღრესად ხელსაყრელი დერეფანი შეიძინა.

რაც შეეხება უშუალოდ ქართველ ერს, მისთვის ზემოთ აღნიშნული მოვლენების უმთავრესი დადებითი მხარე ის იყო, რომ ოსმალთა მფლობელობიდან რუსეთის იმპერიის ხელში აჭარა-ბათუმისა და სხვა ისტორიული ქართული ტერიტორიების გადასვლით, საქართველოს ნაწილებმა ერთ პოლიტიკურ სივრცეში მოიყარა თავი.

2. "The River Chorokhi/Çoruh. Connections, Production and Transportation"

ლიტერატურული ტრადიციის მიხედვით (რომლის შესახებაც მსჯელობს დ.ბრაუნდი), ჭოროხი ცნობილი იყო აკამფსისის სახელით მისი დინების ქვემო წელში, და როგორც ბოასი შუა წელში, სადაც იგი მოედინება ციცაბო კლდოვან მთებს შორის და უერთდება მნიშვნელოვან გზებს ჩრდილოეთითა და სამხრეთით. ამდენად, სანაოსნოდ მდინარის მხოლოდ გარკვეული მონაკვეთი იყო გამოსაყენებელი. ჩვენამდე მოღწეული წყაროების დეტალური მიმოხილვა გვიჩვენებს, რომ ის ასევე ცნობილი იყო აფსაროსის სახელით (განსაკუთრებით მის ქვემო წელში), რაც ხსნის მის შესართავთან არსებული რომაული ფორტის სახელწოდებას.

მომდევნო ნაწილში, ნ.ინაიშვილი იხილავს რუსეთის იმპერიის დროინდელ წერილობით მონაცემებს მდინარე ჭოროხისა და მისი ქვემო წელის რეგიონის ფიზიკური გეოგრაფიისა და მდინარის სანაოსნო თვისებების შესახებ, ასევე ყურადღებას ამახვილებს მდინარის სატრასპორტო როლზე იმდროინდელი ბათუმის ოლქის ცხოვრებაში. ის ასევე მსჯელობს სამდინარო სატრანსპორტო ქსელის შესახებ ართვინსა და ბათუმს შორის, განსაკუთრებით XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მზარდი საერთაშორისო ინტერესის ფონზე ართვინის რეგიონის სპილენძის საბადოების ათვისებასთან დაკავშირებით. ყურადღებას ამახვილებს სამდინარო პორტ ბორჩხაზე, რომელიც ამასთანავე იყო კერამიკული წარმოების ცენტრი. რაც აყენებს საკითხს მსგავსი აქტივობის შესახებ ანტიკურ ხანაში.

ბოლო ნაწილში, კასაბ ტეზგორი გვთავაზობს საყურადღებო მოსაზრებას ანტიკური კერამიკული წარმოების შესახებ, რომელიც ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ როგორც შავი ზღვის სამხრეთ და აღმოსავლეთ სანაპიროების, ისე ჰინტერლანდთან ურთიერთობების კონტექსტში. ის ყურადღებას ამახვილებს ბორჩხაზე, როგორც კერამიკული წარმოების მნიშვნელოვან ცენტრზე. კასაბ ტეზგორი ხაზს უსვამს მდინარე ჭოროხის გადალახვის სირთულეს მის ზემო წელში, ვარაუდობს, რომ სამდინარო სატრანსპორტო გზა ბორჩხიდან სანაპირომდე ძველ დროშიც ისევე უნდა ყოფილიყო განვითარებული, როგორც XIX-XX საუკუნეებში, როცა მისი პროდუქცია ყვაოდა და გადიოდა ზღვის სანაპიროზე მდინარის მეშვეობით.

3. "Roman Garrisons in the South-Eastern Black Sea Region According to Recent Archaeological Materials"

ნაშრომში წარმოდგენილი და განხილულია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებული რომაული პერიოდის ციხე-სიმაგრეები (ჰისოსი; ზანაიერი; ათინა; სათალა; მელიტენე; აფსაროსი; ფაზისი; სებასტოპოლისი), მათი ფუნქციონირების ქრონოლოგიური ჩარჩოები, ასევე ამ კასტელუმთა დანიშნულება და როლი რეგიონსა და, ზოგადად, რომის იმპერიაში. ამასთანავე, ნაშრომში ისტორიულ წყაროებსა და არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით აღწერილი და იდენტიფიცირებულია კონკრეტული გარნიზონები და დამხმარე კოჰორტები, რომლებიც იდგა ზემოთმოხსენებულ რომაული პერიოდის ციხე-სიმაგრეებში (XII Fulminata; XVI Flavia Firma; XV Apollionaris; Cohors II Claudiana; Cohors Aurelia).

ნაშრომის ძირითადი ნაწილი და კვლევები გარდა ისტორიული წყაროებისა, ეყრდნობა ეპიგრაფიკულ და არქეოლოგიურ მასალებს. სამწუხაროდ, რიგ მიზეზთა გამო თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვერ ხერხდება რომაული პერიოდის არქეოლოგიური მასალის დამუშავება. ამასთანავე, საკითხს ართულებს ისიც, რომ ტრაპიზონსა და მის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში არსებული რომაული ციხე-სიმაგრეები არქეოლოგიური თვალსაზრისით თითქმის შეუსწავლელია, ამდენად, ჩვენი კვლევა მეტწილად მაინც საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილ მასალებს ეფუძნება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე მიკვლეულ მასალებზე.

რაც შეეხება უშუალოდ შავი ზღვისპირეთის არეალში განლაგებულ რომაულ გარნიზონებს, მათი მომარაგება ხდებოდა როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო მარშრუტებით. რომის იმპერიის ადრეულ ეტაპზე, ძირითადად ჩვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარში შავიზღვისპირა სიმაგრეებში მდგომი გარნიზონების მომარაგება ხდებოდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის საწარმოო ცენტრებიდან, რასაც არქეოლოგიური მასალებიც ადასტურებს. მოგვიანებით, ჩვ. წ. II საუკუნიდან, მას შემდეგ რაც, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის პროვინციებში იმპერიის საზღვრები განმტკიცდა, ამ დროიდან უკვე დაწინაურდა სამხრეთ შავიზღვისპირეთში არსებული საწარმოო ცენტრები. განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქალაქი სინოპე და ტრაპიზონი, რასაც მათი სტრატეგიული მდებარეობაც უწყობდა ხელს. გარდა მომარაგების საზღვაო ხაზისა, ძალიან დიდ როლს ასრულებდა სახმელეთო გზებიც, რომლებიც როგორც შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ისე,

უშუალოდ პროვინციის აღმოსავლეთ საზღვრებში განლაგებული ციხე-სიმაგრეებისკენ (სათალა, მელიტენე, აფსაროსი, სებასტოპოლისი) მიემართებოდა, და პირიქით.

4. "Some Issues of National Mentality and Memory in Tao-Klarjetian"

წარმოდგენილ კვლევაში ტაო-კლარჯეთში ეროვნული მენტალიტეტისა და მეხსიერების რამდენიმე ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას. კერძოდ, ეროვნული გენის კოდი - ქართული ენის მდგომარეობა რა სურათს გვიჩვენებს ისტორიულ ტაო-კლარჯელთა ცნობიერებაში, რადგან ეროვნული იდენტობის ყველაზე მძლავრი ფაქტორი, მყარი ნიშანი ენაა. ასევე, ტაო-კლარჯელთა მეხსიერებაში, მათ ეროვნულ ცნობიერებაში რამდენადაა შემორჩენილი ისტორიული წარსულის ცოდნა. აქვე განხილული იქნება ტაო-კლარჯელთა ეთნოგრაფიულ-ფოლკლორული რეალიებიც.

აღნიშნული საკითხის კვლევისას გასათვალისწინებელია ტოპონიმური მასალის ანალიზიც. უფრო მეტიც, შეიძლება ქართული დავიწყებული აქვთ, მაგრამ მათ მეხსიერებას შემოუნახავს ადგილის ისტორიული ქართული სახელები.

საკვლევი საკითხის განხილვისას, ძირითადად, ჩვენ მიერ წლების განმავლობაში ექსპედიციების დროს ჩაწერილი ემპირიული მასალით ვიხელმძღვანელებთ. ბუნებრივია, გამოვიყენებთ და შევუდარებთ სხვათა სამეცნიერო შეხედულებებსა თუ სამეცნიერო მიმოქცევაში არსებულ ემპირიულ მასალას.

მიგვაჩნია, რომ ეროვნული მეხსიერება არა მხოლოდ წარსულის დაცვა-შენახვას, არამედ მომავალში მისი არსებობისა თუ გამოყენების შესაძლებლობასაც გულისხმობს. ეს კი, ტაო-კლარჯეთში მნიშვნელოვან პრობლემად იკვეთება.

5. "TOPONYMY AND PERSPECTIVES OF TEACHING"

ქართველოლოგიაში ტოპონიმიკას, როგორც ენათმეცნიერების დარგს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ღირებულია ამ მიმართულებით შექმნილი არაერთი მონოგრაფია, ლექსიკონი, სამეცნიერო პუბლიკაცია. მიუხედავად ამისა, მიღწეული შედეგებისა და მკვლევართა დასკვნების მნიშვნელობა ჯეროვნად არ არის გააზრებული და პრაქტიკაში გამოყენებული საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში. უფრო მეტიც, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის წარმოდგენილი სასწავლო პროცესებში, ამდენად, ლექსიკის ეს უნიკალური, მრავლისმეტყველი და ფასდაუდებელი საგანძური დაუმსახურებლად ექცევა ჩრდილში. ჩვენს სტატიაში „ტოპონიმია და მისი სწავლების პერსპექტივები" განხილულია ტოპონიმები, როგორც დამხმარე მასალა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ქვეყნის ისტორიის სწავლებისას. მოცემულია შემდეგი კონკრეტული საკითხები: 1. შიდა მიგრაციები და ტოპონიმია (დობირო, დობირდუმელა); 2. ტოპონიმთა ხელოვნური ცვლილება, როგორც დამპყრობლური პოლიტიკის ერთ- ერთი იარაღი (მწვანე კონცხი); 3. აღნიშნული საკითხების პროექტული სწავლების მოდელები და მისი შედეგები.

6. "Seamanship Terminology in Georgian Material and Cultural Dialectological Vocabulary"

ნებისმიერი ერი ცდილობს თავი დაიმკვიდროს მსოფლიო ხალხთა ცივილიზაციაში. თუ ქვეყანას აქვს ამბიცია ითვლებოდეს დიდი კულტურული მემკვიდრეობის შემქმნელად, მან თავი უნდა წარმოაჩინოს არა მარტო თანამედროვე მიღწევებით, არამედ წარსულით, ტრადიციებით, ადათ-წესებით. ბუნებრივია, ძველი ცივილიზაციის ერებში, რომლებშიც სამართლიანად ითვლება საქართველოც, სამეურნეო ცხოვრების მრავალფეროვნებას თან ახლდა ტერმინოლოგიური მრევალფეროვნებაც. ამ მხრივ ქართული ეთნოკულტურა, რომელიც ქართველი ხალხის, მისი ყოველი კუთხის მკვიდრთა ერთობლივი შემოქმედებაა, მეტად მრავალფეროვან პალიტრას წარმოგვიდგენს. მათი აღწერა-ფიქსირება, მივიწყებულ სიტყვა-ტერმინთა გახსენება იმდენად აუცილებელია, რამდენადაც ამას გვიყენებს თანამედროვე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესები. წინამდებარე სტატიაში საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ თევზთა და ფრინველთა ე.წ. ბადით დაჭერასთან დაკავშირებულ რამდენიმე ლექსიკურ ერთეულს და მათ კავშირს მიკროტოპონიმებთან, ადგილის განსაზღვრულ გეოგრაფიულ სახელწოდებებთან. ასე მაგალითად: სასირეყელი-(ფრინველთსაჭერი შემაღლებულ ადგილზე, დაბა მახინჯაურში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში), ოჯინჯი - (ფრინველთსაჭერი, დაბა მახინჯაურში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში), ქვაომხაზი-(თევზის საჭერი ადგილი სარფშ, ხელვაჩაურის მინიციპალიტეტში), ქვაღოძგო-(თევზის საჭერი ადგილი სარფში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში), ქვაოსპაო-(თევზის საჭერი ადგილი სარფში,

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში), ქვაოწუდე-(თევზის საჭერი ადგილი სარფში, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში) და ა. შ.

7. „Pre-Election Discourse in Georgia: Presidential Candidates and the Linguistic Devices They Use“
ნაშრომში საქართველოს წინასაარჩევნო კანდიდატების გამოსვლების ტექსტების ანალიზის საფუძველზე წარმოჩენილია საქართველოში წინასაარჩევნო კამპანიის თავისებურებანი, კანდიდატების თვით-პრეზენტაცია და მათ მიერ გამოყენებული ლინგვისტური ხერხები არჩევნებში წარმატების მისაღწევად.

8. “Georgian Ethno-Cultural Heritage in the Cultural-Historical Memory of Georgians in Turkey”
ისტორიული პროცესების შედეგად თურქეთის ტერიტორიაზე დარჩენილი ეთნიკური ქართველებისთვის ისტორიულ სამშობლოსთან ემოციური და სულიერი კავშირის, ერთგვარი თვითგადარჩენის და იდენტობის შენარჩუნების საშუალებად იქცა წინაპართა ტრადიციები, რომლებიც მათ ბოლო დრომდე შემოინახეს. სწორედ ტრადიცია აღმოჩნდა ის ღირებულება, რომელმაც მათ უცხო გარემოში „სხვებისგან“ გამიჯვნის და ამ გზით იდენტობის შენარჩუნების საშუალება მისცა. თურქეთში კომპაქტურად მცხოვრები ეთნიკური ქართველების კულტურულმა მეხსიერებამ ქართული ეთნოკულტურისათვის დამახასიათებელი არაერთი რიტუალი, წეს-ჩვეულება, დღესასწაული შემოინახა: ნაწილი - ძალზე ტრანსფორმირებული, ფრაგმენტული სახით, ნაწილი - ადგილობრივ ტრადიციებთან შერწყმული, ნაწილი - ფუნქციადაკარგული, ნაწილი კი უფრო სრულყოფილად და თავდაპირველი სახით შემორჩენილი, ვიდრე მათ ისტორიულ სამშობლოში - საქართველოში. ნაშრომში კულტურული მეხსიერების ზოგიერთი საკითხი განხილულია ერთი დღესასწაულის - „ფადიკოს//ფათიკოს“ პრიზმაში.

8. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

8.1. საქართველოში

მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **ოლეგ ჯიბაშვილი,** „გარნისის მარცხი - ივანე ათაბაგის სეპარატისტული გეგმის ნაწილი?“ // 2023, 20-21 სექტემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-II // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2. **ოლეგ ჯიბაშვილი,** „ბათუმი იმპერიული ხედვის ჭრილში“ // 2023, 29 მაისი, პროფ. აბელ სურგულაძის დაბადებიდან 90 წლისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია // ორგანიზატორი: ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

3. **ოთარ თურმანიძე,** „ჩაის პირველი ფაბრიკები საქართველოში“ // 2023, 20-21 სექტემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-II // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

4. მერაბ ხალვაში, **ნინო ინაიშვილი,** „გვიანანტიკური–ადრეშუასაუკუნეების ხანის ყავისფერკეციანი კოლხური ამფორების ტიპოლოგიის საკითხისათვის“ // 2023, 20-21 სექტემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-II // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და

კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

5. **უჩა ოქროპირიძე,** „ქართული ასომთავრული, საკრალური პოეზია, ანუ სამყაროს ხუთი კვირეული“ (ნაწ. მესამე), // 2023, 11-12 მაისი, საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალავარი“–XII // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ააიპ ბათუმის კულტურის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

6. **უჩა ოქროპირიძე,** „აჭარა პოსტსაბჭოთა პერიოდში (1990-2023) - მოკლე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმოხილვა“ // 2023, 20-21 სექტემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-II // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

7. **უჩა ოქროპირიძე,** „აჭარა სამხედრო-კრიმინალური გადატრიალებიდან „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში“ შეყვანამდე (1992. 6. 01-1994. 1. 03)“ // 2023, 9-11 ოქტომბერი, საქართველოს ეროვნული აკადემიის წ.კ. გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურულ-საისტორიო ძიებანი“ // თბილისი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი

8. **გიორგი თავამაიშვილი,** „წყლის სადინართა სისტემა გვიანი შუასაუკუნეების პეტრა-ციხისძირში“ // 2023, 20-21 სექტემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-II // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

9. **მაია ჭიჭილეიშვილი,** „მეღვინეობასთან დაკავშირებული ნაგებობები აჭარაში“ // 2023, 18 აპრილი, საერთაშორისო სემინარი „შავიზღვისპირეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები – პრობლემები და პერსპექტივები“ // კონფერენციის ორგანიზატორი: აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო // ბათუმი, სასტუმრო „ჰილტონი“.

10. **მაია ჭიჭილეიშვილი,** „კონსტრუქტივიზმი XX საუკუნის 30-იანი წლების ბათუმის არქიტექტურაში“ // 2023, 20-21 სექტემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-II // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

11. **მაია ჭიჭილეიშვილი,** „ბათუმის ბულვარის ისტორია“ // 2023, 20 ოქტომბერი, ბათუმის ბულვარის საერთაშორისო კონფერენცია „რეკრეაციული პარკების მართვა და შესაძლებლობები“ // კონფერენციის ორგანიზატორი: ბათუმის ბულვარის ადმინისტრაცია // ბათუმი. სასტუმერო „ჰილტონი“.

12. **მერაბ მეგრელიშვილი,** „გზები და ხიდები აჭარაში XIX საუკუნე“ // 2023, 27-28 აპრილი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) // კონფერენციის ორგანიზატორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო // ბათუმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველო.

13. **მერაბ მეგრელიშვილი,** „რელიგიური სკოლები აჭარაში XIX-XX სს“ // 2023, 11-12 მაისი, საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალავარი“–XII // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ააიპ ბათუმის კულტურის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

14. **მერაბ მეგრელიშვილი,** ნიკოლოზ მეგრელიშვილი, „შავი ზღვის წმინდა ნიკოლოზის საბაჟო (1856-1910 წწ.)“ // 2023, 20-21 სექტემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-II // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

15. **ირინე ვარშალომიძე,** ანდრია როგავა, ნონა იმნაძე, „რომაული მონეტები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან (სუფსა, ყვავილნარი)“ // 2023, 9-11 ოქტომბერი, საქართველოს ეროვნული აკადემიის წ.კ. გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურულ-საისტორიო ძიებანი“ // თბილისი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი.

16. **ირინე ვარშალომიძე,** ნარგიზ სურმანიძე, ლაშა ასლანიშვილი, „რომაული მონეტების განძი ჩაქვიდან“ // 2023, 20-21 სექტემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-II // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

17. შოთა მამულაძე, **სულხან მამულაძე,** „კულტმსახურება რომაული პერიოდის გონიო-აფსაროსში“ // 2023, 9-11 ოქტომბერი, საქართველოს ეროვნული აკადემიის წ.კ. გურამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 85 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურულ-საისტორიო ძიებანი“ // თბილისი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი.

18. **ტარიელ ებრალიძე,** ნარგიზ სურმანიძე, „ბრინჯაოს ცული ფურტიოდან“ // 2023, 20-21 სექტემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-II // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

19. **ელზა ფუტკარაძე,** „არტაანის მხარის ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური პორტრეტი კონსტანტინე ოდიშარიას არტაანში მოგზაურობის დღიურების მიხედვით“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - ,,სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია), X, 2023 წლის w. 27-28 აპრილი, ბათუმი, საარქივო სამმართველო.

20. **ელზა ფუტკარაძე,** „მამია ვარშანიძის „პოეტური აღმოთქმა“ // 2023, 11-12 მაისი, საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალავარი“–XII // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ააიპ ბათუმის კულტურის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

21. **ელზა ფუტკარაძე,** „საქორწინო ლექსიკა და ხატოვანი თქმები ტაო-კლარჯულში“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - ქუთაისური საუბრები, XVIII, 9-10.06, ქუთაისი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

22. **ელზა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე,** „იბრაიმ გორაძე - მწერალი და მთარგმნელი“ // 2023, 20-21 სექტემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-II // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

23. **ელზა ფუტკარაძე,** „კომპოზიტები ტაო-კლარჯულ მეტყველებაში“ // 2023, 20-21 სექტემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-II // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

24. **ელზა ფუტკარაძე,** „ქსოვის ლექსიკიდან სამხრულ-დასავლურ დიალექტებში“, არ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის VIII ადგილობრივი კონფერენცია - „სამეცნიერო ტერმინოლოგია“, 25-26 სექტემბერი, თბილისი, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

25. **ნანული ნოღაიდელი,** „რამდენიმე ტერმინი ხითხუროობის ლექსიკიდან“ // 2023, 11-12 მაისი, საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალავარი“–XII // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ააიპ ბათუმის კულტურის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

26. **ნანული ნოღაიდელი,** „რამდენიმე ძველქართული ტერმინი აჭარული დიალექტის ხალხური მკურნალობის ლექსიკიდან“, VIII ადგილობრივი კონფერენცია „სამეცნიერო ტერმინოლოგია“, 25-26 სექტემბერი, თბილისი, თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

27. **ნანული ნოღაიდელი, თამილა ლომთათიძე,** „თამაშობათა ეთნოლინგვისტური ასპექტები“, // 2023, 20-21 სექტემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-II // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

28. **ნარგიზ ახვლედიანი,** დიანა ახვლედიანი, ,,ხარის კულტისა და სამიწათმოქმედო კულტურასთან დაკავშირებული ორი მითოლოგიზმის შესახებ'' // 2023, 20-21 სექტემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-II // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

29. **ნარგიზ ახვლედიანი,** „კომპოზიტური წარმოების ფიტოტოპონიმები“, საერთაშორისო კონფერენცია - არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა: ტენდენციები და გამოწვევები, 2023 წლის 20-22 სექტემბერი, ქ. თბილისი, ეროვნული სახელმწიფო არქივი.

30. **ნარგიზ ახვლედიანი,** „ერთი ტოპონიმის კვლევისათვის ბათუმის შემოგარენში“, IX საერთაშორისო კონფერენცია - ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები, 2023 წლის 13–14 ოქტომბერი, თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

31. **ნარგიზ ახვლედიანი,** დიანა ახვლედიანი, „ტოპონიმ ,,ბათუმ''-ის კვლევისათვის“, კავკასიოლოგთა II საერთაშორისო ლინგვისტურ - ანთროპოლოგიური კონგრესი, 2023 წლის 17-19 ოქტომბერი, თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

32. ნინო ჯორბენაძე, იამზე გაგუა, **ნარგიზ ახვლედიანი,** ლელა ჩოთალიშვილი, ,,აია / კოლხეთი - სინონიმური ტოპონიმების ისტორიისათვის'', კავკასიოლოგთა II საერთაშორისო ლინგვისტურ - ანთროპოლოგიური კონგრესი, 2023 წლის 17-19 ოქტომბერი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

33. **ნარგიზ ახვლედიანი,** ,,ერთი ტოპონიმის ლინგვო-ისტორიული კვლევისათვის'', საერთაშორისო კონფერენცია - გეოგრაფია -წარსული, აწმყო, მომავლის გამოწვევეები, 2023 წლის 1-3 ნოემბერი, თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

34. **ნარგიზ ახვლედიანი,** „ვაშლის ჯიშები აჭარულში“, გიორგი ნიკოლაძის 155-ე წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია „სამეცნიერო ტერმინოლოგია“. 2023 წლის 25-26 სექტემბერი,.ქ.თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

35. ნინო ჯორბენაძე, ნანა ხოჭოლავა, **ნარგიზ ახვლედიანი,** ლელა ჩოთალიშვილი, ქეთევან რეხვიაშვილი, დიანა ახვლედიანი, ,,ტოპონიმებით დანახული საქართველო", კონფერენცია: ,,ენა და კულტურა", 2023 წლის 24-25 ნოემბერი, ქ. თბილისი,ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი.

36. **ნარგიზ ახვლედიანი,** ქეთევან მარგიანი, „ერთი ნაგენეტივარი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის ქართველურში“, XLIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, 2023 წლის 6 -7 ოქტომბერი, ახალქალაქი, სამცხე - ჯავახეთის უნივერსიტეტი.

37. ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი, **ნარგიზ ახვლედიანი,** ქეთევან რეხვიაშვილი, დიანა ახვლედიანი, „საქართველოს ტოპონიმიის სწავლებისა და პოპულარიზაციის პერსპექტივები“, ბესარიონ ჯორბენაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების სამეცნიერო კონფერენცია, 2023 წლის 10 -11 მაისი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

38. **ნაილე მიქელაძე,** ლიუბოვ ლისკი, ნელი გაბაიძე, „კულტურული მრავალფეროვნების მიმართ ტოლერანტობის დამკვიდრების საკითხისათვის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ფინური მიდგომის გათვალისწინებით“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე, II, ბათუმი, 20-21 სექტემბერი, 2023 წ., ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

39. **ნაილე მიქელაძე,** მარიამ პაპიაშვილი, „ხის კულტი ჰერეთის მკვიდრთა ცნობიერებაში(ახალი ფოლკლორული მასალების მიხედვით)“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია- ,,ქუთაისური საუბრები“, XVIII, 9-10 ივნისი, ქუთაისი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

40. **ნაილე მიქელაძე,** „ტოპონიმ გულების გენეზისისათვის“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია- ,,კულტურათშორისი დიალოგები“, VII, 27-29 ოქტომბერი, თელავი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

41. **ნაილე მიქელაძე,** „ისტორიული რეალიები ასლან მიქელაძის პირადი არქივიდან“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია), 27-28 აპრილი, ბათუმი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დაწესებულება - საარქივო სამმართველო.

42. **ნაილე მიქელაძე,** „რამდენიმე ტოპონიმის გააზრებისათვის აჭარის ფოლკლორში (ხულოს რაიონში 1953 წელს განხორციელებული ექსპედიციის მასალების მიხედვით)“, // 2023, 11-12 მაისი, საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალავარი“–XII // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ააიპ ბათუმის კულტურის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

43. **ციალა ნარაკიძე,** „მცენარეული ლექსიკისა და მათი წარმომავლობის შესახებ ლაზურში, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ქუთაისური საუბრები“, XVIII, 9-10 ივნისი, ქუთაისი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

44. **ციალა ნარაკიძე,** „გერ-დედინაცვლის სიუჟეტის შემცველი ზღაპარი ლაზურში“ // 2023, 20-21 სექტემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-II // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

45. **ფატი აბაშიძე,** „საქართველოს ისტორიული წარსული ქართულ ფოლკლორსა და ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში („ძველი დმანისი“, „ორი სიზმარი“)“ // 2023, 20-21 სექტემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-II // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

46. **ფატი აბაშიძე,** „მეფე ერეკლეს სახე ხალხურ შემოქმედებასა და ვახტანგ ორბელიანის ლექსში „იმედი”; საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ქუთაისური საუბრები“, XVIII, 9-10 ივნისი, ქუთაისი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

47. **ცისნამი ბერიძე,** „ მერისის მეტყველების ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება” // 2023, 20-21 სექტემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-II // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

48. **ცისნამი ბერიძე,** „არქაული ლექსიკური ერთეულები მერისის ხეობის მეტყველებიდან”, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია - „ქუთაისური საუბრები“, XVIII, 2023 წლის 9-10ივნისი, ქუთაისი, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტი.

49. **ნოდარ კახიძე,** „შავი ზღვის ძველი ქართული და უცხოური სახელწოდებები“ // 2023, 20-21 სექტემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-II // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი

მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

50. **ნაილა ჩელებაძე,** „გიორგი ჩიტაია ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და ბრძოლის შესახებ“ // 2023, 20-21 სექტემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-II // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

51. **ნაილა ჩელებაძე**, „აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას პოლიტიკური მოღვაწეობა ქალაქ ფოთში საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში“. აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ხსოვნისადმი მიძღვნილი, ფაზისის აკადემიის მიერ ორგანიზებული ონლაინ-კონფერენცია. 2023 წ. 23 თებერვალი.

52. **ნაილა ჩელებაძე,** „დიდაჭარის ტრადიციული კულტურის შესწავლის ზოგიერთი ასპექტისათვის“ // 2023, 11-12 მაისი, საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალავარი“–XII // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ააიპ ბათუმის კულტურის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

53. **ნუგზარ ჩხაიძე,** „ბათუმის შემოქმედებითი ინტელიგენციის საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი“ // 2023, 20-21 სექტემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „შავიზღვისპირეთი ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე“-II // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტის სამი მონოთეისტური რელიგიისა და კანონიკური სამართლის შესწავლის კვლევის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

54. **ანა ბაგრატიონი,** „ეთნოლოგიური კვლევების ისტორიიდან აჭარაში“ // 2023, 11-12 მაისი, საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ჩვენი სულიერების ბალავარი“–XII // კონფერენციის ორგანიზატორები: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერისტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ააიპ ბათუმის კულტურის ცენტრი // ბათუმი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

55. **თამილა ლომთათიძე,**„აჭარის ეთნოგრაფიული შესწავლის სათავეებთან“ (აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის 90 წლისთავი)//2023 წ., 7-8 დეკემბერი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მუზეუმი და გლობალიზაცია“-III//კონფერენციის ორგანიზატორი: სსიპ აჭარის მუზეუმი // ბათუმი, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი – აჭარის მუზეუმი.

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

1. **„გარნისის მარცხი - ივანე ათაბაგის სეპარატისტული გეგმის ნაწილი?“**

1225 წელს, სომხეთში, გარნისის მახლობლად, ერთმანეთს შეხვდა საქართველოს ჯარები ივანე ათაბაგის (მხარგრძელის) მეთაურობით და ხვარაზმელთა ლაშქარი ჯალალ ად-დინ მანკბურნის სარდლობით. ხვარაზმელებს პირველად ქართველთა წინამბრძოლნი – მესხების ოთხიათასიანი რაზმი შეება ივანე და შალვა ახალციხელების წინამძღოლობით, რომლებიც ისე გაწყდნენ, ძირითადი ბანაკიდან ივანე მხარგრძელმა მაშველი არ გამოუგზავნა. მესხთა განადგურების შემდეგ მთავარსარდალმა ქართველთა ძირითადი ძალებით ბრძოლის ველი უომრად დასტოვა და უკუიქცა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, ძირითადად, გაზიარებულია ჟამთაღმწერლის ვერსია, რომ მხარგრძელმა ეს ძნელად ასახსნელი ნაბიჯი ძმები ახალციხელებისადმი შურის გამო გადადგა. ბოლო

დროს გამოთქმული მოსაზრებით კი მხარგრძელის გადაწყვეტილება ახსნილია ახალციხელებთან საგვარეულო დაპირისპირების ნიადაგზე მათი ლივიდაციის სურვილით, რათა მხარგრძელთა ახალგაზრდა წარმომადგენლებისათვის სამეფო კარზე სახიფათო კონკურენტები ჩამოეშორებინა.

ნაშრომში გაანალიზებულია იმდროინდელ საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება და გამოთქმულია არგუმენტირებული მოსაზრება, რომლის თანახმადაც გარნისის მარცხი შესაძლებელია იყოს მხარგრძელის სეპარატისტული გეგმის ნაწილი, რაც მიზნად ისახავდა საქართველოს დამარცხებით გამოწვეული არეულობით სარგებლობას და საკუთარი პოლიტიკური პოზიციების განმტკიცებას. წინააღმდეგ შემთხვევაში გაურკვეველია, ახალციხელთა ლიკვიდაციის შემდეგ რატომღა გაბრუნდა უკან მხარგრძელი და არ ჩაება ბრძოლაში ჯალალ ად-დინთან, რითაც ყოველგვარი საჭოჭმანო კითხვების გაჩენასაც აიცილებდა და ახალციხელებიც ჩამოცილებული ეყოლებოდა.

2. **„ბათუმი იმპერიული ხედვის ჭრილში“**

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ბათუმი, ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ტერიტორიებთან ერთად, რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოექცა. მოხსენებაში, სხვადასხვა რუსულენოვან წყაროზე დაყრდნობით (პეტროვსკი, მოლჩანოვი, ვოლოშინი, ვოსტორგოვი და სხვ.), გაანალიზებულია ბათუმის მიმართ არსებული დამოკიდებულების ხასიათი. მასალებიდან აშკარად იკვეთება, რომ ბათუმი აღიქმება არა როგორც ისტორიული ქართული ქალაქი, არამედ როგორც იმპერიის მონაპოვარი, მისი ნაწილი და ფორპოსტი სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. შესაბამისად, ბათუმისა და მისი სვე-ბედის გააზრებაც სწორედ ამ კონტექსტში ხდებოდა.

3. **„ჩაის პირველი ფაბრიკები საქართველოში“**

საქართველოში ჩაის ფაბრიკის მშენებლობა XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება და საბჭოთა ხელისუფლების დასასრულამდე გაგრძელდა. პირველი ფაბრიკები აშენდა 1898-1913 წლებში. პირველი მსოფლიო ომის წინ საქართველოში 8 ჩაის საწარმოო ითვლებოდა. მათგან სიმძლავრით მნიშვნელოვანი იყო ჩაქვის საუფლისწულო მამულის, პოპოვის (სალიბაური), ნაკაშიძის (ოზურგეთის მაზრა, სოფელი ზედოუბანი), ზვანას (ოზურგეთის მაზრა) სახაზინო ფაბრიკები. საბჭოთა ხელისუფლების დამთავრების შემდეგ ჩაის ფაბრიკების ნაციონალიზაცია განხორციელდა. წვრილი საწარმოები დაიხურა. მოქმედებდა მხოლოდ ჩაის 4 ფაბრიკა (ჩაქვის, სალიბაურის, ზედოუბნისა და ზვანას).

4. **„გვიანანტიკური–ადრეშუასაუკუნეების ხანის ყავისფერკეციანი კოლხური ამფორების ტიპოლოგიის საკითხისათვის“**

მოხსენებაში განხილულია გვიანანტიკურ–ადრეშუასაუკუნეებში შავი ზღვის რეგიონში კერამიკული ტარის ერთ–ერთ ყველაზე გავრცელებული ტიპი, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ყავისფერკეციანი, წელშეზნექილი ამფორების ან „კოლხური ამფორების“ სახელით (ზეესტი). მკვლევარების მიერ გამოთქმულია ვარაუდი, რომ ისინი გენეტიკურად ელინისტური ხანის კოლხურ ამფორებთან არის დაკავშირებული (რ.ფუთურიძე). გამოყოფილია ამ ეპოქებს შორის გარდამავალი პერიოდის (რომაული ხანის) ვარიანტები (ს.ვნუკოვი), ხოლო თიხის შედგენილობის მიხედვით ჩრდილოეთ და სამხრეთ კოლხეთის საწარმოო ცენტრების პროდუქცია (ს.ვნუკოვი). აღნიშნული ტიპის ამფორების აღმოჩენების სიმრავლე და სიხშირე შავიზღვისპირეთში გულისხმობს აქ მრავალი საწარმოო ცენტრის არსებობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. მათი დადგენა დამოკიდებულია საწარმოო ქურების გამოვლენასა და არქეოლოგიური არტეფაქტების არქეომეტრულ კვლევაზე, რაც სამომავლო კვლევის საგანს წარმოადგენს.

პეტრა–ციხისძირის არქეოლოგიური მასალების კვლევამ გამოავლინა გვიანანტიკური–ადრეშუასაუკუნეებში გავრცელებული ყავისფერკეციანი, წელშეზნექილი კოლხური ამფორის კიდევ ერთი ახალი ვარიანტი, რომელიც სპეციფიკური მორფოლოგიური თავისებურებებით ხასიათდება. ამასთანავე, იგი ელინისტური ხანის კოლხურ ამფორებთან ავლენს მჭიდრო გენეტიკურ კავშირს ტექნოლოგიური თვალსაზრისით.

5. –

6. **„აჭარა პოსტსაბჭოთა პერიოდში (1990-2023) - მოკლე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმოხილვა“**

ნაშრომში გადმოცემულია აჭარაში მიმდინარე პროცესები პოსტსაბჭოურ პერიოდში 1990 წლიდან 2023 წლამდე. მასში განხილულია აჭარის ხელისუფლებიდან კომუნისტური ნომენკლატურის წასვლისა და ასლან აბაშიძის მოსვლის შემდეგი პერიოდი. საქართველოში მომხდარი სამხედრო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ აჭარაში განვითარებული მოვლენები და მისი ხელისუფლებისა და ეროვნული ძალების ადგილობრივ წარმომადგენლთა წინააღმდეგობა უკანონო რეჟიმისადმი. საქართველოს ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის მოსვლა და აჭარის ხელისუფლებიდან ასლან აბაშიძის გაძევება. ნაციონალური მმართველობა აჭარაში და ქართული ოცნების ხელისუფლების თანამედროვე მმართველობა აჭარაში.

7. –

8. **„წყლის სადინართა სისტემა გვიანი შუასაუკუნეების პეტრა-ციხისძირში“**

ადრებიზანტიურ ხანაში სხვადასხვა ტიპის და დანიშნულების (საეკლესიო, სამეურნეო) ნაგებობები (ბაზილიკა, ცისტერნა, აბანო) აშენდა პეტრას შიდაციხის ცენტრალურ ნაწილში, კერძოდ, სამრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ უბანზე. არქეოლოგიური კვლევა-ძიებით დგინდება, რომ მოგვიანო ეპოქებშიც ეს უბანი საკმაოდ მოსახერხებლად მიიჩნიეს სხვა ტიპის ნაგებობათა სამშენებლო საქმიანობისთვის. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება გვიანი შუასაუკუნეების ხანის სამეურნეო ნაგებობას, რომელიც, უშუალოდ, ადრებიზანტიური ხანის ნაგებობის (ცისტერნა) დასავლეთ კედლებზე აღმართეს. როგორც ჩანს, ოსმალებმა ცისტერნის შენობა, არა ძირითადი, არამედ უტილიტარული დანიშნულებით გამოიყენეს (საყოფაცხოვრები ნარჩენების ნაგავსაყრელი), ხოლო, დამატებით, მიმდებარე ტერიტორიაზე ჩვენთვის ჯერ კიდევ გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობის კედლები მათვის სასურველ დონეზე მოანგრიეს. ამავე დროს, ცალკეული მონაკვეთები ახალი სამეურნეო ნაგებობის კედლის საძირკვლის ქვესაძირკვლად გამოიყენეს. გათხრებმა გვიჩვენა, რომ კედლის დაზიანება ასევე მნიშვნელოვნად განაპირობა გვიანი შუასაუკუნეების ეპოქაში ციხის ტერიტორიაზე წყლის სადინარების თუ სანიაღვრეების კოლექტორების მოწყობისთვის განხორციელებულმა სამუშაოებმაამაც. ჩვენ მიმოვიხილავთ სადინრების ხუთ ტოტს, რომლებიც კირქვის ფილებით არის გადახურული და ორ შემკრებ კოლექტორთან არის დაკავშირებული.

9. **„მეღვინეობასთან დაკავშირებული ნაგებობები აჭარაში“**

მევენახეობა-მეღვინეობას საქართველოს ყველა კუთხეში, მათ შორის აჭარაში, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. აჭარაში უმეტესად მაღლარი ვენახი იყო გავრცელებული, რადგან იგი კარგად ეგუებოდა მკაცრ და ყინვიან ზამთარს. აჭარაში მეღვინეობის გავრცელებას, ვაზის ჯიშებთან ერთად, ადასტურებს კლდეში, ქვის მოზრდილი ლოდებში ნაკვეთი, ასევე ქვითკირით ნაგები საწნახლები, ქვით ნაგები მარნები, მიწაში ჩაფლული სხვადასხვა ტევადობის ქვევრები, ზეპირსიტყვიერი ცნობები, ტერმინოლოგიური მონაცემები და სხვ. საწნახლები დაკავშირებულია როგორც საეკლესიო, ასევე საერო ნაგებობთან, ან განთავსებულია განცალკევებით ტყეში, კლდეებთან ახლოს, მთის ფერდებზე გაშენებული მაღლარი ვენახების მახლობლად. აჭარაში გამოვლენილი ღია და დახურული ტიპის მარნები დადასტურებულია საეკლესიო-სამონასტრო, საცხოვრებელ და თავდაცვით კომპლექსებთან. დახურული მარნების სახასიათო ნიშნებს წარმოადგენს მართკუთხა გეგმარების მქონე სათავსის ნაწილობრივ მიწის სიღრმეში განთავსება, სივრცის ერთ ან ორ სათავსოდ წარმოდგენა, ექსტერიერის ბანური (ბრტყელი), ხოლო ინტერიერის კამაროვანი გადახურვა, მარნის შიდა და გარე ტერიტორიებზე მოზრდილი ქვევრების ჩატანება, ქვით ნაგები კედელებისა და ფასადების შედარებით სუფთა წყობა და მაღალი სამშენებლო კულტურა.

10. **„კონსტრუქტივიზმი XX საუკუნის 30-იანი წლების ბათუმის არქიტექტურაში“**

საბჭოთა პერიოდის საწყის ეტაპზე საქართველოს არქიტექტურაში გამოხატულებას ჰპოვებს კონსტრუქტივიზმის სტილი. 20-იან წლებში საქართველოში ჩაისახა საცხოვრებელი კვარტალების დაპროექტებისა და მშენებლობის კომპლექსური განაშენიანება, რომლის მაგალითებს ვხვდებით ბათუმის საცხოვრებელი სახლების არქიტექტურაში. ახალი საცხოვრებელი კვარტალები იქმნება ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის დასახლებისთვის (1930), მთავარნავთობმომარაგების ტრესტისათვის მაიაკოვსკის ქუჩაზე, რკინიგზის მუშებისათვის პუშკინის ქუჩაზე (1927), ზ.

გორგლიძისა და ივ. ჯავახიშვილის ქუჩების მიმდებარედ. კონსტრუქტივიზმის პრინციპების თანახმად, ამ წლებში აგებულ შენობებს ახასიათებს ნაგებობის მოცულობების სხვადასხვა კონსტრუქციული ფორმითა და მასშტაბებით წარმოდგენა, ფასადების სადა, ლაკონური გადაწყვეტა, საბჭოთა სიმბოლოების გამოყენება.

11. **„ბათუმის ბულვარის ისტორია“**

140 წლიანი ისტორიის მქონე ბათუმის ბულვარი ქალაქის ცხოვრებისა და ტრადიციის განუყოფელი ნაწილია. იგი წარმოადგენს ჩამოყალიბებული გეგმარებისა და სტრუქტურის მქონე არქიტექტურული და ბაღის მცენარეების ერთობლივ კომპოზიციას, რომელიც საინტერესოა საზოგადოებისათვის ისტორიული და მხატვრული თვალსაზრისით. მის გაშენებას საფუძვლად უდევს პროფესიონალ აგრონომთა ცოდნა-გამოცდილება. ბულვარი ტრადიციულად შეიცავს საგანგებოდ მოწყობილ სივრცეებს როგორც წყნარი, ისე აქტიური დასვენებისათვის. ბაღის მწვანე საფარის განახლების მიუხედავად მისი ძირითადი სივრცით-გეგმარებითი სტრუქტურა, ბოლო ათწლეულის უხეში ჩარევების გარდა, დაცულია მეტ-ნაკლებად თავდაპირველი სახით. საუკუნის განმავლობაში ბულვარი ინარჩუნებს ქალაქის უალტერნატივო სარეკრეაციო ზონის სტატუსს. მნიშვნელოვანია, რომ ბათუმის ბულვარის, როგორც საბაღო-საპარკო ხელოვნების ნიმუშის განახლება ხორციელდებოდეს ისტორიული ბაღების დაცვის – ე.წ. ფლორენციის ქარტიის ძირითადი პრინციპების საფუძველზე, რაც ადგილის სულის შენარჩუნებას, შემოგარენის დაცვას, ფიზიკური და ეკოლოგიური ბალანსისთვის საფრთხის შემცველი ქმედებების პრევენციას გულისხმობს.

12. –

13. –

14. **„შავი ზღვის წმინდა ნიკოლოზის საბაჟო (1856-1910 წწ.)“**

რუსეთის წმინდა ნიკოლოზის საბაჟო ფუნქციონირებდა 1856-1910 წლებში. იგი წარმოადგენდა სასაზღვრო პუნქტს და ძირითადათ აკონტროლებდა რუსეთ-თურქეთ შორის მიმოსვლას. შავ ზღვაზე წმინდა ნიკოლოზის საბაჟოს გეოგრაფიული სივრცე მოიცავდა სუფსა-ნატანებს, შეკვეთილს, ქობულეთს და შავ ზღვასთან დამაკავშირებელ გზებს. წმინდა ნიკოლოზის საბაჟო არეგულირებდა სავაჭრო ეკონომიკურ ურთიერთობებს და აკონტროლებდა მიმდებარე საზღვარზე საქონლის ტვირთბრუნვას. წმინდა ნიკოლოზის საბაჟოს გააჩნდა სამხედრო დანიშნულებაც. იგი კონტროლს უწევდა სამხედრო ტვირთის ტრანსპორტირებას. წმინდა ნიკოლოზის საბაჟო კონტროლს უწევდა შავ ზღვაზე სავაჭრო თუ სამხედრო გემების მიმოსვლას და ძირითადათ ემსახურებოდა რუსეთის სამხედრო ეკონომიკურ ინტერესებს.

15. –

16. **„რომაული მონეტების განძი ჩაქვიდან“**

ახ.წ. I-IV სს-ში შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე განლაგებული რომაული თავდაცვითი ხაზის, ე.წ. პონტოს ლიმესის ფუნქციონირების, ქრონოლოგიის, სამხედრო შენაერთების იდენტიფიკაციის, მომარაგების, ჯარის ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის კვლევა კოლხეთის ისტორიის აქტუალური პრობლემაა. საკითხის სრულყოფილად შესწავლისათვის ინფორმაციულია საქართველოს სანაპირო ზოლში მოპოვებული ნუმიზმატიკური მასალა. ამ კუთხით სიახლის მომცემია 2020 წელს ჩაქვის სანაპიზოზე, ბუკნარის მხარეს, ზღვიდან 50 მეტრში, გიორგი ცინცაძის მიერ შემთხვევით ნაპოვნი 25 მონეტისაგან შემდგარი განძი, შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ისინი მოჭრილია ახ.წ. I-IV საუკუნეებში რომის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში. 2 მონეტა ვერცხლისაა და წარმოადგენს დენარებს, ერთი მოჭრილია რომის იმპერიის დამაარსებლის გაიუს ოქტავიანე ავგუსტუსის (ძვწ. 63-ახ.წ. 14 წწ.) სახელით , მეორე კი იულია მაესას (160-224 წწ)(ალექსანდრე სევერუსის დედა) სახელით. განძის დანარჩენი მონეტები სპილენძისაა, ისინი ანტონინიანებსა და ფოლისებს წარმოადგენენ, ძირითადი ნაწილი მოჭრილია იმპერატორ აურელიანუსისა (270-275 წწ) და კონსტანტინუსის სახელით (337-361 წწ). ნუმიზმატიკური მასალის შესწავლის შედეგად ჩანს, რომ განძის დაფლვა მოხდა IV საუკუნის მეორე ნახევარში, 361 წლის

შემდეგ. მონეტები სამხედრო ტიპისაა, უმრავლესობაზე გამოსახულია ჯარისკაცები, ტიპოლოგია და ნომინალების კვლევაც მიუთითებს, რომ აღნიშნული მონეტები რომაელი ჯარისკაცების ხელფასის ნაწილია. განძი აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ შეიძინა.იგი პირველად ქვეყნდება.

აღნიშნული განძის კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სამონეტო მიმოქცევის, პეტრა-ციხისძირის შემოგარენის, რომაული გარნიზონების დგომის ქრონოლოგიური ჩარჩოების შესასწავლათ. განძის აღმოჩენამ დასავლეთ საქართველოში რომაული მონეტების გავრცელების რუკაზე მოგვცა ახალი ლოკაცია ჩაქვი.

17. –

18. **„ბრინჯაოს ცული ფურტიოდან“**

2012 წელს სოფელ ფურტიოს მკვიდრმა გოჩა ხილაძემ სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ე.წ. ,,ალალურის“ უბანში შემთხვევით იპოვა ბრინჯაოს ყუადაქანებული ცული, რომელსაც ანალოგების მიხედვით ძვ.წ. III ათასწლეულის II ნახევრით ვათარიღებთ.

სოფელ ფურტიოში აღმოჩენილი ბრინჯაოს ცული ერთ-ერთ არქაულ ფორმას წარმოადგენს აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილ ბრინჯაოს ცულებს შორის. აქვს მკვეთრად დაქანებული, შუაში ჩაზნექილი ყუა. ყუისა და მრგვალი სატარე ხვრელის კიდეები შესქელებულია. სოლისებური ტანი და სატარე ერთმანეთისაგან საფეხურისებურადაა გამოყოფილი, ორმხრივ წამახვილებული პირი ოდნავ მორკალულია.

კავკასიაში აღმოჩენილი სპილენძის არქაული ცულების გენეზისთან დაკავშირებით ხშირად მიუთითებენ მესოპოტამიაში ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე გავრცელებულ სპილენძის ყუადაქანებულ ცულებზე, რომელთაც თიხის მოდელების სახით მოაღწიეს ჩვენამდე. არქეოლოგთა შორის მიღებული მოსაზრებით, კავკასიაში ყუადაქანებული ცულების ჩამოსხმა, ხშირ შემთხვევაში, წინააზიური ნიმუშების მიბაძვით ხდებოდა. თუმცა ლოკალურ ფორმაში.

ცულის ეს ტიპი კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში, საკმაოდ ადრეული ხანიდან, ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნაზე ჩნდება (ვაჩნაძიანი, შემთხვევითი. გურჯაანის რაიონი. IV-III ათასწლ. მიჯნა პირველი ჯგუფი).

აჭარის ტერიტორიაზე ადრე აღმოჩენილი ნაომარის ცულის შემდგომ ფურტიოს ცულთან ყველაზე ახლო მსგავსებას ვხედავთ სოფელ ილუმისა და ბორის საზღვარზე (ხარაგაული რაიონი, იმერეთი), სოფელი საზანოსა და სოფელი სეირიში (თერჯოლის რაიონი, იმერეთი) შემთხვევით აღმოჩენილ ცულებთან.

კლასიფიკაციის მიხედვით ფურტიოს ცულს ჩვენ ყველაზე ახლო პარალელების გათვალისწინებით ყუამოკლე-ყუადაქანებული ცულების II ჯგუფში ვაერთიანებთ.

19. –

20. –

21. –

22. **„იბრაიმ გორაძე - მწერალი და მთარგმნელი“**

იბრაიმ გორაძის ცხოვრება-მოღვაწეობა მრავალმხრივაა საინტერესო და იმავდროულად შეუსწავლელია. მისი არქივი ინახავს მისსავე მემუარულ-ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებს- „ჩემო ბედი ტრაღიკული“. ნაწარმოები მისივე ხელნაწერია. ამ სრულიად უცნობი მასალის საშუალებით ჩვენ ვეცნობით იბრაიმ გორაძის ბიოგრაფიის საინტერესო დეტალებს და უპირველესად კი, თუკი ის ცნობილია როგორც მთარგმნელი, ასევე, ის საოცარი ხელწერის ავტორიც აღმოჩნდა.

23. **„კომპოზიტები ტაო-კლარჯულ მეტყველებაში“**

მოხსენებაში საუბარია კომპოზიტური წარმოების თავისებურებათა შესახებ ტაო-კლარჯულ მეტყველებაში. ენის სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობა ჩანს თხზულ სახელებში. სიტყვაწარმოებით

მოდელზე დაკვირვება საინტერესოა ტაო-კლარჯულ მეტყველებაში, რადგან ეს ენობრივი არეალი ქართულ სალიტერატურო ენასაა მოწყვეტილი. კვლევისას გამოიკვეთა, რომ კომპოზიტური წარმოების ყველა შესაძლებლობა დასტურდება ტაო-კლარჯულ კილოებში. გვხვდება ფუძის გაორკეცებით, სხვადასხვა ფუძით შეერთებული კომპოზიტები. განსაკუთრებით თვალშისაცემია ასონანსური კომპოზიტები. ბუნებრივია, ტაო-კლარჯული მეტყველება მიყვება ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელ სიტყვაწარმოებით შესაძლებლობებს.

24. **„ქსოვის ლექსიკიდან სამხრულ-დასავლურ დიალექტებში“**

სამხრულ-დასავლური დიალექტები საინტერესო ლინგვისტურ სურათს გვიჩვენებს. განსაკუთრებით სახასიათოა აღნიშნული დიალექტოლოგიური არაეალი ლექსიკის კუთხით. მოხსენებაში სწორედ დარგობრივი ლექსიკის ერთ-ერთ სახეობაზე- ქსოვის ლექსიკაზეა საუბარი. ამ ლექსიკური ერთეულებით შემონახულია არქაული ლექსიკა, ლექსიკური დიალექტიზმები. ასევე, გვხვდება ქსოვის ლექსიკასთან დაკავშირებული ხატოვანი სიტყვა-თქმები. ფაქტიურად, მოხსენებაში ქსოვის ლექსიკაა წარმოდგენილი მეტნაკლები სრულყოფილი ფორმით.

25. –

26. **„რამდენიმე ძველქართული ტერმინი აჭარული დიალექტის ხალხური მკურნალობის ლექსიკიდან“**

აჭარულ დიალექტში დაცულია ხალხური მკურნალობის მდიდარი ლექსიკა, რომელთაგან ბევრმა უცვლელი სახით და მნიშვნელობით მოაღწია ჩვენამდე, ზოგის სემანტიკა კი შეცვლილია. ნაწილი ფონეტიკურად შეცვლილი სახითაა წარმოდგენილი. ამ თვალსაზრისით მოხსენებაში განხილულია ტერმინები: „წმინდა“, „დიკა“, „ბმო“, „ფუთხი“, „სამარტვილო“ და სხვ. შესწავლილია ამ ლექსემათა მიმართება ძველი ქართული ენის შესაბამის ლექსიკასთან, რაც მნიშვნელოვანია როგორც ხალხური მედიცინის, ასევე ქართული ენის ისტორიის შესწავლისათვის.

27. **„თამაშობათა ეთნოლინგვისტური ასპექტები“**

მოხსენებაში განხილულია აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემონახული სხვადასხვა სახისა და ხასიათის ხალხური თამაშობანი, რომლებშიც უფრო მეტი შინაარსი დევს, ვიდრე უბრალო გართობა. ზოგი თამაში თავის დროზე რიტუალურ ქმედებას წარმო-ადგენდა და შემდეგ გასართობად ქცეული. აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში მრავალი უძ-ველესი რწმენა-წარმოდგენის კვალი სწორედ საბავშვო თამაშებშია შემონახული და მა-თი შესწავლა საშუალებას გვაძლევს დავადასტუროთ აჭარაში ამა თუ იმ წეს-ჩვეულების არსებობა ან დანიშნულება. ამდენად, თამაშები წარმოადგენს დამატებით ეთნოგრაფი-ულ მასალას და ფასდაუდებელ ეთნოგრაფიულ წყაროს ამა თუ იმ წეს-ჩვეულების არსე-ბობის დასადასტურებლად, წეს-ჩვეულებათა უძველესი ფორმების აღსადგენად და მათი ფუნქციონალური დანიშნულებისა და საკულტო შინაარსის ასახსნელად. თუ თამაშებს კულტუროლოგიური თვალსაზრისით განვიხილავთ, ისინი გარკვეულ მითოსურ შინაარსს ინახავენ და ასახავენ. ამიტომ შესაძლოა ეს თამაშები იყოს არა უძველესი რიტუალების სახენაცვალი, ტრანსფორმირებული ფორმა, არამედ ამ რიტუალების პირველსახე. ამ მხრივ ფასდაუდებელია ის ლინგვისტური მასალა, რაც ამ თამაშებმა შემოგვინახა და რაც მათი პირველსაზრისის ახსნაში გვეხმარება. ამ თვალსაზრისით მოხსენებაში რამდენიმე თამაშია განიხილული ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით.

28. **,,ხარის კულტისა და სამიწათმოქმედო კულტურასთან დაკავშირებული ორი მითოლოგიზმის შესახებ”**

სამხრეთ-დასავლეთ საქსრთველოს შავიზღვისპირეთში გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურიდანვე მოგვეპოვება საყურადღებო მასალები ხარის კულტის არსებობის შესახებ. ხარის, როგორც საკულტო ცხოველის, რელიგიურ პანთეონში და ცერემონიალებში მიჩენილი ადგილის მიხედვით ქართული წარმართული რელიგია დიდ სიახლოვეს იჩენდა წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხების სულიერ სამყაროსთან. ჩვენს ყურადღებას იპყრობს ხართან დაკავშირებული აქამდე უცნობი ორი მითოლოგიზმი (მარცვლეული კულტურა), რომელსაც წარმოვადგენთ წინამდებარე ნაშრომში, რაც კვლევა-ძიების თვალსაზრისით სიახლეს წარმოადგენს.

29. **„კომპოზიტური წარმოების ფიტოტოპონიმები“**

მცენარეთა სახელების ერთი ნაწილი ენის ძირეულ ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება და ისეთი საკითხის კვლევისას, როგორიცაა ეთნოსთა პირველსაცხოვრისის განსაზღვრა ენობრივი მონაცემების მიხედვით, მას ერთ-ერთი ძირითადი როლი ენიჭება. ამ თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელოვანი ჩანს უძველეს ფიტონიმთა საფუძველზე სახელდებული გეოგრაფიული სახელებიც (ფიტოტოპონიმები). ფიტოტოპონიმებს უწოდებენ ტოპონიმებს, რომლებიც წარმოიშვა მცენარეთა სახელების საფუძველზე. როგორც ცნობილია, ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს ქართველურ ენათა მონაცემებზე დაყრდნობით გამოვავლინოთ მცენარეთა სახელებიდან მომდინარე კომპოზიტური გაფორმების ადგილის გეოგრაფიული სახელწოდებანი, რაც საბოლოო სახით აისახება ლინგვისტურ ატლასზე, სადაც წარმოვადგენთ ფიტოტოპონიმთა არა მარტო გავრცელების არეალს, არამედ მათი გამოყენების სიხშირესაც. რაც საბოლოო სახით აისახება ქართველურ ფიტოტოპონიმთა ლინგვისტურ ატლასზე.

30. **„ერთი ტოპონიმის კვლევისათვის ბათუმის შემოგარენში“**

ადამიანებს უხსოვარი დროიდან აინტერესებდათ ტოპონიმები - ადგილის გეოგრაფიული სახელწოდებანი და მათი წარმოშობის საკითხები. შორეულ წარსულში გეოგრაფიული ობიექტების უდიდეს ნაწილს საკუთარი სახელები არ ჰქონდათ. ადამიანები სახელს სდებდნენ მხოლოდ იმ ბუნებრივ წარმონაქმნებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მათ ყოველდღიურ საქმიანობასა და ყოფაცხოვრებაში. მეცნიერების სხვადასხვა დარგის მკვლევარნი (ენათმეცნიერები, ისტორიკოსები, გეოგრაფები, ეთნოგრაფები და ა. შ.) ტოპონიმებს მათთვის საინტერესო კუთხით შეისწავლიან. ამდაგვარ ინტერდისციპლინურ მიმართულებათა კვლევებზე ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში მიგვითითებდა აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი და დასძენდა, რომ ,,... ტოპონიმიის მკვლევარმა უპირველესად ამა თუ იმ ადგილის მდებარეობისა და თვისების დამახასიათებელი გარემოებანი უნდა გაითვალისწინოს და ჩაუკვირდეს ...“ (ივ. ჯავახიშვილი 1950:109). სტატიაში წარმოგიდგენთ ბათუმის მახლობლად, მის ჩრდილო - აღმოსავლეთით, მდინარე ყოროლისწყლის შესართავთან მდებარე პატარა გორაკის შესახებ რომელსაც ,,თამარის გორა“-ს უწოდებს ხალხი.\

31. **„ტოპონიმ ,,ბათუმ''-ის კვლევისათვის“**

ქართველ და უცხოელ მეცნიერთა და მკვლევარ-მოგზაურთა უდიდეს ინტერესს იწვევდა და დღემდე იწვევს დასავლეთ ამიერკავკასია, ისტორიული საქართველოს ამ ვრცელი რეგიონიდან კი სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორია. სწორედ ამ რეგიონშია თავმოყრილი უძველესი ხანის არქეოლოგიური ძეგლები: ქობულეთისა და მახვილაურის ნეოლითური დასახლებები, ბათუმის ციხე, ფიჭვნარის ნაქალაქარი. სტატიაში ,,ტოპონიმ ბათუმის ეტიმოლოგიისათვის'' განხილულია სამეცნიერო ლიტერატურაში აქამდე არსებული თეორიები და მოცემულია კვლევის ჩვენეული ახალი ცდა.

32. **,,აია / კოლხეთი -სინონიმური ტოპონიმების ისტორიისათვის''**

Aἶα-ს ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა, იგი საერთოქართველურ დონეზე არ არის აღდგენილი, თუმცა აია გვხვდება ქართველურ ენებში შემონახულ რელიგიურ დღესასწაულებთან დაკავშირებულ ზოგიერთ კომპოზიტში: მეგრ. აია-ჟაშხა - სადიდმარხვო კვირადღის სახელი, რიგით მეხუთესი; სვან. აია-მიჟლადეღ - ბზობის წინა კვირადღის დღესასწაული. ჩვენი აზრით, ასევე ძალიან საინტერესოა მიმართებები აია ძირსა და იავ-ნანა ფორმაში დადასტურებულ იდენტური შემადგენლობის კომპონენტს (იავ) შორისაც. რაც უაღრესად მნიშვნელოვანია, იავ-ნანა ფორმა, თავის მხრივ, საქართველოსა და მედიტარიანულ სამყაროში ფართოდ გავრცელებული ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველი ქალღმერთის, ღმერთების დედის, დიდი დედის - ქართველურ სამყაროში ნანას სახელით ცნობილი - კულტის სახელწოდებასთანაა კავშირში.

33. **,,ერთი ტოპონიმის ლინგვო-ისტორიული კვლევისათვის''**

ადამიანებს უხსოვარი დროიდან აინტერესებდათ ტოპონიმები - ადგილის გეოგრაფიული სახელწოდებანი და მათი წარმოშობის საკითხები. შორეულ წარსულში გეოგრაფიული ობიექტების უდიდეს ნაწილს საკუთარი სახელები არ ჰქონდათ. ადამიანები სახელს სდებდნენ მხოლოდ იმ

ბუნებრივ წარმონაქმნებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მათ ყოველდღიურ საქმიანობასა და ყოფაცხოვრებაში. მეცნიერების სხვადასხვა დარგის მკვლევარნი (ენათმეცნიერები, ისტორიკოსები, გეოგრაფები, ეთნოგრაფები და ა. შ.) ტოპონიმებს მათთვის საინტერესო კუთხით შეისწავლიან. სტატიაში წარმოგიდგენთ კვლევას ერთი დაბის - ურეკის შესახებ, რომელიც ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს.

34. **„ვაშლის ჯიშები აჭარულში“**

მოხსენებაში საუბარია აჭარულში ჯერ კიდევ დადასტურებული მსხლის ჯიშების შესახებ, რომლებიც შესაძლოა, დაიკარგოს ადგილობრივთა და (არამარტო) ლექსიკიდან, ვინაიდან ადრე დაფიქსირებულ სახელწოდებათა დიდი ნაწილი დღეს უკვე ახალი თაობის ლექსიკაში აღარ გვხვდება.

35. **,,ტოპონიმებით დანახული საქართველო"**

მოხსენებაში საუბარი იყო სხვადასხვა ტოპონიმთა ერთ საერთო ჭრილში - ქვეყნის ისტორიის, ფლორის - მცენარეული საფარისა, თუ დამპყრობლური პოლიტიკის შედეგად სახეცვლილი გეოგრაფიული სახელწოდებების შესახებ.

36. **„ერთი ნაგენეტივარი ტოპონიმის ისტორია-ეტიმოლოგიისათვის ქართველურში“**

მასში თავდაპირველად განხილულია ჰიდრონიმიის როლი და ადგილი და ის, რომ ჰიდრონიმია მრავალმხრივ საყურადღებო ინფორმაციას მოიცავს ენის განვითარების ისტორიის დასადგენად. წარმოდგენილია ქართველური, კერძოდ, სვანური ენის მონაცემების გათვალისწინებით, მეტად საგულისხმო მასალები და მოცემული ლექსემის მნიშვნელობის ცვლა - შესაბამისი ფრაზეოლოგიზმის უარყოფითი კონოტაციით.

37. **„საქართველოს ტოპონიმიის სწავლებისა და პოპულარიზაციის პერსპექტივები“**

მოხსენებაში განვიხილეთ განსაზღვრული ადგილის გეოგრაფიულ სახელწოდებები, მათი სწავლა - სწავლებისა და პოპულარიზაციის საკითხები.

38. **„კულტურული მრავალფეროვნების მიმართ ტოლერანტობის დამკვიდრების საკითხისათვის ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ფინური მიდგომის გათვალისწინებით“**

წარმოდგენილ ნაშრომში საუბარია ქართულ და ფინურ საგანმანათლებლო ურთიერთობათა გაღრმავებასა და საქართველოში არსებულ პრობლემათა გადაჭრის გზებზე. ასევე ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ფინური მიდგომების, კულტურული მრავალფეროვნების მიმართ ტოლერანტობის დამკვიდრების საკითხის გააზრებასა და დამკვიდრებაში.

39. –

40. –

41. –

42. –

43. –

44. **„გერ-დედინაცვლის სიუჟეტის შემცველი ზღაპარი ლაზურში“**

მოსხენებაში გერ-დედინაცვლის სიუჟეტის შემცველი ზღაპარის შესახებაა საუბარი ლაზურში. ზღაპრის სიუჟეტი სხვადასხვა კუთხითაა საინტერესო და ამასთანავე, ზოგადქართული ფოლკლორის ორგანული ნაწილიცაა.

45. **„საქართველოს ისტორიული წარსული ქართულ ფოლკლორსა და ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში („ძველი დმანისი“, „ორი სიზმარი“)“**

მოხსენებაში განხილულია ქართველი რომანტიკოსი მწერალი, ვახტანგ ორბელიანი, რომელიც ისეთივე დიდ ინტერსს გამოხატავს სამშობლოს ისტორიული წარსულისადმი, როგორც ხალხური სიტყვიერება, რომელშიც კარგად ჩანს ჩვენი ქვეყნის წარსული; პოეტი შეჰნატრის სამშობლოს წარსულ დიდებას და დამწუხრებულია არსებული რეალობით, რაც ნათლად არის გამოხატული მის ლექსებში „ძველი დმანისი“ და „ორი სიზმარი“.

46. –

47. **„მერისის მეტყველების ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება”**

მოხსენებაში საუბარია მერისის ხეობის მეტყველების ფონეტიკური თავისებურებების შესახებ. საკითხის ანალიზისას ვეყრდნობით მერისის ხეობაში ჩვენ მიერ ჩაწერილ დიალექტოლოგიურ ტექსტებს. მერისელთა მეტყველებაში თითქმის ყველა ფონეტიკური მოვლენა გვხვდება. ძირითადად კი, გავრცელებულია ბგერათა დაკარგვის შემთხვევები. საკუთრივ ხეობის მცხოვრებთა სახასიათო თავისებურებად გამოიკვეთა ის, რომ მათ მეტყველებაში რ ბგერა დაკარგულია. ძირითადად, აქაური მეტყველება ქართული ენის ფონეტიკური თავისებურების ამსახველია.

48. **„არქაული ლექსიკური ერთეულები მერისის ხეობის მეტყველებიდან”**

მოხსენებაში განხილულია არქაული ლექსიკური ერთეულები ზემო აჭარის ერთ-ერთი ხეობის - მერისის მეტყველების მიხედვით. საკითხის ანალიზისას ვეყრდნობით მერისის ხეობაში ჩვენ მიერ ჩაწერილ დიალექტოლოგიურ ტექსტებს.

საანალიზო ფორმები შევუდარეთ როგორც ძველი და საშუალი ქართულის ენის, ისე ქართული ენის დიალექტების ლექსიკონებს. ძირითადად გამოიკვეთა შინაარსობრივი თანხვედრა, თუმცა გვხვდება განსხვავებებიც. მოხსენებაში განხილულია რამდენიმე არქაული ფორმა: აბანო, აპოხტი, ალაგი, ასტამი, ბაყლი, ბაგა, ბერწი და სხვა. გვხვდება ისეთი არქაული ფორმებიც, რომლებიც დაგვეხმარება ფუძეენის არქეტიპის აღდგენაში: ახუპვა, გვარდა, დასკუჯული, პარტყალი, ნამსხალი და სხვა.

49. **„შავი ზღვის ძველი ქართული და უცხოური სახელწოდებები“**

მოხსენებაში შავი ზღვის ქართულ სახელწოდებებთან ერთად განხილულია მისი უცხოური (ასირიული, სპარსულ-არაბული, თურქული, რუსული) სახელწოდებები, რომლებიც იქმნებოდა უძველესი დროიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე. სტატიაში ძირითადად გამოყენებულია ქართველ ისტორიკოსთა (აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამაზ ბერაძე) და სხვათა მონაცემები. ამ მონაცემების საფუძველზე ირკვევა, რომ ჩვენამდე მოღწეული შავი ზღვის უძველესი სახელწოდება იყო „ზემო ზღვა“ ანუ „ზედა ზღვა“, რომელიც მოხსენიებულია ასირიელი მმართველის ტიგლათფილესერ I-ის XIII-XII საუკუნეების ლურსმულ წარწერაში.ნაშრომში მთავარი ყურადღება გამახვილებულია ძვ.წ. VI საუკუნის ცნობილი ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის „გეოგრაფიაში“მოხსენიებულ ორ ბერძნულ სახელწოდებაზე: „ავქსინუს პონტო“ და „ევქსინუს პონტო“, რაც ქართულად ნიშნავს, პირველ შემთხვევაში, „არასტუმართმოყვარე ზღვას“ და, მეორე შემთხვევაში, „სტუმართმოყვარე ზღვას“. ბოლოს განხილულია შავი ზღვის ქართული („სპერის ზღვა“) და უცხოური სახელწოდებები („ბუნტუს ზღვა“, „დარიე გურზან“ ანუ „ქართველთა ზღვა“, თურქული „კარა დენიზი“, რუსული „ჩერნოე მორე“ და სხვა) სახელწოდებები. მითითებულია ამ სახელწოდებათა შერქმევის დროსა და პირობებზე.

50. **„გიორგი ჩიტაია ბათუმის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში და ბრძოლის შესახებ“**

აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია ქართველოლოგიური კვლევის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მისი მდიდარი და მრავალმხრივ საინტერესო სამეცნიერო მემკვიდრეობა დღემდე წარმოადგენს გზამკვლევს ქართველი ხალხის ეთნოგრაფიული ყოფისა და კულტურის შესწავლის საქმეში. დიდი სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად გ. ჩიტაიას თვალსაჩინო წვლილი მიუძღვის საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მისი ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეში, რაც მეტადრე ჩრდილშია ქართულ ისტორიოგრაფიაში. აშკარაა, მეცნიერს საბჭოური იდეოლოგიურ სივრცეში აბრკოლებდა თავისი პოლიტიკური წარსულის დაარქივება არა მარტო თავმდაბლობის, არამედ კოლეგების, ახლობლების მიმართ გამოჩენილი

სიფრთხილის გამოც. როგორც ამ პერიოდის, ისე ადრინდელი თუ მერმინდელი მნიშვნელოვანი ამბები, მოგონებები და შთაბეჭდილებები ცალკეული პიროვნების შესახებ, აღწერილია აკად.გიორგი ჩიტაიას ავტობიოგრაფიულ ჩანაწერებში, პატივცემული მეცნიერის გარდაცვალების 5 წლისთავზე, 1991 წ. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გამოცემულ ნაშრომში „ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე.“

51. **„აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას პოლიტიკური მოღვაწეობა ქალაქ ფოთში საქართველოს პირველი რესპუბლიკის პერიოდში“**

მოხსენებაში საუბარია აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას ბიოგრაფიის ნაკლებად ცნობილ პერიოდზე, როდესაც ნიკო ნიკოლაძის უშუალო წარდგინებით მას ეჭირა ქალაქ ფოთის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა. აღნიშნული პერიოდი აღინიშნა პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარების გართულებით - სახალხო გამოსვლებით, ინტერვენციით, საშინაო დესტრუქციული ძალების გაძლიერებით, რასაც შედეგად მოჰყვა ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა. ასეთ მძიმე პერიოდში გიორგი ჩიტაიამ გააკეთა სარისკო არჩევანი და უარი თქვა საზღვარგარეთ წასვლაზე, რის შემდეგაც მთელი თავისი ნიჭი და ენერგია შეალია ქართული ეთნოლოგიური მეცნიერების განვითარებას, ეროვნულ საქმიანობას.

52. –

53. **„ბათუმის შემოქმედებითი ინტელიგენციის საქმიანობის ზოგიერთი ასპექტი“**

მოხსენებაში, რესპოდენტების სოციოლოგიური გამოკითხვის საფუძველზე, მიმოხილულია ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც ამუხრუჭებენ ან პირიქით, ხელს უწყობენ ქ.ბათუმის შემოქმედებით ინტელიგენციას თავიანთ საქმიანობაში. გამოვლენილია ის მთავარი მიზეზები, რომელთა დროული გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ქ.ბათუმის ინტელიგენციას პროფესიულ საქმიანობაში. შემუშავებულია რეკომენდაციები შემოქმედებითი ინტელიგენციის მცირე შემოსავლების გათვალისწინებით, მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ.

54. –

55. **„აჭარის ეთნოგრაფიული შესწავლის სათავეებთან“**

აჭარის პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიცია, რომელიც 1933 წელს ჩატარდა მა-შინდელი საქართველოს მუზეუმისა (ახლანდელი საქართველოს ეროვნული მუზეუმი) და აჭარის მხარეთმცოდნეობის ბიუროს (ახლანდელი ხარიტონ ახვლედიანის სახელმწიფო მუზეუმი) მონაწილეობით, მნიშვნელოვანი მოვლენა იყო აჭარის ეთნოგრაფიულ შესწავლაში. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი, ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ: ვერა ბარდაველიძე, რუსუდან ხარაძე, ფაფალა ქიქოძე, სტეფანე მენთეშაშვილი (საქართველოს მუზეუმი), ჯემალ ნოღაიდელი, ვუკოლ იაშვილი (აჭარის მხარეთმცოდნეობის ბიურო). ექსპედიციამ ქარულ ეთნოგრაფიას შესძინა აჭარის ტრადიციული კულტურის ამსახველი ერთ-ერთი პირველი და მრავლისმომცველი მასალა, რომელშიც დაფიქსირებულია როგორც აჭარის ტრადიციული მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფის ამსახველი მასალა, ასევე, აჭრელთა უძველესი რწმენა-წარმოდგენები გარე სამყაროსა და ზებუნებრივი ძალების შესახებ, მათი მსოფლგაგება, ცოდნა ბუნების კანონზომიერებების შესახებ და, საერთოდ, ეთნოკულტურის მრავალი ისეთი ელემენტი, რომლებიც შემდგომი ეპოქებისა თუ რე-ლიგიური დანაშრევების გამო ყოფიდან გაქრა. ასეთ პირობებში ფასდაუდებელია ის მასალა, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია აჭარაში 1933 წელს ჩატარებული პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის ჩანაწერების წყალობით.

8. 2. უცხოეთში
მომხსენებელი/მომხსენებლები; მოხსენების სათაური; ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი

1. **Oleg Jibashvili.** "The Results of the Russian-Ottoman War of 1877-1878 and Batumi"// International Scientific Conference "HERiPRENEURSHIP – Sustainable Tourism, Heritage Management and the Cultural and Creative Industries: Creating New Investment Opportunities at Places of Cultural Significance", 2023, June 8-9, Tulcea (Romania)

2. **Nargiz Akhvlediani,** Diana Akhvlediani, **Oleg Jibashvili,** Ninaka kashia, "For linguo-historical study of one Zan hydronym of Western Georgia" // International Academic Conference "Education and Social Sciences Business and Economics", 2023, 20 September, Vienna University, Vienna (Austria).

3. Dominique Kassab-Tezgor, **Nino Inaishvili**. "Jug-amphorae in the mid Byzantine Period. Production and Circulation" // The 10th IFEA Archaeological Conference "Black Sea Crossings: Maritime networks from the Hellenistic to Byzantine Times", 30 November - 1 December 2023, ANAMED auditorium, Koç University. Istanbul, Turkey.

4. Shota Mamuladze, **Sulkhan Mamuladze**. "Roman Garrisons in the South-Eastern Black Sea Region According to Recent Archaeological Materials" // HERiPRENEURSHIP - Sustainable Tourism, Heritage Management and the Cultural and Creative Industries: Creating New Investment Opportunities at Places of Cultural Significance // Proceedings of an International Conference, Tulcea, June 8 -9 2023

5. **Elza PUTKARADZE, Naile MIKELADZE**, "Some Issues of National Mentality and Memory in Tao-Klarjetian", June 8 -9 2023, Tulcea.

6. **ელზა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე,** „სამშობლოს სიყვარული გამიჭირდა (იბრაიმ გორაძის ცხოვრება-მოღვაწეობის ეპიზოდები)", საერთაშორისო სიმპოზიუმი თურქულ-ქართული კულტურული ურთიერთობები, 27-28 ოქტომბერი,თურქეთი, დუზჯეს უნივერსიტეტი.

7. **ნარგიზ ახვლედიანი,** დიანა ახვლედიანი, თეონა ძნელაძე, **ციალა ნარაკიძე,** „ზღვაოსნობის ტერმინოლოგია ქართული მატერიალური კულტურის დიალექტოლოგიურ ლექსიკაში", 2023 წლის 16 იანვარი, დუბაის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, აბუდაბის უნივერსიტეტი.

8. **ნარგიზ ახვლედიანი,** დიანა ახვლედიანი, ნანა ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ქეთევან რეხვიაშვილი, „ტოპონიმიკა და სწავლების პერსპექტივები", ვენეციის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 2023 წლის, 27 მარტი, ვენეცია, კა'ფოსკარის უნივერსიტეტი.

9. **რუსლან ბარამიძე,** „Negative Language and Examples Used by Presidential Candidates during the Pre-Election Periods in Georgia", ტარტუს მეშვიდე ყოველწლიური კონფერენცია რუსეთის და აღმოსავლეთ ევროპის კვლევებზე, 2023 წლის 11-13 ივნისი, ქალაქ ტარტუ, ესტონეთი.

10. **რუსლან ბარამიძე,** „President in Georgia: Using History for Political Purposes". No Border Space. Dialogue for Understanding and Cultural Exchange. CISR e.V. Berlin. 28-30 მაისი

11. **რუსლან ბარამიძე,** „სადაო ურბანული სივრცე ბათუმში". No Border Space. ურთიერთგაგების და კულტურული გაცვლის სივრცე. CISR e.V. Berlin. 29-01 ოქტომბერი, 2023

12. **რუსლან ბარამიძე,** „ურაბნული ისტორიის ძიებაში". Center for Independent Social Research (CISR e.V. Berlin) პროექტი „Get Visible"-ს ფარგლებში, ჩატარებული ღონისძიება. 2023 წლის 13-20 თებერვალი. დამფინანსებელი: Erasmus+.

13. **რუსლან ბარამიძე,** ჰელსინკის უნივერსიტეტი, Aleksanteri Conference, 2023. სამუშაო შეხვედრა: „Decolonisation of Urban Material Culture in Eastern European Cities“. თანამომხსენებელი და დისკუსიის მონაწილე.

14. **Tamila Lomtatidze**, Manuchar Loria, „PECULIARITIES OF THE DEVELOPMENT OF GEORGIAN ETHNOGRAPHIC THINKING: FIELD ETHNOGRAPHIC PHOTOCHRONICLE (VISUAL ANTHROPOLOGICAL RESEARCH)“, The Role of historical figures in history and collective memory, Organized by Institute of National History, Skopje, 6-8 November 2023, Macedonian Academy of Sciences and Arts

15. **Roin Malakmadze, Tamila Lomtatidze**, „Georgian Ethno-Cultural Heritage in the Cultural-Historical Memory of Georgians in Turkey“, HERiPRENEURSHIP, Sustainable Tourism, Heritage Management and the Cultural and Creative Industries: Creating New Investment Opportunities at Places of Cultural Significance, International Conference, Tulcea, June 8th-9th 2023

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში ან სხვა გამოცემაში არ გამოქვეყნებულა)

1. –

2. **“For linguo-historical study of one Zan hydronym of Western Georgia”**

ყოველგვარი საკუთარი სახელი ადამიანის გონივრული მოღვაწეობის შედეგია და სწორედ ამიტომაა იგი შეგნებული, ცნობიერი აქტი. ნებისმიერი ობიექტის სახელდება ხდებოდა და ხდება ათასწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული ენობრივ-ნომინაციური ტრადიციებისა და სახელმდები კოლექტივის ლოგიკურ-ფსიქოლოგიური თვალთახედვის შესაბამისად. ქართული ენის დასავლური კილოების ლექსიკაში ხელშესახებადაა წარმოდგენილი ერთ-ერთი ქართველური ენის, ზანურის (მეგრულ-ლაზური), დანაშრევები, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში კვალიფიცირებულია, როგორც ზანური სუბსტრატი. დასავლურ ქართულ დიალექტებში იკვეთება ზანურის კვალი, ესე იგი სახელდების მოტივაციის დადგენა მხოლოდ მეგრულ-ლაზური ენის მონაცემებითაა შესაძლებელი.

ჰიდრონიმია - ტოპონიმიის ძველთაძველი და საინტერესო ნაწილია. იგი შეიცავს მრავალმხრივ საყურადღებო ინფორმაციას წინაპართა მატერიალური და სულიერი ცხოვრების შესასწავლად, ენის განვითარების ისტორიის დასადგენად. ჰიდრონიმი ჰიდროგრაფიული ობიექტის - დიდი და მცირე მდინარის, მისი ცალკეული მონაკვეთის - მორევის, ჩანჩქერის, მოსაბრუნის, სათევზაო ადგილის, ტოტის, ფშანის, აგრეთვე ზღვის, ტბის, არხის, ჭაობის, ლენჭყის და სხვათა სახელია.

ნაშრომში წარმოდგენილია დასავლეთ საქართველოში (აჭარა) დადასტურებული ერთი გეოგრაფიული სახელწოდების, კერძოდ, ჰიდრონიმ „ბარცხან“-ის ლინგვისტური ანალიზი, აგრეთვე, ბათუმის ამავე სახელწოდების უბნის გეოგრაფიული დახასიათება და მისი დაარსების ისტორია.

3. **“Jug-amphorae in the mid Byzantine Period. Production and Circulation”**

მოხსენებაში განხილული იყო ე.წ. ამფორა–დოქები, რომელთაც ასე უწოდეს შედარებით მომცრო ზომის, ბრტყელი ძირისა და ცალი ყურის გამო. ისინი ძირითადად გავრცელებული იყო მე–8/მე–9 და მე–11 საუკუნეებში, შესაძლოა მე–12 საუკუნეშიც. ამფორა–დოქები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა ხერსონესი, პანტიკაპეა და ფანაგორია. ისინი ამავე დროს წარმოადგენდნენ ყირიმის სანაპიროსთან ჩაძირული ხომალდების ტვირთის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს. დიდი რაოდენობა მსგავსი ამფორებისა მოპოვებულია სამხრეთ შავიზღვისპირეთშიც, აქაც ძირითადად ზღვიდანაა ამოღებული მეთევზეების მიერ. მსგავსი ჭურჭლები უცნობია ეგეოსის ზღვასა და მის ფარგლებს გარეთ, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ მათი წარმოება და ვაჭრობა ლიმიტირებული იყო შავი ზღვის სანაპიროთი.

ამფორა–დოქების თიხის შემადგენლობა და გამოწვა (მოყავისფრო–ნარინჯისფერიდან ღია ყავისფერამდე), ემსგავსება ადრეულ კოლხურ პროდუქციას, რაც გვაფიქრებინებს, რომ მათი წარმოება დაკავშირებული იყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთთან. ამგვარი ამფორა–დოქების ფრაგმენტები

აღმოჩენილია კოლხეთის სანაპირო ძეგლებზე, განსაკუთრებით დიდი რაოდენობითაა ნაპოვნი პეტრაზე. ეს შესაძლოა მიუთითებდეს მათ კოლხურ წარმოებაზე, რაც არ გამორიცხავს ამფორა–დოქების დამზადების სხვა შავიზღვისპირა ცენტრების არსებობის შესაძლებლობას.

ჭურჭლების უმრავლესობის შიდა ზედაპირი დაფარულია ფისით, რაც მიუთითებს იმაზე, რომ იგი გამოიყენებოდა ღვინის გადასატანად, რომელიც დიდი რაოდენობით იწარმოებოდა კოლხეთში. შედარებით მცირე რაოდენობის ზედაპირი დაფარულია ნავთობით, რაც შესაძლოა მიუთითებდეს ჭურჭლის მეორად გამოყენებაზე.

ჩვეულებრივ ამფორებთან შედარებით ამფორა–დოქების შედარებით მცირე ტევადობა გვავარაუდებინებს, რომ ისინი განკუთვნილი იყო მისი შიგთავსის საცალო ვაჭრობისა და სწრაფად მოხმარებისთვის. შესაძლოა ისინი განკუთვნილი იყო საეკლესიო მიზნებისათვის, რაც ბადებს ვარაუდს, რომ ვაჭრობას თავად მონასტრები აწარმოებდნენ, შესაძლოა, მათი კუთვნილ სამფლობელოებში დამზადებული ღვინით.

4. "Roman Garrisons in the South-Eastern Black Sea Region According to Recent Archaeological Materials"

ნაშრომში წარმოდგენილი და განხილულია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში არსებული რომაული პერიოდის ციხე-სიმაგრეები (ჰისოსი; ზანაიერი; ათინა; სათალა; მელიტენე; აფსაროსი; ფაზისი; სებასტოპოლისი), მათი ფუნქციონირების ქრონოლოგიური ჩარჩოები, ასევე ამ კასტელუმთა დანიშნულება და როლი რეგიონსა და, ზოგადად, რომის იმპერიაში. ამასთანავე, ნაშრომში ისტორიულ წყაროებსა და არქეოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით აღწერილი და იდენტიფიცირებულია კონკრეტული გარნიზონები და დამხმარე კოჰორტები, რომლებიც იდგა ზემოთმოხსენებულ რომაული პერიოდის ციხე-სიმაგრეებში (XII Fulminata; XVI Flavia Firma; XV Apollionaris; Cohors II Claudiana; Cohors Aurelia).

ნაშრომის ძირითადი ნაწილი და კვლევები გარდა ისტორიული წყაროებისა, ეყრდნობა ეპიგრაფიკულ და არქეოლოგიურ მასალებს. სამწუხაროდ, რიგ მიზეზთა გამო თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე ვერ ხერხდება რომაული პერიოდის არქეოლოგიური მასალის დამუშავება. ამასთანავე, საკითხს ართულებს ისიც, რომ ტრაპიზონსა და მის ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში არსებული რომაული ციხე-სიმაგრეები არქეოლოგიური თვალსაზრისით თითქმის შეუსწავლელია, ამდენად, ჩვენი კვლევა მეტწილად მაინც საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილ მასალებს ეფუძნება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის გონიო-აფსაროსის ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე მიკვლეულ მასალებზე.

რაც შეეხება უშუალოდ შავი ზღვისპირეთის არეალში განლაგებულ რომაულ გარნიზონებს, მათი მომარაგება ხდებოდა როგორც საზღვაო, ისე სახმელეთო მარშრუტებით. რომის იმპერიის ადრეულ ეტაპზე, ძირითადად ჩვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევარში შავიზღვისპირა სიმაგრეებში მდგომი გარნიზონების მომარაგება ხდებოდა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის საწარმოო ცენტრებიდან, რასაც არქეოლოგიური მასალებიც ადასტურებს. მოგვიანებით, ჩვ. წ. II საუკუნიდან, მას შემდეგ რაც, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის პროვინციებში იმპერიის საზღვრები განმტკიცდა, ამ დროიდან უკვე დაწინაურდა სამხრეთ შავიზღვისპირეთში არსებული საწარმოო ცენტრები. განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქალაქი სინოპე და ტრაპიზონი, რასაც მათი სტრატეგიული მდებარეობაც უწყობდა ხელს. გარდა მომარაგების საზღვაო ხაზისა, ძალიან დიდ როლს ასრულებდა სახმელეთო გზებიც, რომლებიც როგორც შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ, ისე, უშუალოდ პროვინციის აღმოსავლეთ საზღვრებში განლაგებული ციხე-სიმაგრეებისკენ (სათალა, მელიტენე, აფსაროსი, სებასტოპოლისი) მიემართებოდა, და პირიქით.

5. –

6. „სამშობლოს სიყვარული გამიჭირდა (იბრაიმ გორაძის ცხოვრება-მოღვაწეობის ეპიზოდები)"

იბრაიმ გორაძის ცხოვრება-მოღვაწეობა მრავალმხრივაა საინტერესო და, იმავდროულად, შეუსწავლელია. მისი არქივი ინახავს მისსავე მემუარულ-ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებს - „ჩემი ბედი ტრაღიკული". ნაწარმოები მისივე ხელნაწერია. ამ სრულიად უცნობი მასალის საშუალებით ჩვენ ვეცნობით იბრაიმ გორაძის ბიოგრაფიის საინტერესო დეტალებს. მოხსენებაში საუბარია იბრაიმ გორაძის ცხოვრების შესახებ გადასახლებამდე, გადასახლებაში და ისევ სამშობლოში

დაბრუნების ეპიზოდებზე. ფაქტიურად, აღნიშნული ხელნაწერი სრულყოფილად წარმოგვიდგენს მისი ცხოვრებისა თუ მოღვაწეობის არაერთ უცნობ ბიოგრაფიულ შტრიხს.

7. –

8. –

9. „Negative Language and Examples Used by Presidential Candidates during the Pre-Election Periods in Georgia“

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, 2010 წლის საკონსტიტუციო რეფორმამდე, აღმასრულებელი ხელისუფლება კონცენტრირებული იყო პრეზიდენტის ხელში. ამრიგად, საპრეზიდენტო კანდიდატების მიერ წინასაარჩევნო კამპანიის დროს გამოთქმული მოსაზრებები წარმოადგენდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მოქმედების ერთიან პროგრამას, რომელიც მმართველ ჯგუფს უნდა განეხორციელებინა. ამასთან, წინასაარჩევნო კამპანიის დროს მნიშვნელოვანი იყო მთავარი ოპონენტისა და მტრის გამოვლენა, რომლის წინააღმდეგაც ფორმირდებოდა საპრეზიდენტო კანდიდატის ხედვა. მოხსენების ფარგლებში წარმოდგენილია საქართველოს სამი პრეზიდენტის (ზ.გამსახურდია, ე.შევარდნაძე და მ.სააკაშვილი) მიდგომები ოპონენტების მიმართ საარჩევნო კამპანიის დროს. ზ.გამახურდიას შემთხვევაში ოპოზიციონერები სახიფათო, პროსაბჭოთა მტრები იყვნენ, ხოლო სსრკ, და შემდეგ რუსეთი, წარმოადგენდნენ უცხო მხარეს, რომელიც მხოლოდ ცუდს უსურვებდა საქართველოს. ე.შევარდნაძისთვის ქვეყნის ხელმძღვანელობის პირველ პერიოდში ზ.გამსახურდიას მომხრეები იყვნენ მთავარი გამოწვევა და მტერი; ე. შევარდნაძემ საერთაშორისო ურთიერთობები ქვეყანაში მიმდინარე კონფლიქტების ფონზე ააგო, ამიტომ გარე აქტორების პოზიციამ კონფლიქტთან დაკავშირებით განსაზღვრა მისი დამოკიდებულება მათ მიმართ. მ.სააკაშვილის შემთხვევაში ის ძირითადად საუბრობდა წინა პოლიტიკურ რეჟიმთან დაკავშირებულ პოლიტიკოსებზე (კორუფცია, ქაოსი, სეპარატიზმი), ხოლო რუსეთის ფედერაცია მოიხსენიებდა გარე მტრად. დაპირისპირებისას სამივე პრეზიდენტმა გამოიყენა სხვადასხვა რიტორიკა, ენობრივი ტექნიკა და მაგალითები. ზ.გამსახურდიას ემოციური, მკაცრი და უარყოფითი რიტორიკა ახასიათებდა როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო საქმეებში. ე. შევარდნაძემ ყოფილი პრეზიდენტისა და მისი მხარდამჭერების მიმართ მკაცრი რიტორიკა გამოიყენა, სხვა ოპონენტების თუ უცხოელი მოთამაშეების მიმართ შედარებით ნეიტრალური იყო; მ.სააკაშვილმა გამოიყენა ემოციური, შინაარსით მდიდარი და უარყოფითი რიტორიკა როგორც შიდა, ისე გარე ოპონენტებთან მიმართებაში.

10. „President in Georgia: Using History for Political Purposes“

პროექტის მიზანი იყო 2022 წლის ომის დაწყების შემდეგ საქართველოში მიგრირებულ უკრაინის, რუსეთის და ბელორუსის მოქალაქეების შეხვედრა საქართველოს მოქალაქეებთან. პროექტის მონაწილეების განიხილავდნენ საქართველოში მიგრაციის თავისებურებებს, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს ურთიერთობებს, მიგრაციით გამოწვეულ პრობლემებს. პროექტის ფარგლებში წაკითხული იყო მოხსენება სამხრეთ კავკასიაში საპრეზიდენტო ინსტიტუტის ჩამოალიბების და პრეზიდენტების მიერ გამოყენებული სხვადასხვა რიტორიკული და ენობრივი მაგალითები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიმართ.

11. „სადაო ურბანული სივრცე ბათუმში“

პროექტის მიზანი იყო 2022 წლის ომის დაწყების შემდეგ საქართველოში მიგრირებულ რუსეთის და ბელორუსის მოქალაქეების შეხვედრა და მიმდინარე გამოწვევების განხილვა. პროექტის მონაწილეების განიხილავდნენ ბათუმში მიგრაციის თავისებურებებს, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეებს ურთიერთობებს, მიგრაციით გამოწვეულ პრობლემებს. პროექტის ფარგლებში განხილული იყო ქალაქ ბათუმის ურბანულ სივრცეში არსებული სადაო სივრცეების ისტორია.

12. „ურაბნული ისტორიის ძიებაში“

პროექტის მიზანი იყო სხვადასხვა ქვეყნის ურბანისტებს შორის ქალაქის კვლევის ასპექტების განხილვა. პროექტის ფარგლებში წაკითხული იყო მოხსენებები ბათუმის, თბილისის, ქუთაისის და

წყალტუბოს შესახებ. პროექტის კოორდინატორები და მონაწილეები ლექციების პარალელურად სტუმრობდნენ თბილისს, ქუთაისს და წყალტუბოს.

13. „Decolonisation of Urban Material Culture in Eastern European Cities“

დისკუსიის ფარგლებში განხილული იყო აღმოსავლეთ ევროპის ქალაქების მატერიალურ და სიმბოლურ გარდაქმნა ურბანული დეკოლონიზაციის თვალით. მომხსენებლებმა ისაუბრეს ტერმინ „დეკოლონიზაციის“ სპეციფიკა და მისი მიამრთება აღმოსავლეთ ევროპის ქალაქებთან. ასევე, ცალკეული მაგალითების საფუძველზე განხილული იყო ურბანული მატერიალური და კულტურული გარდაქმნების გააზრება რეგიონის სპეციფიკური კოლონიური, პოსტკოლონიალური და ნეოკოლონიალური წარსულის გათვალისწინებით.

14. „PECULIARITIES OF THE DEVELOPMENT OF GEORGIAN ETHNOGRAPHIC THINKING: FIELD ETHNOGRAPHIC PHOTOCHRONICLE (VISUAL ANTHROPOLOGICAL RESEARCH)“

საველე ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ფოტოქრონიკა ერთგვარ ვიზუალურ წყაროს წარმოადგენს გარკვეული ტერიტორიის, ხალხისა თუ მოვლენის შესასწავლად. ექსპედიციების ფოტოარქივი არა მხოლოდ აფიქსირებს ამათუ იმ მოვლენას, არამედ მნიშვნელოვან სამეცნიერო ინფორმაციას ინახავს შემდგომი კვლევისთვის და ამ მიმართულებით ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს. ნაშრომში განხილულია 1933 წ. აჭარაში ჩატარებული პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიციის ფოტოქრონიკა, რომელიც ინახავს XX საუკუნის აჭარის ყოფისა და კულტურის ელემენტებს და საინტერესოა არა მხოლოდ როგორც ექსპედიციის ამსახველი ფოტომასალა, არამედ როგორც სამეცნიერო შესწავლის ობიექტიც. საველე კვლევა-ძიების ფოტოქრონიკას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივაც, რომ მან ასახა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფორმირების გარკვეული ეტაპი. საველე ეთნოგრაფიული კვლევის ფოტოქრონიკა მრავალ უნიკალურ და ორიგინალურ მასალას ინახავს და არაერთი სამეცნიერო გამოკვლევისათვის იქცევა საინტერესო და მნიშვნელოვან წყაროდ.

15. –

სხვა აქტივობები:

აჭარის ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს პროექტით გამოიცა:

1. **ნანული ნოღაიდელი, თამილა ლომთათიძე,** მანუჩარ ლორია, „კულინარიული მოგზაურობა აჭარაში“, ISBN 978-9941-8-4535-2; ბათუმი, 2023.

2. . **ნანული ნოღაიდელი, თამილა ლომთათიძე,** მანუჩარ ლორია, „ხალხური ტრადიციები და რიტუალები აჭარაში“, ISBN 978-9941-8-5218-3; ბათუმი, 2023.

3. . **ნანული ნოღაიდელი, თამილა ლომთათიძე,** მანუჩარ ლორია, „ხალხური რეწვა აჭარაში“, ISBN 978-9941-8- 4535-2; ბათუმი, 2023.

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი: **როინ მალაყმაძე**

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: **ჯემალ ვარშალომიძე**